ლიტერატურული გაზეთი

№9 (289) 25 ივნისი - 1 ივლისი 2021 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი

ბესიკ ხარანაული

დეკის ჩაი

ნეტა მომცა ძალა, რომ ჩემი ნათქვამი
სიტყვა იყოს და არა ჩენჩო.

მთაში დეკის ბუჩქს რომ დაინახავ,
ზღვას მოიკითხავ,
იმდენად სუბტროპიკულია,
იმდენად გალაქულივით ხასხასა-მწვანე —
ჩვენი მთის ჩაი,
ალპური დეკა.

წინ თითო ჯამი დეკის ჩაი გვიდგას და
მივდევთ ბაასით.

მე გეტყვი:
არ გვინდა დაცინვა!
თუ რამეა ჩვენში დასაცინი — სამწუხაროა.

ადამიანები რეალურ რამეზე ფიქრობენ,
მათი რიგებიდან გამობურცულები კი
რამე არარეალურზე.

ძველი მრავალსულიანი ოჯახები
ქმნიდნენ ფოლკლორს,
წარღვნას და გაქცევის სურვილს,
იქიდანა ვართ,
— მწყემსიც, მებოსტნეც და ლექსის მწიგნარიც.

ფრინველებიც სულ იხოცებიან,
მაგრამ მრავალ თაობაში
ზედმიწევნით მეორდებიან,
ადამიანი კი მხოლოდ შვიდ თაობაში.

შენ მეტყვი:
— რა ინახავს ძველ ბრძენ-კაცებს,
აქამდის რომ ცოცხლები არიან?
მე გეტყვი:
— კითხვები რომ ჰქონდათ და პასუხი არა.
შენ მეტყვი:
— ჩვენ რამ შეგვინახოს?
მე გეტყვი:
— სიტყვები ნატრობენ სხეულს და
ეს ძალა ინახავთ,
ჩვენი ძალა ჩვენს სისუსტეშია.
შენ მეტყვი:
— ამღელვარებული კარს ვერ გააღებს.
მე გეტყვი:
— გრძნობიერი თვალებს ვერ დახუჭავს.
შენ მეტყვი:
— შთაბეჭდილებიანიც თვალებს ვერ გადაყრის.
მე გეტყვი:
— არ გაიხსენო შენი თავი და გახსოვდეს საქმე.
შენ მეტყვი:
— დაივიწყე შენი თავი,
ვითომ გქონდეს დიდი განზრახვა.
მე გეტყვი:
— მოვიქცეთ ისე,
თითქოს ვიყოთ განსწავლულები.
შენ მეტყვი:
— მესამე არა გვყავს.
მე გეტყვი:
— თარიც კარგია და გიტარაც კარგი,
მაგრამ სხვადასხვა კულტურებია.
შენ მეტყვი:
— ერთი კულტურისგან კაცი ჩამორჩება.
მე გეტყვი:
— მით ცოდვაა ქურდი, რომ არ იცის გარჩევა.
შენ მეტყვი:
— ეს რა არქიტექტურა დაგიწყია ნაწერისაგან?
მართკუთხედები სივრცეში არ არის.
მე გეტყვი:
— წარმოსახვის მაკრატელი გამოჭრის.
თუ მოუნდა, ამართავს სვეტივით,
თუ მოუნდა, გემივით გაუშვებს.
მატარებელი მიდის, მაგრამ თხევადი არ არის.
შენ მეტყვი:
— სივრცეში გამართულ არქიტექტურას
მასალაც დაჭირდება არარეალური.
რაა უსხეულო?
მე გეტყვი:
— სიტყვა.
ვერაფერი გამოჭრის სივრცეში ისეთ ხეს,
რომ ზედ სხვადასხვა ფრინველი დასხას —
ბეღურა, არწივი, ალალი, ტოროლა...
მხოლოდ სიტყვას შეუძლია ასეთ ხის შექმნა.
შენ მეტყვი:
— რითი ამართავ ნაწერით ტატუირებულ
არანამდვილ სვეტს,
მართკუთხედი ლოდის სივრცე სად უნდა იპოვო?
მე გეტყვი:
— სივრცე უსასრულოა და ცარიელი,
გამოჭრი მაკრატლით
და სიტყვებს დასვამ,
შეგექმნება არამატერიალური სივრცე ნაწერისა.
შენ მეტყვი:
— კაცი უბედოა?
მე გეტყვი:
— კუს ბაკანი ადგას, კაცს ქუდი ახურავს.
შენ მეტყვი:
— კაცს გაურკვევლობას
ყველანაირი ცუდი ურჩევნია.
მე გეტყვი:
— კაცს გუშინდელი დანაშაულის კი არ ეშინია,
არამედ თერთმეტი წლის წინ მიქარულისა —
ეშინია,
იმ დროში რომ დააბრუნონ,
საიდანაც არის გამოსული,
ძლივს გაშორდა დროს და
ლანგარით წინ რომ უდებენ,
ამის ეშინია.
არ უწყიან,
გარდასულის გაცოცხლება რომ ცოდვა არის.
შენ მეტყვი:
— რამდენი ჭუჭყი აქვს ადამიანს,
რამდენი სისუფთავე?
მე გეტყვი:
— რამდენიც თავისთვისა აქვს,
რამდენიც სხვისთვის.
შენ მეტყვი:
— რამდენი ბოროტი აქვს ადამიანს,
რამდენი კეთილი?
მე გეტყვი:
— რამდენიც თავისთვისა აქვს,
რამდენიც სხვისთვის.
შენ მეტყვი:
— რა არის სინათლე, რა არის ბნელი?
მე გეტყვი:
— ზოგი ცდილობს, იყოს ბუნდოვანი
და ბნელს იფარებს,
ზოგი ცდილობს,
იყოს დასანახი და ეძებს სინათლეს.
შენ მეტყვი:
— სწავლულთა სფერას თავის ნაწერი აქვს,
ფეხი მეთრევინება, ენა მიკოჭლდება,
გასაგებსა და დასანახს შორის
რა განსხვავებაა?
მე გეტყვი:
— სახე ინახვება, იმიტომ, რომ მოძრავია,
აზრი უძრავია და ამითი არის გასაგები.
შენ მეტყვი:
— სიცოცხლის ბოლოსკენ
არ უხდება კაცს გამოგონილი,
რადგან ტყუილს მაინც ვერ აცდება —
სჯობია, არ გამოიგონოს და იამბოს ის,
რაც დარჩება.
მე გეტყვი:
— როგორ დაგვცინებს მეხუმარე,
თუ არ დაგვემსგავსა,
ჩვენზე თუ არ გამოიჭრა, როგორ დაგვაჯავრებს,
რადგან დღეს მასხარამ დაკარგა თავისი ცალი —
არა ჰყავს ხელმწიფე.
დედაჩემს ძვირად უჯდებოდა ამაღლებული,
იცოდა,
რომ პურის ყანასავით
ამაღლებულიც თავისით ხუნდება,
როცა ხალხი —
როგორც კლუბში დანომრილი სკამები არის.
შენ მეტყვი:
— შემთხვევა მაცნეა, თუ რამე ნიშანი,
ზოგს რომ ეჯავრება.
მე გეტყვი:
— ზოგსაც აშინებს
ძარღვებში მომსკდარი სისხლივით.
შენ მეტყვი:
— ადამიანები ისე დასტრიალებენ თავს,
როგორც ხახვს ზედ თავისი ფურცელი.
უვლიან მუცელს,
როგორც სნეულს გვერდით ოთახში,
ისე ჭამენ, როგორც ბელზებელები,
რკოზე გაზრდილ ტახს რომ მორჩებიან,
ნულ კალორიან ნაყინს აყოლებენ.
მე გეტყვი:
— ესეც ნიშანია.
ადამიანი ამოიზრდება თავის წარსულიდან
და გამოეთხოვება,
როგორც დედამზრდელს წასული ჭაბუკი.
შენ მეტყვი:
— უწინ ადამიანები
სახით იდგნენ ერთმანეთის წინ და
ხედავდნენ, როგორც საცერში...
მე გეტყვი:
— მაგრამ ნანახს აკლდა წარმოსახვა,
რის გამოც ადამიანებს ნატვრა აკლდებოდათ.
— იმიტომ, რომ საიქიოსავით
პოეზიაც არ კონკრეტდება,
ვიტყვით — პოეზია,
და ვერ ვამბობთ, რასა ვგულისხმობთ.
საიქიოც ასეა, ორივე ჰგავს „ჰო და არას“.
— საიქიო არის?
— აბაბა, რომ არის!
— პოეზია?
— ყველაფერი პოეზიაა...
შენ მეტყვი:
— შენდროულა კაცს
სულ თან უნდა ჰქონდეს გამოსათხოვარი —
საღამოს ხანსაც და დილის ხანსაც,
— მითხარი რამე გამოსათხოვარი.
მე გეტყვი:
— მე დედაჩემს
ერთხელ უკვე ვუთხარი გამოსათხოვარი:
— ჯერ არა მცალია.

IV-VI

შემდეგი ნომერი გამოვა
ერთ კვირაში — 2 ივლისს

იქნებ გსმენიათ კიდეც ჩემზე, ბეზარო ხატმწერზე, თერთმეტი ტაძრის მომხატავზე, რომელთაგან ზოგიერთს ტურისტულ გზამკვლევშიც წააწყდებოდით როგორც ქალაქის ღირსშესანიშნაობას, სადაც ელიტარული ფენის წარმომადგენლები მგზნებარედ უსმენდნენ ლოცვებს, თითქოს ერთი სიტყვაც არ უნდა გამორჩენოდათ. იქ თვით ეპისკოპოსები წირავდნენ, მიტროპოლიტის ხარისხში რომ იყვნენ აყვანილნი, ერთი მათგანი კი პატრიარქის თანამოსაყდრედაც მოიაზრებოდა. ხატების რაოდენობას კი ვინ მოთვლის, ისეთი თავგამოდებით ვმუშაობდი, კვირაში ორ-სამსაც ვასწრებდი. იმ პერიოდში სახელი დიდად გამივარდა და შეკვეთას შეკვეთაზე ვიღებდი. ასე კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ წლების შემდეგ ტაძრის მოხატვის მსურველებს უარით ხშირად ვისტუმრებდი. სახსრების ტკივილი დამჩემდა და ხარაჩოებზე ძრომიალი აღარ შემეძლო. მერე სხვა ხედვა დამკვიდრდა და შეკვეთებმაც იკლო.

ყველაზე ღრმა კვალი ჩემზე მეთერთმეტე ტაძარმა დატოვა, სულიწმინდის ნიშმა, თუმცა ამას სხვა მიზეზებიც ჰქონდა. საქმე, რომელიც ფუნჯებსა და საღებავებს ეხებოდა, არაქანში შევისწავლე, ხოლო სამხატვრო სემინარიის გასრესილი მწერებით მოსვრილი და კვამლით გამურული ფანჯრებიდან ეგ ბაზილიკა მოჩანდა სწორედ. ხატვის გარდა სხვა ხელობა არცა მქონია. ხატწერა მაშინ გადავწყვიტე, მსგავს პერსონაჟებს ცხოვრებაში რომ გადავაწყდი. ყოველ შემთხვევაში, წმინდანები ასეთებად წარმომედგინა. იმდენად შთამბეჭდავნი იყვნენ, მათი სახება მეხსიერებაში შანთებით ამომეტვიფრა, გამოსახატად მბზინვარე საღებავებს ვიყენებდი, საუბარი კი ბანგივით ზემოქმედებდა. ვგრძნობდი, ერთ დღესაც ფუნჯსა და კალამს შორის არჩევნის გაკეთება მომიწევდა, რადგან თავს გადახდენილი ამბები მოსვენებას არ მაძლევდა. ამიტომაც მივადექი სიტყვებს, როგორც ურიცხვი ქვების გროვას, სანამ საჭირო სიმწყობრეს მივანიჭებდი. გრძელ ამბავს როცა ჰყვები, თითქოს ვრცელ დარბაზს ალაგებდე, არც კი იცი, საიდან დაიწყო. ჩემი თვალით ნანახს ზედმიწევნით გიამბობთ, ხოლო რასაც არ შევსწრებივარ, იმ ადამიანთა მონაყოლით შევავსებ, ვისი ნათქვამიც სარწმუნოდ მიმაჩნია.

ჩემს მხედველობაში რაც ხვდებოდა — ხავსების გასწვრივ მოლიცლიცე ჭავლები თუ კვამლივით გაწელილი ღრუბლები — ჩემს ნამუშევრებში იყრიდა თავს. ბუნება უბადლო ზემხატვრად მიმაჩნდა, მოსაფიქრებელს ბევრს რომ არაფერს მიტოვებდა, მაგრამ რაც უფრო ღრმად ვეშვებოდი მოგონებებში, განცდილს მეტი სიმძაფრით აღვიქვამდი. ადრე სხეული ბუმბულივით მჩატედ დამქონდა, ახლა ლოდივით დამიმძიმდა, თითქოს თოკებით დავათრევდე. დრო სწრაფად გადის და მოგონებებს დაგვადევნებს, გზადაგზა ელემენტარული ნაწილაკებივით რომ ქრებიან და ჩნდებიან. ძალების დაზოგვა იმისთვის გვჭირდება, მათთან გამკლავება რომ შევძლოთ, რადგან საქმეები ისე ვერ მიგვდის, როგორც ვგეგმავდით. ცხოვრება თავისი გრანდიოზული მშენებლობების წამოწყებას როცა გადაწყვეტს, იმ ტერიტორიებზე ჯერ ოცნებათა კოშკებს მიასწორ-მოასწორებს ხოლმე მიწასთან. მღვრიე წყლებით მიუშვებს ნაკადულებს, სევდასავით გამჭვირვალე რომ არის და ვიწრო კალაპოტშიც ინარჩუნებს სიანკარეს, თუნდაც შიგნით თაბაშირის ნამტვრევები ეყაროს და დამჭკნარი ფოთლები დაცვენოდეს და სათქმელსაც ხშირად გაწყვეტინებს, სიტყვა რომ გაგეწელოს.

დღესავით მახსოვს ის უბანი, ოდნავ მბჟუტავი გარე განათებით. იქ მდგომთა კედელზე აღბეჭდილი ჩრდილები, სადაც ჩამრთველი დაემონტაჟებინათ. გამნათებელი დიდად ვერ ქაჩავდა, რადგან შეთავსებით სხვა პარამეტრებს საჭიროებდა, თუმცა მათ ეს არ აღელვებდათ. მხნე სიმღერებით ახმოვანებდნენ გულისძგერას. შემთხვევით ჩავლილი ტურისტი თვალს მიეფარებოდა ხოლმე, რადგან გაგონილ ბგერებს ველურ აღტყინებად აღიქვამდა და შიში იპყრობდა. ამ მოდგმის უნდა ყოფილიყავი, ეს შემართება რომ გეგრძნო. აბა, იმ ხალხს რას გაუგებ, ვისი ფოლკლორიც არ გესმის, იმ სიხარულს როგორ გაიზიარებ, ნანგრევებში დღესასწაულს რომ ამართინებთ. ხვალინდელ ამინდზე, სულ რომ წვიმა და თქეში ყოფილიყო, ისეთი მხნედ ლაპარაკი გაისმოდა, თითქოს წინასწარმეტყველი ქადაგებსო, ხოლო დანარჩენები გაფაციცებით უსმენენო. ჭკვიანები რიცხობრივად ვერასოდეს აღემატებოდნენ ბრიყვებს, თუმცა ჭეშმარიტად ჭკვიანი ის იყო, ვინც სასუფეველში დაემკვიდრა.

რისი შემსწრეც არ ვიყავი, სხვებმა მიამბეს. რაც არ უამბნიათ, ლეგენდებით შეიმოსა, საბოლოოდ, ერთი მთლიანი ამბავი გამოვიდა. თუმცა სულის მოძრაობის ყოველ წვრილმანს ვინ შეიცნობს გულთამხილველის გარდა. დარბაიძეების შესახებ იქნებ ბევრსაც სმენოდა, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იმავეზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომელიც ისედაც ყველამ იცოდა. როცა სთხოვდი, მათზე რაიმე მიამბეთო, რომელ დარბაიძეებზეო, გკითხავდნენ, მდინარეს მიმართულება რომ შეუცვალესო? თუ ეტყოდი, ეგ ისედაც ვიცი, სხვა დეტალები გაიხსენეთო, თუნდაც გერაზე, დარბაიძეების უფროს წარმომადგენელზეო, გიპასუხებდნენ, სწორედ გერას მიზეზით იყო, მდინარემ მიმართულება რომ შეიცვალაო, ამხელა ნაკადი ყულფივით მოისროლაო მთის იქით მხარეს. ლაპარაკი ყოველთვის ჩიხში ექცეოდა და შეთქმულებივით დუმდნენ, თითქოს სხვა არაფერი იცოდნენ და არც აინტერესებდათ. არ ელოდნენ, ეს ამბები ამდენ მითქმა-მოთქმას თუ გამოიწვევდა, თორემ მეტს გამოიკითხავდნენ, რადგან, იცოცხლე, მოყოლა და ყურადღების ცენტრში მოქცევა მუდამ ეწადათ.

*

არაქანში იმდენხანს დავყავი, დარბაიძეების ოჯახი ახლო გავიცანი, მდუმარე მეუფის შესახებაც შევიტყვე, მალქოზი კი საერთოდ ღვთის კაცად მივიჩნიე და მიკვირდა, გამვლელები ხელს რომ არ ართმევდნენ და გულგრილად ჩაუვლიდნენ ხოლმე. თუმცა ისინი დიდად არც თავის მომავალს გეგმავდნენ, სურვილი კი ჰქონდათ ცხოვრების განკარგვისა, მაგრამ როგორც კი წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, მაშინვე ემიჯნებოდნენ. ყველაფერი ხომ ერთმანეთისგან გამომდინარეა და ჯაჭვის რგოლებივითაა გადაბმული. თვით ამინდიც, დედამიწის ხასიათი, ზოგჯერ იმდენად ცვალებადია, უკაცური უდაბნოც ჰკარგავს მყუდროებას. დრო როცა მქონდა, მიყვარდა სამკითხველოს სიმყუდროვეში ფილოსოფიური წიგნების კირკიტი, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის პეშვებით ხაპვა. ყოფიერება მიზეზ-შედეგობრიობის მონაცვლეობად მიმაჩნდა, მატერიალური სამყაროს გამოვლინებად, რომლის საიდუმლოებებში შეღწევას გონებით ვცდილობდი. მჯეროდა სივრცეთა მსგავსების, რომ სიღრმე და ზედაპირი ერთმანეთს გულისხმობდნენ. ასე ვფიქრობდი, სანამ მალქოზს არ გადავაწყდი, არაქანელ სალოსს, სიცოცხლეში სასმელ წყალზე მეტი ღვინო რომ ექნებოდა დალეული, მაგრამ მისთვის ზეცას იმხელა სიბრძნე ებოძებინა განძით სავსე სკივრივით, რომ მის დაბადებას ყაჩაღებიც იზეიმებდნენ, მონაზვნები სეფისკვერებს დააცხობდნენ, მაწანწალები ნაჟურ ღვინოს შესვამდნენ, ვეზირების მიერ დაწურულს, ხოლო როცა ჟამი მოაწევდა, მისი გარდაცვალება მეფესაც დასწყვეტდა გულს, დედოფალს ცხარე ცრემლით აატირებდა, ხოლო წესს თვით პატრიარქი აუგებდა.

საქმე ღვინის სმაში როდი იყო, ასეთების მეტი რა მენახა. ერთი მათგანი ლოთების ვრცელი მოდგმიდან ჩვენ მეზობლადაც ცხოვრობდა ძველქალაქში. იმ დღესაც სადგურში მიმავლებს გზაზე გადაგვეჩეხა. ლუდხანიდან გამოსული ლამის ზედ გადაემხო კატას, ანჩხლი კნავილივით რომ გამოხატა აღშფოთება, მე კი, ბეზარო, ვფხიზლობდი, რადგან დილა იყო და დღის მანძილზე აბეზარი ყაყანით მოზუზუნე ბაზარი ჯერაც მთვლემარე სიმყუდროვეს მისცემოდა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ ისმოდა, თუ არ ჩავთვლიდით მეეზოვეს, გრძელი ცოცხით ბოსტნეულის ნარჩენებს რომ აკოწიწებდა. ურნასთან მისვლას ერჩივნა, რუში ჩაეყარა, რომელიც მდინარეს უერთდებოდა. იქ, სადაც ბევრი ადამიანი ირევა, გამდინარე წყალიც ბლანტია, ხოლო სადაც თითო-ოროლა — ანკარა. ეს ჩვენი ლოთი კი მეეზოვეს მიუახლოვდა და მჭერმეტყველურად ამცნო, ფოთლები ქარივით მოეგავა. მერე დარიგებას მოჰყვა, ასე დაგვა სად გაგონილაო. აბა, როგორო, წააქეზა მეეზოვემაც და ცოცხი ცნობისმოყვარედ გაუწოდა. ამ ჩვენმა ლოთმა ნახევარი ეზო ისე გამოგავა, მეეზოვის დამოძღვრა არ შეუწყვეტია — აი, ასე უნდაო, აი, ასეო, დაიმახსოვრეო. ისიც დინჯად და მთქნარებით მიჰყვებოდა, რა კარგად გამოგდისო ეგ საქმეო, რა ლაზათიანადო, ლამის შურმა შემჭამოსო, თავს კმაყოფილი აკანტურებდა. ცოცხი ქვაფენილზე ცვდებოდა, ხოლო მის გასწვრივაც გამჭოლი ვიტრინები ფერადი ვიტრაჟებივით ბრჭყვიალებდა. მანეკენები არაბული აკაციებივით მშვენიერები იყვნენ, მაგრამ ბებიაჩემს ქალებად რომ აღექვა, გრძელი კაბები უნდა ცმოდათ. სიბერე მკაცრი მხატვარია, ახალგაზრდობაში შექმნილი მშვენიერი ესკიზების გადადღაბნას რომ იწყებს, თითქოს დახვეწილი ფორმები მოჰბეზრებია და მის წაშლას ლამობსო. სიბერე ის ჟამია, ძველი და ჭრიალა გემი უკანასკნელი ნაოსნობიდან დაბრუნებული ახალბედა გემს გულგრილად რომ შეავლებს მზერას, რომელიც ზღვაში პირველად გადის, გაბადრული აფრები საზეიმო ბაფთებივით უქათქათებს და გემბანი პრიალა პარკეტივით უბრწყინავს, მზერას კი ზეცას არ აშორებს, თითქოს სინათლის ზღუდეებში თავისი ბედის ვარსკვლავს დაეძებსო.

კიდევ დიდხანს ვიცინებდი ამ ლოთისა და მეეზოვის შემხედვარე, მაგრამ გზას ვადექი, საბოლოო ჯამში სასაფლაომდე რომ მიმიყვანდა. მაშინ ასე სულაც არ ვფიქრობდი. ახალგაზრდა ვიყავი, ბებიაჩემი კი ორთქლმავლების ხმაურში გაბზარული ხმით მემშვიდობებოდა, სიტყვები იმსხვრეოდა და იფანტებოდა, ხოლო ბებიაჩემი განშორების ცრემლებს კვამლის გამონაბოლქვს აბრალებდა. მისი დარიგება მკაფიოდ ჩამესმოდა — დაიმახსოვრე, ბეზარო, ჩემ გარდა ბიძაშენი ერთადერთია, ვისაც შენზე გული შესტკივაო. პაპაჩემი კარგა ხნის გარდაცვლილი იყო, მე კი მის უმცროს შვილთან მივემგზავრებოდი არაქანში, ჯიბეში ერთი უნცია ქაღალდის ფულად მედო და ერთიც ხურდებად მიჩხრიალებდა, მგზავრთაგან თავი ყველაზე მდიდარი მეგონა, ხოლო ტამბურთან მდებარე საპირფარეშო ისე ყარდა, იქ შესვლას დათმენა მერჩივნა. ასეც ვიქცეოდი და გატანჯული ვფიქრობდი ნათელ მომავალზე. ბიძაჩემის კი დიდად მადლიერი ვიყავი, ხატვის ნიჭი რახან აღმომაჩნდა, ბებიაჩემს შემოუთვალა, არაქანში გამოგზავნე, სამხატვრო სკოლაში მივაბარებ და თან ჩემს ხელობასაც შევასწავლი, ულუკმაპუროდ რომ არ დარჩესო.

მატარებელი დიდხანს და მოსაწყენად მიჩაქჩაქებდა, ჩემ წინ ამაყი პროფესორი იჯდა, მაღალფარდოვანი ქადაგებით ყურებს მიჭედდა და გაბეზრებული მგზავრებიც მთქნარებით უსმენდნენ, რადგანაც დროის გაყვანის მეტი სხვა საქმე არცა ჰქონდათ. პროფესორი წიგნებში ამოკითხულ მოაზროვნეთა ნააზრევს თავის დამსახურებად მიიჩნევდა, თან მნიშვნელოვანი შესწორებებიც შეჰქონდა — პლატონმა ეს კარგად თქვა, არისტოტელეს კი ამაში არ ვეთანხმებიო. დიდ ავტორიტეტებს ისე მოიხსენიებდა, თითქოს იქვე, მეზობელ ვაგონში მსხდარნი ჩვენთან ერთად მგზავრობდნენ. კარგა ხნის მერე საყვირის ხმა გავიგონეთ და ფანჯრიდან არაქანი გამოჩნდა, ნაცრისფერი დასახლება. პირველი შთაბეჭდილება იმგვარი იყო, წაქცეული ხის დახატვა მომინდა, რომლის დახერხვაც ვერ მოესწროთ და დიდხანს და უმოწყალოდ ეგდო ხევში, პირქვე დამხობილი ქვრივივით, მიუსაფრად რომ მოთქვამდა ზანზალაკივით წკარუნა მდინარესთან. ისევ ეს სინოტივე და წყალთან ტრფობა სჯობდა, რადგან ცეცხლს თუ შეიყვარებდა, ქორწინება ხანძრად ექცეოდა. ბორბლების შენელებული რახრახი ქალაქის შეხმიანებად აღიქმებოდა, იდუმალი ხმები კი, ვაგზალში რომ გაისმოდა, დაეჭვებულ ბუტბუტად, თვითონვე რომ არ სჯერათ თავისივე ნათქვამის, ხოლო დროდადრო საყვირების გაბმული კივილი ამ ეჭვებს მეტ დამაჯერებლობას ჰმატებდა. მცხოვრებთ ხელები თიხით მოთხვროდათ და ერთადერთ საფიქრალად არსებობა ქცეოდათ. ბედნიერების ზედაპირზე მიმგნებნთ დაბრეცილი ფეხსაცმლები ეცვათ, საყელო და გულისპირი კი ერთთავად გაღეღილი ჰქონდათ. თავიანთ მრავალრიცხოვან შვილებს ორჭოფში ბადებდნენ მხოლოდ იმისთვის, ესენი რომ დაემარხათ. მერე შვილები გააჩენდნენ თავიანთ დამმარხველებს და ეს თანმიმდევრობა მკაცრად უცვლელი რჩებოდა. იმდენ ფულს მაინც ვერ იშოვიდნენ, ერთმანეთი დავიწყებოდათ. ყოველ საღამოს გათენებისა ეშინოდათ, ყოველ განთიადზე დაღამებას ნატრობდნენ. ყურძნის მტევნებივით გამჭვირვალე სხეულებით რუხ აჩრდილებს შორის განაგრძობდნენ ცხოვრებას. ანჯამების ჭრიალზე იქით არც იყურებოდნენ და ფიქრებს მისცემოდნენ, როგორც ნავები მიჰყვებიან დინებას, კუშტ გამოხედვას კი ამინდიც მკაცრი და პირქუში უხდებოდა. საცხოვრებელი სახლები წყალში არეკლილს ჰგავდა. ხუჭუჭა თმებივით გაკრეჭილი ბუჩქების თავზე მომცრო ღრუბლები ქარს ისე გადაჰქონდა, თითქოს ცარიელ ვაგონებს ბუქსირით მიათრევსო. ორთქლის ქულები უკან რჩებოდა, გეგონებოდა, გოლიათებს ჩაევლოთ პაპიროსის წევით. მაზუთის ფერად გუბეებში ზეთით მოსვრილი განძელები ეყარა და ორთქლმავლების ხმაურს რესორების წრიპინი და ქვაბებისა და ცილინდრების დახშული ქშენა ერთვოდა. აქ არც პეპლები დაფარფატებდნენ და მოტორტმანე ჭიშკრებიც კარგა ხანია, არავის შეეღო. მოცახცახე ცაცხვებთან ვაგზლის უფროსი უმიზეზოდ ღრიალებდა. ალბათ ეგონა, ასე ძლიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებო, ბაქანზე ჩამოსული პროფესორი კი ბაქიბუქს განაგრძობდა, არაქანში აკადემიის კათედრაზე მიმიწვიესო, თავდაპირველად არ ვთანხმდებოდიო, რადგან პროვინციისკენ გული არ მიმიწევდაო, ძლივს დამიყოლიესო. არაქანში ეგ ერთადერთი სასწავლებელი ჰქონიათ და სამხატვრო სექტორიც ალბათ იქ იქნებოდა, ჰოდა, ვინ იცის, რამდენჯერ გადავყროდი. იქნებ რა-

იმე საგანი ესწავლებინა კიდეც. მთელი გზა მატერიის უკიდეგანო შესაძლებლობაზე რომ გვმოძღვრავდა, ბაქანზეც ამას ქადაგებდა:

— ადამიანმა სიცოცხლე სიცოცხლეშივე უნდა ამოწუროს, გზისთვის განკუთვნილი საგზალი გზაშივე რომ გაიხარჯოს!

ასეთი მოაზროვნეების ხელში ჩავარდნილი ქვეყანაც შეგეცოდებოდა, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ იყო, მაგრამ მოულოდნელად ვიღაც მდიდრულ პიჯაკში გამოწყობილი გლახაკი გამოჩნდა, შარვალი მაწანწალისა რომ ეცვა. ეს ორი რამ ერთმანეთთან იმდენად შეუსაბამო იყო, თითქოს საზოგადოების ორ სხვადასხვა ფენას განასახიერებდა — მუშასაც ჰგავდა და ინტელიგენტსაც.

— ამის საფუძველს რა გაძლევთ? — დინჯად ჰკითხა მან პროფესორს, თითქოს ყველაფერი გაეგონა და კამკამა ლურჯში გარდამავალი ხასხასა მწვანე თვალებით მიაჩერდა. მეგონა, რომ პროფესორი პასუხის ღირსადაც არ ჩათვლიდა, მაგრამ რატომღაც გაჩერდა და თავისი უბრალოებისათვის რომ გაესვა ხაზი, გამოელაპარაკა.

— თვალსაჩინოება, რომელიც ჩემ გარშემოა!

— ურწმუნო ყოფილხარ! — ნაღვლიანად მიუსამძიმრა გლახაკმა.

— სამყარომ თავისი თავი თვითონვე შექმნა, ამ საკითხს დიდხანს და გულდასმით ვიკვლევდი, ხარისხიც კი დავიცავი! — მგზნებარედ შეეპასუხა პროფესორი.

— კიდევ უარესი! — ხელი ჩაიქნია გლახაკმა, — ხარისხიანი ურწმუნო ყოფილხარ!

— შენ თვითონ ვინღა ხარ? — მოთმინება დაეკარგა პროფესორს.

— მალქოზი მქვია, ადგილობრივი მნიშვნელობის გლახაკი ვარ, ძირითადად, ბაზრობებზე ვმოღვაწეობ!

— მოღვაწეობას რას ეძახი? — ჩაეღიმა პროფესორს.

— ვმათხოვრობ! — სახე გაებადრა მალქოზს.

— მაშ სხვების ხარჯზე ცხოვრობ?

— ჰო, მაგრამ უპირატესობაც გამაჩნია!

— რა უპირატესობას გულისხმობ?

— მორწმუნე ვარ!

— მაინც რა გაძლევს რწმენის საფუძველს? საკუთარი ბედით კმაყოფილება?

— თვალსაჩინოება, რომელიც ჩემ გარშემოა!

— ნუ ნაღვლობ! მალე შენც გაგაცნობიერებენ, ახალი დრო მოდის ახალი მქადაგებლებით, რომელთა რიცხვში მეც მოვიაზრები!

— ანტიქრისტეს ჯარს აგროვებთ?

— ჩვენი კამათი უსაგნო ხდება, ამიტომაც დაგტოვებთ, კათედრა მელის!

— კათედრა ურწმუნოების დასათესად?

— კათედრა თვალების ასახელად!

— შორსმხედველი ბრძანებულხარ!

— მალე უმეტესობა ჩემნაირად იაზროვნებს!

— ამდენი რა დააშავა კაცობრიობამ?

— სწორედაც რომ პირიქით, სწორ გზაზე დადგომა დაიმსახურა, აბა, როდემდე ეცხოვრა მაგ ზღაპრებით!

— ზღაპრებით ის ცხოვრობს, ვისაც არა სწამს, შენ კი ფრთხილად, არ წაბორძიკდე!

— ისედაც ბევრი დრო დაგითმე. ცუდად მენიშნა, უცხო ქალაქში პირველად გლახაკს რომ გადავეყარე!

— ნიშნების გჯერა?

— მატერია თვითმყოფად კანონებში მოიაზრება. ამის გასაქარწყლებლად ვერც ერთ მტკიცებულებას ვერ წარმომიდგენ. ლოგიკით ის ქვეყანა არ არსებობს!

— ურწმუნო იმიტომ ხარ, რომ ღმერთს არ ენდობი. ურწმუნოება უნდობლობაა. განა, გაჩენა შეგითანხმეს? მაგრამ ხომ გაჩნდი! ლოგიკით კი არც ეს ქვეყანა არსებობს!

— მაშ ეს ყველაფერი რა არის? ილუზია და სიცარიელე? მეცნიერულ მიღწევებს და მოაზროვნეთა პოსტულატებს უგულებელყოფ? — გაგულისდა პროფესორი.

— დიდება ქრისტე-ღმერთს ფილოსოფოსთა სიბრძნე სისულელედ რომ აქცია! — დასჭექა მალქოზმა და პირჯვარი გადაისახა.

პროფესორმა პასუხის გაცემას არჩია, სწრაფი ნაბიჯებით გაცლოდა, თითქოს რისხვას გაურბისო, მაგრამ ქვაფენილთანაც არ იყო მისული, ბორდიურს ფეხი რომ წამოჰკრა და ძირს გაიშხლართა.

— ეს რა მოგსვლიათ, პროფესორო! — გასძახა მალქოზმა, — კათედრამდე ჯერ ხომ შორია!

პროფესორი ფორთხვითა და ფერთხვით წამოდგა, თან დაჟინებით ცდილობდა, დაენახა, რას გამოსდო ფეხი. პენსნეც გაბზარვოდა და გაგულისებული მიუბრუნდა ირგვლივ შემოჯარულ გახალისებულ არასრულწლოვნებს — ნეტავ, თქვენ რაღას ხორხოცებთო. გლახაკი კი გაჰყვიროდა:

— ერთადერთი კათედრა ამბიონია!

ეს სიტყვები ფოლადის ჟღარუნივით გაისმოდა ისედაც ზრიალა ჰაერში, რომელსაც ორთქლმავლები გუგუნით ფხრეწდნენ და აქუცმაცებდნენ. ეს სცენა მუდამ მემახსოვრებოდა, როგორი სიჯიუტით მიიწევდა პროფესორი კათედრისკენ ურწმუნოთა არმიასთან შესაგებებლად, როგორ იშვერდა მალქოზი ხელს ტაძრის გუმბათისკენ და მათი შემხედვარე როგორ მხიარულობდა ლაღი ახალგაზრდობა, ხვალინდელ დღეს დღევანდელი რომ ერჩივნათ.



*

მე რკინიგზის ჩიხს მივადექი მოფარებული ადგილის ძებნაში. ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცოდი, სწორედ მაშინ ჩამოივლიდა გრძელი შემადგენლობა მოყაყანე მგზავრებითა და ჟღარუნა ზანზალაკებით, უმსგავსობაში რომ ვემხილებინე, თუმცა მსგავსი არაფერი მომხდარა. ვაგზალზე რომ მივბრუნდი, მატარებელთან ხალხი ჯერ კიდევ ირეოდა. მებარგულეები ბლომად ფულს შოულობდნენ, ბაქანზე კი მეეტლის აღჭურვილობით შემოსილი კაცი ტრიალებდა.

— შენ, ეი, ფუტლიარო, იარლიყი სად დაკარგე? — მიმართა ჩასუქებულმა ბატონმა.

ფუტლიარმა მხრები აიჩეჩა.

— შენი შრომა რა ღირს მეთქი, ბრიყვო, ვერ უნდა მიხვდე, ეტლი რომ მჭირდება! — ზიზღით გამოცრა კბილებში.

— ცხენი მყავს შეუძლოდ!

— მაშ აქ რა ჯანდაბას აკეთებ! — კიდევ უფრო გაცეცხლდა ბატონი, თითქოს სხვების აყოლიებას ცდილობსო, — არც შენ ყოფილხარ ჯანმრთელად! შენისთანებს თავი უნდა გაუხეთქო! ბედი შენი, რომ კარგ ხასიათზე ვარ, თორემ გიჩვენებდი სეირს!

კარგი ხასიათი თუ ასეთი ჰქონდა, ცუდი როგორი ექნებოდა.

— რას მერჩი? — ლუღლუღით ამოღერღა ფუტლიარმა, როგორც კი თავის გახეთქვის შესახებ გაუმხილეს. აშკარად თემის შეცვლა სურდა.

ამ დასახლებაში კაცი მომჭირნედ ცხოვრებას ყოველთვის შეძლებდა. დღიური სამუშაოები მუდამ გამოინახებოდა. მებარგულე ყველას სჭირდებოდა, აგრეთვე ტვირთის ჩამომცლელი და ღობის მღებავი. მოყანყალებული ბაქანი და ხის შენობა, დროებით სადგურს რომ წარმოადგენდა, ოდესღაც ცხენების თავლა იყო. ფრინველებს სახურავზე ჩამოსხდომა და ფრთების ჩამოსვენება იმ დროიდან თუ მოსდგამდათ. შორიახლო მაღაზიასთან შავებით მოსილი მანდილოსნები გულღიად საუბრობდნენ. ერთმანეთთან ქვრივობამ თუ დაამეგობრათ. შინ დაყენებულ მოტკბო ლიქიორს მომცრო ჭიქებით ნეტარად წრუპავდნენ და მასლაათობდნენ. ტანსაცმლის მაღაზია უფრო მაღალს ეკუთვნოდა, ძენძებს დაჰფოფინებდა და სახეზეც მფარველის იერი აღბეჭდოდა. ჭირვეულ და აბეზარ ხალხს გაურბოდა. ვარსკვლავების განლაგების ისე სჯეროდა, სქემას ყოველთვის ითვალისწინებდა. ისე ნაბიჯსაც არ გადადგამდა. სახლიდან გასვლისას კარის გაჯახუნება სჩვეოდა. სარფიან დღეებში წვეულებებს მართავდა. სჯეროდა, ასე თუ მოვიქცევი, კვლავაც გამიმართლებსო. ბევრს ლაპარაკობდა და თუ საუბარს აწყვეტინებდნენ, ცერად გადახედავდა მოღუშული. სიიაფეშიც ბევრი არაფერი მეყიდებაო, ჩიოდა. მყიდველს ფასდაკლებითაც ვეღარ ვიზიდავო. ოდესმე ეს მიტოვებული მხარეც შეიძენდა დიდ სავაჭრო მნიშვნელობას. ქალაქის გულისცემა ზარების რეკვით გამოიხატებოდა და მატარებლების გუგუნით, სადგურს რომ მოაყვირებდნენ ხოლმე დროდადრო. მკვიდრად ნაშენი შენობები მოფამფალებულიყო და ზოგან ბიჯგები შეეყენებინათ. ქვრივები კი სატელეგრაფო ბოძებივით ზუზუნებდნენ:

— ის ქალი ვინ არის, კონდახივით ცხვირი ლამის დახლს რომ წამოსდო?!

— ყრუ კირილეს ცოლია!

— საწყალი, ყრუს რამ გააყოლა?

— რამდენჯერ განუცხადა უარი ცოლობაზე, მაგრამ ყრუს ვერაფერი შეასმინა!

ყრუ კირილეს ცოლმა, ბედით აშკარად უკმაყოფილო რომ ჩანდა, უცებ ისე ხმამაღლა დააცემინა, რომ მტრედები დაფრთხნენ და ქვრივებს სიცილი წასკდათ.

— ანგელოზები დაგყვებიან! — შეეგება მას მალქოზი.

— მერედა რატომ არ გამოჩნდებიან, როცა აბეზარი ადამიანები ნერვებს მიშლიან! — წიკვინით გაეპასუხა ყრუ კირილეს ცოლი.

— ფსკერამდე გაცლიან, ხელი რომ ჩაგავლონ ასაქაჩად!

მალქოზი ეკლესიას მიუახლოვდა და მოწინავე მრევლს გაესაუბრა.

— თქვენ ხართ პირველები! — მიმართა აღტაცებით.

— თქვენც შენიშნეთ! — გამოეხმაურნენ ისინიც.

— მე ვიგულისხმე, რომ თქვენ ხართ პირველკლასელები!

ეს უკვე შეურაცხყოფად მიიღეს, მაგრამ აყალ-მაყალი არ აუტეხავთ, მხოლოდ ზნეობრივი აღმატებულებით შეაქციეს ზურგი. ერთი მათგანი კი აღშფოთდა, ამას რატომ გვკადრებო.

— მაშ რად ჩამოგტირით სახეები?

— ვიმხიარულოთ იმ სოფელში, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს?

— იმხიარულეთ იმ სოფელში, სადაც ქრისტე აღსდგა!

მერე ხალხმრავალ ადგილს მიაშურა.

— ჩვენი წარსული ყარს, როგორც მდინარის გარეშე დარჩენილი კალაპოტი! — შემაძრწუნებლად გაისმა მალქოზის ხმა, — დილას თუ სიმართლით დაიწყებ, საღამოს ჩაგქოლავენ!

— მაშინ როგორ მოვიქცეთ?

— სალოსურად! ზოგიერთი აქაურობას იმდენხანს შერჩება, ორთქლმავლით ჩამოსულს წასვლა ელმავლით მოუწევს! — განაგრძო მალქოზმა.

მე ხომ არ მგულისხმობს მეთქი, მიმოვიხედე. ღვთის ანგელოზებს სიბრძნე მის დარ მოღვაწეებში გადაემალათ, როგორც საიმედო საცავში. ცხოვრება მართლაც ელვის სისწრაფით იცვლებოდა, მე კი იმდენ ხანს მომიწევდა ყოფნა არაქანში, ცივილიზაციის მსახვრალი ხელი ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიებსაც დაეტყობოდა. ინტენსიური სამუშაოების მიზეზით განუწყვეტელი ხმაური აქაურობის შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. მდინარის გაღმა მთა ჩანდა. მერე გავიგე, იმ ადგილს ქორების მიწას რომ ეძახდნენ. ქორები მართლაც ბლომად ირეოდა, გამყინავად ხმითა და ფრთების ფლაშუნით დასტრიალებდნენ მიდამოს. თითო-ოროლა ქორი თუ ჩანდა, ხანგრძლივი ფრენით დაოსებული მიწაზე რომ დაშვებულიყო.

მერე მალქოზს ადევნებულმა ლუდხანაში ამოვყავი თავი. იგი გარემოს ისეთი გაფაციცებით აყურადებდა, თითქოს ანგელოზების ხმები ჩაესმისო. კათხა მიიყუდა და პიანინოსკენ გაემართა. სიმღერის სიტყვებს მკაფიოდ გამოთქვამდა. მისი გრძელი, გამხდარი და სტაფილოსავით დაკოჟრილი თითები ისე ხტოდნენ კლავიშებზე, ბრჭყვიალა თევზები რომ სხმარტალებენ ჩქერებში შავი და თეთრი ქვების ფონზე. მისი მოსმენა ერთ რამედ ღირდა. ხმის ტემბრიც უცნაური ჰქონდა, თითქოს მიწის ზანზარს ეხმიანებაო. ტექსტი კი ამგვარი იყო:

— ანგელოზები ვეღარსად ვნახეე, ანგელოზები აღარ არიაან!

— რა უცნაურად უნათებს სახეე, რა ნიჭიერი მათხოვარიაა! — გაურითმა ვიღაცამ.

— როგორ ბედავ ღვთის წინასწარმეტყველის დაცინვას! — მრისხანედ დაუტია მალქოზმა. ისიც შეშინებული გარეთ უხმოდ გაიძურწა. ლუდხანის სტუმრები ერთ დაზგაზე გამოჩარხულებს ჰგავდნენ. უჩვეულო მუსიკას უსმენდნენ და ფანჯარაში თუნუქის სახურავებს გაჰყურებდნენ. მოკირწყლული ქვაფენილი ნაპირზე გამორიყული მითიური არსების ქერცლივით ბზინავდა. ქალბატონები ზედ მედიდური ბაკუნით დააბიჯებდნენ, როგორც მოკლული ნიანგის ტყავზე. ქუჩის გასწვრივ კი ყოველი დარბაზი და შესასვლელი ბჭეებით ამოეგმანათ.

ფანჯარა ღია იყო და მდინარის აყოლებაზე გამხმარი ლელქაშის ფაჩუნი გაისმოდა. შიგთავსში სიო დაძრწოდა, თითქოს მდინარეს მოჰყვებაო და სილუეტებიც ბანცალით თრთოდნენ. ჭავლების ხმაური მითქმა-მოთქმას ჰგავდა, მეფის კარზე ატეხილ ჩურჩულს შეთქმულების იდუმალება რომ ახლავს. ადამიანებს სიმხნევე დაჰკარგოდათ და უცნაური გამოხედვა აღბეჭდოდათ, გეგონებოდათ, ეს იერი სამყაროს მიმართ დამზაფვრელმა შიშმა და პირველმა სტიქიებმა ჩამოუყალიბათო ჯერ კიდევ მაშინ, როცა იარაღს არ ცნობდნენ და არც ყვავილებს დასტრიალებდნენ სარწყავი ჭურჭლებით, სილამაზეს კი უხეშად თელავდნენ. ლუდხანის დერეფანში მთელ გაყოლებაზე ხალიჩები ეფინა. ფანჯრის ჩარჩოები ნესტს გაეჟღინთა. ტიხრები ერთმანეთში ვეღარ თავსდებოდა. სამაგიეროდ, ღობის ჭრიალი ისმოდა, გამყიდველი ქალების ჩავლილ ზეიმსა და მარტოდ დარჩენილობას რომ გულისხმობდა. ეზოში ბაზრობა გაემართათ.

— ჯერ თავის ხორცს რა ფასი დაადო და ახლა თავსაც როგორ იფასებს! — წუწუნებდა ვაჭარი, არაქანში ახალბედა, მაგრამ უკვე გვარიანად წარმატებული რომ იყო, — ვაჭრობაც როგორი ხეპრული აქვს!

გაგრძელება მე-6 გვერდზე

სიყვარული ერთიც არ არის

რაც ცუდია — ჩემია ყველაფერი,
ვგრძნობ, არავინ არ შემეცილება,
შორიდანვე ვიცი, რომ ცუდია და შემაქვს ჩემში,
ვგრძნობ, არავინ შემეცილება.

სჩანს, ცუდია ჩემი სამშობლო,
რადგან ჩემშია და არავინ შემეცილება,
ცუდია ხალხი და ადამიანიც,
რაკი ასე ვარ მას მიწებებული.

შესაბამისად, თუკი რამეს ამარჩევინებთ,
მუდამ ცუდს ავირჩევ.
სამყაროც, ჩემს არჩევანზე რომ იყოს,
ცუდი იქნებოდა,
მე თვითონაც რომ ვიყო კარგი,
ჩემს ცუდს მოვძებნიდი
და არავინ შემეცილებოდა.

სუყველაფერს მოკლე ანოტაცია აქვს,
სიყვარული ერთიც არ არის.
ლამის კაცმა შუბლზე დაიწეროს,
ლამის ქალმა სადმე შეიშვენოს,
სიყვარული ერთიც არ არის.

ღორობა უფრო მეტია, ვიდრე სიყვარული,
სიყვარული ერთიც არ არის,
იმიტომაც ვტენი სიტყვაში.

სიყვარული ერთიც არ არის.

ვწერე ღორობაზე და რა გამოვიდა,
სიყვარული ერთიც არ არის.

ქარიშხალი რომ დაეძებს,
ჩერო იფარავს,
სიყვარული ერთიც არ არის.

გრძნობაა და ხორცი არ არტყია,
უსვამ დანას და სისხლი არ გამოსდის,
სიყვარული ერთიც არ არის.

ყველას ჩამოთვლი და ერთიც არ გამოდის,
სანამ ცოცხალი ხარ, ტიტველიც გხედავს.
სიყვარული ერთიც არ არის.

აჰა, დამაქვს მკერდი და ისარი არა ჩანს,
აჰა, მყავს ცხენი და არ მიმაჭენებს,
აჰა, დავდივარ, დავიარები —
სიყვარული ერთიც არ არის.

ქაღალდი აიღეთ, ქაღალდის გამოჭერით,
ჯაზის დამკვრელები კარგია შორიდან,
კარგია სიმღერა ტირილის ხმაში,
კარგია, ყუით რომ დაირტყამ დანას,
ჯიბიდან რომ ამოიღებ სასოწარკვეთილი,
წვერით დაიღირებ
და ყუით დაირტყამ,
კარგია, რომ იტყვი — ძალიან მიყვარს
და იგრძნობ შვებას, რომ არც ისე გიჟდები.

მახსოვს, სიყვარულის დროს უენო ვიყავი,
დავდიოდი ჭალის მოზვერივით,
მოვისვამდი გულზე ხელს და სისხლი არ მეცხო,
ვკვდებოდი და ცოცხალი ვიყავი,
თავი მაგიჟებდა, რომ ასეთი ცოტა ვიყავი...

მიუწვდომელია სიყვარული,
უხილავში
ერთიც არ არის.
ამითია მართალი, ვინც თავს დაიწყევლის.

წარსული ლანდის წყალობით არის
სიკეთე და სიბოროტე — ორივე ლანდია,
ლანდი არის მიუღწეველი,
კაცს რომ მისცე, ბარტყივით მუჭაში გაჭყლეტს.

სიყვარულის ლანდი ცრუსხეულით დგას ფანჯარაში,
ძაღლად იქცევა — რომ არ მოძებნონ...

სიყვარული ერთიც არ არის.

მახსოვს, ვლაპარაკობდი, ვწერდი სიყვარულზე,
სხვები ჩუმად იყვნენ,
ისმენდნენ ამბავს, როგორც სიკვდილზე,
როგორც საძრახისზე,
რადგან არ სჯერა ადამიანს, რაც არ წაეცხობა,
არ გადადის მადლი მოკვდავზე,
ცრუ მონაჭორია მადლით მანიპულირება,

სიყვარული ერთიც არ არის.

ფერს წაიცხებს ქალი ათს ერთის მაგივრად,
არვინ ეტყვის — ფერი არ გეყოფა,
არც შენი კაბაა ჩიტის ბუმბულივით.
ლანდს ვერ მოკლავ, წვერითაც რომ დაიცე დანა,
ცრუსხეულით მუდამ ვერ იქნები.

მოსულა ქალი და წასულა,
ჩაურბენია კიბეები ჩუმი მონოლოგით,
ეგონა კი, რომ მოსული იყო
დიალოგისთვის.

ვუბოდიშებ თავს, რასაც სცენებს ხედავს —
მაპატიე, ჩემო თავო, რომ ასე დავკნინდი,
ვზივარ და ვუყურებ —
ღმერთო, როგორ დავკნინებულვარ ჩემი თავის წინ!

სიკვდილი ძველია და კაცი ახალი,
რა ქნას ერთმა, რა ქნას მეორემ,
მაპატიე, ჩემო თავო, ასეთ სცენებს რომ გაყურებინებ,
რომ ასე დავკნინდი.

მე რომ ქალი მომეწონება და რომ გავგიჟდები,
არ ნიშნავს, რომ ის ქალი ლამაზი არის,
მეტიც, ნიშნავს, რომ ულამაზოა,
იცხებს ფერებს და არა შველის.

ყველა ჩვენგანი ერთხელ მაინც არის ლამაზი,
ვინმეს რომ ეჩვენოს,
უშნოც რომ იყოს, მიგრეხ-მოგრეხს და ლამაზია.

ნედლი ლობიო, ზოგი ისე ხორციანია, მაკე გეგონება.
ჯიში დაკარგა ხალხმა, ლობიოსავით,
აღარ კითხულობენ, აღარ დაეძებენ,
მოსულია რაღაცისთვის, როგორც არაფრისთვის.

მკითხველის პოვნა უფრო ძნელია, ვიდრე დამწერისა.

მე რომ მოვკვდები, ამბავი იქნება შესაბამისი.
მასუკან, ბევრი ქალი იტყვის, რა ძაან მიყვარდა.
არ გამოეკიდოთ სიმართლეზე,
რაკი ამბობს, რომ მიყვარდა, ალბათ სწორია,
ისევე როგორც, სწორი იქნებოდა, რომ არ მყვარებოდა,
მაგრამ შემთხვევას არ ჰქონდა ადგილი.

როცა რაიმე სანახევროდ შესაძლებელია,
ასეც ითქმის და ისეც ჩაითვლება,
თუნდაც დროში და ქალაქშიც იყოს აცდენილი.
მე რომ მოვკვდები,
ასეთი სისულელის გამო არავინ დასაჯოთ,
ისედაც არასდროს მიფიქრია, რომ ვინმეს ვუყვარდი
და ეს გრძნობაც
ჩემი ალალმართალი ეჭვიანი გულით მოვიპოვე:
ისეთ ასაკიდან გავხდი ეჭვიანი,
ცოცხალს რომ გაღუნავს,
არც ნიჭი მიშველდა, არც ძალა მიშველდა,
მიხსნა თვალთმაქცობამ
და ვერ ამატყავებ.
ამიტომაც,
ყველა ქალისადმი
თანაბარვალდებული ვარ სიყვარულისთვის,
რადგან, როცა ქალი მიყვარდა — სახელი არ ერქვა.

ნუ აღშფოთდებით ზოგიერთზე, თავს თუ განიდიდებს,
მეც დიდების შვილი ვიყავი,
სახტად ნუ დარჩებით, კაციც ქალის გაჩენილია.
ნუ დაუწყებთ ძებნას ჭეშმარიტებას.
— ჭეშმარიტება არავის არ უყვარს, —
ასე იფიქრეთ.

„ძალიან მიყვარს!“ — იტყვის ზოგი,
დრო გავა და გამოიცდება: „არც ისე მიყვარდა!“

„ძალიან მიყვარხარ!“ — გეტყვის ზოგი,
თითქოს მიგაწყევლის,
სწორიცაა!
რითი არაა წყევლა — სიყვარული?

„ძალიან მიყვარხარ!“ —
არც სიყვარულია და არც სიძულვილი,
არამედ შენიშვნა.
შესაძლოა, იყოს განწირულებაც, ხვეწნაც შეიძლება,
შეიძლება უნდა, რომ ცოდვები გააზიაროთ.
„ძალიან მიყვარხარ“,
„არც ისე მიყვარხარ“ —
დობილებია, ბავშვობის თანაზიარები.

რომ გაუფასურდება, სიტყვებითღა იმკობა გრძნობა,
ამიტომ ნუ მეტყვი, შეგრცხვება:
„მაშინ ისეთი დრო იყო, ისეთი ფასები“,
გრძნობებს ჭირდებოდა სიტყვებით შეფუთვა,
რაც პაწაა გრძნობა, მით მეტია შესამკობელი.

არც ერთი არჩევანი სწორი არ მქონია,
თავზე ხელისგადასმაც კი სწორად არ შემეძლო,
მეჯავრება ყოველი ორი,
რომლისგანაც უნდა ავირჩიო,
რადგან არც ერთი არჩევანი სწორი არ მქონია,
ნაკლი მუდამ მეგონა ნიშანი,
ნიშანი კი მეგონა ღმერთისა,
ამიტომ სიცოცხლე სიკვდილში არ ამირჩევია,
თორემ უთუოდ სიკვდილს ავირჩევდი.

იცის ღმერთმა,
რომ არჩევანის უნარი წართმეული მაქვს,
გადაშენდებოდა სილამაზე, მე რომ ამერჩია,
თუ არ ექნებოდა მახინჯის ნიშანი,
ნუ ეგონებათ ქალებს, რომ სწორად ვირჩევდი,
ვისაც ნამდვილად ვუყვარდი, ნიშანს იკეთებდა
და მე ვცდუნდებოდი.
მე ეს ვიცი,
მოკვდავმა არ უნდა ირჩიოს სიკვდილი.

პატარძალო!
ორი მტერი ჰყავს ახალგაღვიძებულს —
დრო და სარკე!
რაც ლოგინიდან აჰყვება, ამ ორში უქრება
და ნელნელა აღმოჩნდება აჟიოტაჟში.
დახედავს ლოგინს, სადაც ეღვარა,
და გაჭრილი სამარეა, მკვდარი რომ გაექცა.

საგონებელში ჩავარდნა — წამალია,
მომავალში კაცს ერქმევა — ლოდინი,
ნათქვამ სიტყვით მოაკლებს ნათელს,
მოქმედებით ბნელს მოიმატებს.

პატარძალო!
ცოცხი არასდროს აიღო ხელში,
თორემ შეგრჩება და ვერ მოიცილებ,
ასე შემრჩა მეც ხელში ცხოვრება.
მობილური რომ არ იყო, რითი ველოდი?

პატარძალო!
გვიან გაღვიძებულს ბევრი გამორჩება!
ასე გამომრჩა მეც, ცხოვრება რომ ვერ ავირჩიე,
ცხოვრება სხვა ცეკვაა, ათასი ჭირდება ილეთი,
არჩევანი კი კაცის წამხდენია.
პატარძალო!
ზარმაცი რეგვენზეც უპირატესია.

ჰო, მაგრამ სადღაა კაცის ვაჟკაცობა,
ოდესღაც ხომ ამისთვის გაჩნდა ქვეყანაზე?
არა ყანყალისთვის, არამედ ცეკვისთვის,
რომელიც მის ყოველ სიტყვაშია.

რაგინდ მზეთუნახავი იყოს კაცი,
ახლობელს ვერ აღაფრთოვანებს,
ამიტომაა პირბადიანი,
ამიტომ უპყრია ჯოხი —
დისტანციისთვის,
რომ ბაქტერიებით გატენილი პირი აირიდოს.
პატარძალო!
გირჩევნია, ყველასთან იყო წესიერი,
ვიდრე სათვალავით ეძიო ყველაში.
პატარძალო!
გირჩევნია, შენ იყო მართალი,
ვიდრე სხვებში არკვიო მართალი.
პატარძალო!
უწინ თავი ამხილე,
ვიდრე სხვა ამხილო!
შენს თავს გაეჯიბრე, ვიდრე სხვას აჯობო,
თავი შეინახე, წყალსაც კი აკლდება.
პატარძალო!
სერიოზულობა ერთ-ერთი სახეა ადამიანისა,
მეხუმარე კაციც ერთ-ერთი სახეა ადამიანისა.
ეს ორი იქნება ცხოვრებაში,
რაც მიიქცევს შენს ყურადღებას,
იმიტომ, რომ გამოხატულია.

გამჭვირვალე რომ აიმღვრევა, სახელს არქმევენ,
ამიტომ ირჩევენ ნათელს გარეთ და არა შიგნით,
ამიტომაა, ორნაირი როა ისტორიაც —
რაც იყო და რაც იქნებოდა.
პატარძალო,
წერაში გამოიხატე!
ნაწერს წაშლი, დაჭმუჭნი, დახევ,
ნათქვამსა და ნამოქმედარს ვერ დაეწევი.
პატარძალო!
რატომ აგირჩიე?
გრძნობას მოჰყევი, რაც სიტყვაზე წინაა,
სჩანს, გრძნობას უნდოდა ძალიან წმინდა,
ძალიან ნათელი და გულუბრყვილო,
რომელიც სულ იზიდავს ავ თვალს და გულს,
რომელსაც სულ ერჩიან
და რომელიც თვალთმაქცობით
ყოველ წამში თავს გადაირჩენს,
გმირი — ერთი-ორჯერ,
ის კი — ყოველ წამს.

პატარძალო, არ გაგათხოვებ,
როგორც ჩემს თავს, ჩემში შეგინახავ,
შევეყრები შენს ხელისმთხოველს,
დავგლეჯ, დავხევ და გადავაგდებ!

წმინდას ინახავს ხალხის ავი თვალი,
წმინდას ინახავს ხალხის ავი ზრახვა,
თორემ წმინდას შეაცდენდა თავისი წმინდაც კი.

პატარძალო,
ამიტომ სიცოცხლე სიკვდილში არ ამირჩევია,
თორემ უთუოდ სიკვდილს ავირჩევდი.

შეთხზული მამაო

ჩიტების ხმა, ფეხაკრეფილი,
ჩიტების ხმა, გაუბედავი...
— რატომ, ჩიტებო?

მე ვინ მკითხავს, რა მირჩევნია!
ეტყობა, სიდედლით უფრო შევესაბამები ქალებს,
ვიდრე სიმამლით,
ყველაფერი უნდათ, რომ მაჩვენონ,
— რამდენ ასაკოვანი უნდა ვიყო,
რომ მენდობა ყველა ასაკი?
ძნელია ჩემთვის!
არადა, რამდენი აქვთ დამალული —
საწყალო კაცებო!
თქვენი სირეგვნით ქალის ნდობა არა გქონიათ,
თქვენი სიბრიყვით ქალი სულაც გამოგრჩენიათ,
ქალმა ნამუსი შეგინახათ, ქალმა არ გაგცათ,
საწყალო კაცებო!
აბა, მე რამ დამამსგავსა მოხუცებულს — ამ სიბერეში:
— ქალის სიყვარულმა.
რამ მომღუნა, რამ დამადნო,
ნატვრა მაინც რომ არ მომაკლო?
— ქალის სიყვარულმა.
საწყალო კაცებო!
ქალს რომ ხედავთ, ათჯერ მეტი აქვს დამალული,
ბრიყვი ფიქრობს — აგე, ქალი — ასეთი, ისეთი,
შეაფასებს, ჰგონია, რომ ბევრი დაინახა,
ქალს კი ალმასის წახნაგები აქვს კაცის თვალისთვის,
რაც სჭირდება, იმას მოაჩვენებს;
ამიტომაც მაქებარი, რაგინდ მგოსანი,
მხოლოდ ანბანს სწავლობს მისას, არა მთელ ნაწერს,
რადგან:
ქალის სილამაზე წაგებული რაინდებით გაიზომება.
და ვინ უყვარს ქალს?
ჩემნაირი, არც ლამაზი, არც ულამაზო,
არც დედალი, არც მამალი,
არც შავი, არც თეთრი,
არც იმნაირი...
და — რატომ? თუ იკითხავთ — გიპასუხებდით:
— ქალის სიყვარული
ჩემნაირ კაცს ნაკლებად სჯერა!
ამიტომაც მენდობიან ყველა წახნაგით,
უნდათ, დამარწმუნონ, ყოველ ჯერზე,
უნდათ, მეჩვენონ,
— აი, ნახე! —
მეუბნებიან,
რადგან მე არა ვარ ქალების ეჭვიანი აღმსარებელი,
არამედ მათი შეთხზული მამაო,
საწყალო კაცებო!

თაობების წინ

კაცი და ხალხი სულ მოდიან
ერთმანეთის სიყვარულით ან სიძულვილით:
როცა ორივეს ეჯავრება ერთმანეთი,
მაშინ კაცი ცოტაა — ბევრთან,
და, ორივე იმალება თაობების წინ.
როცა კაცს უყვარს თავის ხალხი, სჯობია,
რომ ხალხსაც უყვარდეს,
რათა ორივე დაფასდეს თაობების წინ.

მხატვრული დგომა

უნდა აღვადგინო მხატვრული დგომა მჭევრი ტანისა,
სწორი, გამართული,
ღირსებიდან წვეული და არა გარედან.
თავის დაკვრა, მაგრამ მხრები რომ არ შეირხეს,
რადგან: ტანში სინდისის სუფევა არის.
რადგან:
განა ცუდია დაბლა,
მაგრამ ყველას ახსოვს მხოლოდ სიმაღლე.
და რა ქნას კაცმა, სიმაღლე დაკარგოს?
იმის გამო, რომ კლოუნიც კარგია, რომ დაბლა არის?
რომ ბუნებისთვის მდაბიო არავინაა
და მხოლოდ მხატვრული დგომა გამოარჩევს,
რომელიც ადამიანს ნასწავლი აქვს ბუნებისაგან.

არავის აგონდება ლეოპარდი,
რომ ის მსხვერპლს დაგლეჯს,
არამედ — რაც ლეოპარდში ტანის სიმჭევრეა,
არავის აგონდება, რომ მოკვდავია,
როცა კაცი გამართულია.

შიმშილს არჩევს, რადგან ჭამით თავს დაბლა დახრის,
მხრებში მოიხრება, თითქოს ეპოვოს წყალობა,
თვალებს გააცეცებს, კბილებს გააკვესებს,
დღეში ერთხელ მოფსავს ან ყოველ ბუჩქთან,
— მოკვდავია! — იტყვიან მასზე.
კაცს კი უნდა, დანახვაზე რომ თქვან — უკვდავი!

* * *

შემოიფრქვნენ ყვავილები,
მთლად გარშემო ველ-მინდვრებიდან,
შემომიცვივდნენ,
სულ გაავსეს სახლის კედლები,
ერთი ნაჩლიქარი გვირილა აკლდათ
და მოიჭრა ტანის სწორებით,
და როცა ისიც ჩადგა გუნდში,
გალობა იწყეს და სურნელთ კმევა —
ჩემს დაგმანულ ნესტოებისთვის.

გარედან კი მომესმოდა
შორით-შორი ხვეწნა-ჩივილი ველ-მინდვრებისა:
„დაგვიბრუნე ჩვენი ოქრო და
ყოველი თვალ-მარგალიტი,
რადგან დავრჩით ცარიელები!“

როგორ უნდა იცხოვროთ, რომ იყოთ ჩემსავით

ვალი არა მაქვს, ვახში არა მაქვს,
კვირობს ხალხი:
ქალებს ეტანება,
ჯოხით დადის გაღიმებული,
რაა ნეტა მაგის საიდუმლო?
მოგახსენებთ, რაკი ასეა.

ერთი ლარი თუ გაქვს, არ უნდა მოაკლო ათი თეთრი,
ხუთი ლარი თუ გაქვს,
არ უნდა მოაკლო ორმოცდაათი,
ათი ლარი თუ გაქვს, არ უნდა მოაკლო ლარი,
ასი ლარი თუ გაქვს, არ უნდა მოაკლო ათი ლარი...
ამას ჰქვია ლუკმის დაზოგვა.

ამას გარდა, ჩემსავით რომ იცხოვრო, ასე მოიქეცი:
დილით, გარეთ რომ გამოხვალ,
გამოიყოლე თან შენი ქონება —
ჯიბე, უბე, ყველაფრით, ტვინით და სურნელით,
იარე, ყარე, იარე, ყარე...
გამოვა ბოროტი, მოაგროვებს შენს დაყრილ ბოროტს,
წაიღებს სახლში,
შენ დამსუბუქდები.
ის იქნება ლუკმათმკრეფელი.
გამოვა ავ-აგრესიული, დაინახავს შენს დაყრილ ავს,
დაიხრება, აკრეფს, წაიღებს.

ოო, ხარბი გამოვა, სრულიად დაჩუტული,
დაუფიქრებლად წამოკრეფს
შენგან დაყრილ სიხარბეებს და სწრაფად გაქრება.
უნდა ახტე-დახტე, კარგა დაიფერთხო,
ხომ არა გაქვს კიდევ ჯიბეები, შური, ჯიბრი,
ამპარტავნება დაგცვივა,
შენც რომ არ გეგონა
და მოცვივდებიან მოშურნე-მოჯიბრეები,
გაივსებენ უბისა და შარვლის ჯიბეებს,
წავლენ კმაყოფილი.
იქნებიან ლუკმათმკრეფლები.

* * *

ნუთუ კაციც დროის ძაფია?
რადგან აჰა, დავწერე და უკვე ძველია.
აღარ არის გუშინდელი ნაფიქრის კვალიც —
ძაღლიც ვერ იპოვნის.

დაბის ყაჩაღები

ყაჩაღობა ქალაქში რომ მორჩა, წავიდნენ დაბებში
და გვარებად ჩამოყალიბდნენ,
ცხოვრობენ და მოღვაწეობენ
მხატვრულ თიკუნებით,
ეს უბედური დაბის ყაჩაღები!
ჩვენ გვიტოვებენ დიდ აზრებსა და სულგრძელობას
და თვითონ არჩევენ მიწრიელ ცხოვრებას —
თხრიან, ფცქვნიან,
ხდიან დედამიწას თავის კუთვნილ კაბას,
სულგრძელი ხალხი კი ერთს არ დაიძახებს —
რასა სჩადით! ეგ დედა-მიწაა, დედააჩვენი!

დაბამაც რა ქნას, ჩაკუნჭულია, ჩაჩუმებული,
ერთ კაცსა ჰყავს დაბმული თითებზე ძაფებით.
გაინძრევიან და დაენძრევათ.

ეს უბედური დაბის ყაჩაღები
სულგრძელობას ისწავლებიან და
სულმოკლეობენ მუხლჩაუხრელად.

მორების გზა

საშინელი გრძნობაა, რომ ელოდები საშინელ გრძნობას.
დადიხარ შენს კუთვნილ ეზოში, შეგიძლია,
იყო კმაყოფილი, რადგან ყველაფერია,
რაც თვალწარმტაცია —
კადრებივითაა თითქოს
ამოღებული და მოკუთვნებული,
რაც ერთი უბრალო მჭვრეტელი კაცისთვის
დიდი მადლია.
ხო მშვიდი ვარ ამ წუთში და ასე ვარ ხოლმე ჩემს ეზოში,
ჩემი სახლის წინ, როცა ველოდები იმ საშინელებას.
მთელი ხეობის ეს ერთადერთი გზა ეზოს წინაა,
სახლიც და ეზოც მთის ფერდზეა და
ამფითეატრივით გადამდგარია ხეობის გზაზე,
მანქანები ბევრი დადის აქეთ-იქით,
მსუბუქები, საბარგოები და იშვიათი,
შეუსაბამო დიდი მახინები.

ბევრჯერ დავაპირე,
დამეთვალა მორებით სავსე მანქანები,
მაგრამ მივხვდი, რომ სენს შევიყრიდი.
ბევრჯერ ვცადე, გამერკვია,
ვისი იყო, სად მიჰქონდათ,
ასე სუფთად გასხეპილი,
თითქოს გამოცდილი და
სასტიკი თვალის სანახავად გამზადებული
წიფლის ტარიელები თუ ამირანები,
ვისი იყო ეს საქონელი?
გამოგონილი ჩინელებისა, ისე კი ვინმესი,
ვისაც ძალა შესწევს და არ ეშინია,
საძაგლად იხუმროს.

→



ბესიკ ხარანაული

წესიერები

რომ იტყვიან, მაშინვე ვერ ვიტან — ფუჰ, წესიერები!
მაგრა იციან სიმართლეზე თვალის დახუჭვა.
უწესო ხალხს გასაყოფი მაინცა აქვთ რაღაც,
ამათ კი ის გამოარჩევს,
რომ არავისთან არ უნდათ, ჰქონდეთ გასაყოფი,
სულ თეთრები აცვიათ, რომ არ მიეკარონ.
ქურდიც სჯობია წესიერს, ყაჩაღიც სჯობია,
რადგან ჰქვიათ თავისი სახელი,
სახედარსაც ჰქვია, მელიასაც,
თიკუნები აქვთ კიდევ მრავალი —
სჩანს, რასაც თიკუნი არა აქვს, ის არც სახელია.
წესიერი — წესიერია, მეტი არაფერი,
თითიდან გამოწოვილი სახელია, განუმარტავი,
უთვისებო, უხასიათო, ისეთიც კი არა,
რომ ასწრებდეს თავის სახელს, ან ჩამორჩებოდეს,
ან ერთხელ მაინც რამეზე შეხტეს!
წესიერი
შიგნიდან გარეთ რომ გადმოაბრუნო,
არ იცი რა ბეწვის იქნება,
მგლისა თუ აფთრისა — ბეწვს როცა იცვლიან.
წესიერიც ისაა, რომ შიგნიდან არავის უნახავს,
ცოლსაც კი, შუაღამისას.

არასოდეს არ მჯეროდა სახელშერქმევისა —
ჩუსტი, კიბატონო.
წესიერს შიგან-გარ ცხვრის ტყავი აცვია,
ვერასოდეს ვერ ნახავ წაგებულს,
დადის, დაბაჯუნობს, შიგნით კი მკვირცხლია,
როგორც მგელი, როგორც აფთარი.

წამოვიდა ჩოჩორი
ინტერნეტთამაში

ბებერი სახედარი ცხოვრობდა ქალაქში,
ცხოვრობდა და გული უკვდებოდა,
რომ დაპირისპირებაში ჰყავდა ქვეყანა:
ქალი კაბაში და კაცი შარვალში.

არავინ იყო ნუგეში ეთქვა,
ჭაღარაზე ხელი გადაესვა,
მწუხარე სახეზე...
მრავალი იყო, თავის მუცელს გულშემატკივრობდა
და ასაღებდა, რომ ქვეყანა შესტკივა.

ამიტომაც იშვა ჩოჩორი!
ბაგაზე იშვა,
თეთრ ზეწარზე რომ შობილიყო — შეირეოდა,
რადგან აქეთ დედა, იქით მამა
და ორივე მუცლის გულშემატკივარი,
აკვანში გაზრდიდნენ ტკბილად —
დედაც მუცლისას უმღერებდა, მამაც მუცლისას...

საქართველოში დადის ბოროტი,
ვისაც გვერდს გაჰკრავს, გააბოროტებს.
საქართველოში დადის ძალა,
ვინც ერთმანეთს აპირისპირებს,
ამტვრევს, აქუცმაცებს,
უწვრილესი ფრინველებიც რომ მოერიონ,
წაიღონ და დიდებს მიართვან.

მაშინ იყო, რომ საქართველოს სამხრეთის მხარეს,
გეოგრაფიულად, საერთოდ კი, შუაგულ კახეთში,
იშვა ჩოჩორი — ბებერ სახედრისგან,
შეება კოჭზე ბაწარი
და ეთქვა-ებრძანა:
წადი და გაკერე, რაც რომ ვირებს დაურღვევიათ.

საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთში,
წვიმიან და სეტყვიან ამინდში,
იშვა ჩოჩორი — სახედრისაგან.

დაპრეწილი იყო ქვეყანა დაპირისპირებისგან,
უთუოდ სისულელე უნდა ყოფილიყო,
რომ ვინმეს ერწმუნა,
კენჭი კენჭს ებრძოდა, გორა გორას.
უბღვერდნენ ერთმანეთს ურქო ფურებივით,
ხარჩმავალი ქვაბებივით მუცლები შეექმნათ,
იყრიდნენ, ჭამდნენ,
არადა, გაჰქონდათ წიფლის მორებივით.

გეოგრაფიულად სამხრეთ-აღმოსავლეთში,
ისე კი, კახეთში,
ისტორიულ სამშობლოში სახედრებისა,
იშვა ჩოჩორი, კოჭზე შებმული ბაწრით,
იშვა და ეთქვა:
წადი და გაკერე, სადაც ნახო ვინმე განრღვეული.
გრძელი და მოკლე, ყველა გადააბი და
დაგრიხე აპეურივით,
წადი, იარე კარდაკარ, აისიე, ვინც ნახო ბავშვი,
იღუღუნეთ და იმღერეთ მეჭონავეებივით:
— აღარ გვინდა დაპრეწილი და დახეული,
ეხლა გვინდა მთელი და უხევი,
შვიდხმიანი, შვიდსიმიანი, აწყობილი და
გამართული გვინდა სამშობლო!

წავიდეთ, ვინახულოთ ბებერი სახედარი,
ჭაღარაზე დრუნჩი მივადოთ.

დაკარგული ჰქონდა კაცს თავის თავი,
ჭაში ჰყავდა ჩავარდნილი,
სურდა ამოყვანა, რომ იძრა მიწა,
სეტყვამ დაამხო ვენახი,
საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლით,
კერძოდ კი, კახეთში,
იშვა კოჭზე ბაწარშებმული ჩოჩორი და
ცოტა რომ წამოჩოკინდა, ანუ იწყო ბაგის წინ ჩოკინი,
რომ ეთქვა მაღლიდან:
— აჰა, გაბია ფეხზე მშვიდობის ბაწარი,
წადი და იარე და ყველგან გაკერე,
ხომ ხედავ, ბებერ სახედარს არავინ უჯერებს.

ეს რომ ასე იყო,
მეტყველებს სიმღერა:

ნედლი ჩოჩორი გადადის მთაზე,
იორზე, ქსანზე, რიონზე, მტკვარზე,
ნედლი ჩოჩორი გადადის მთაზე,
მოალმასებულ მწვერვალთა ფხაზე,
მოივლის ხმელეთს, გადავა ზღვაზე,
გამობრუნდება თავისავ მთაზე,
ნედლი ჩოჩორი ჩოკინობს გზაზე.

დიმიტრი წიკლაური

ქორების მიწა

გაგრძელება

— ხეიბარია! — მიანიშნა მოახლემ მალქოზზე, ქუჩის კუთხეში რომ გამოჩნდა.
— საიდან იცი? — დაინტერესდა ვაჭარი.
— წვიმაში ავედევნე და დავრწმუნდი!
მალქოზი რომ მიუახლოვდა, სახე მოარიდა.
— იქით გაიწი, არყით ყარხარ და ნუ მასუნთქებ! — აღშფოთდა ვაჭარი.
— ისე ქსუტუნებ, როგორც ძველი ონკანი წყლის დაწყვეტისას! — უპასუხა მალქოზმა.
— რაო?! — იწყინა ვაჭარმა.
— განა იმისთვისაა ამ სოფლის მრავალფეროვნება, რომ ვნებები შეიყვარო და ამაოების წუმპეები ამჯობინო? შემოქმედის შემოქმედებით დატკბი და სინანულს მიეცი. ათასი წელიც რომ იცოცხლო, მეათასე წელიც დადგება. ამ ქვეყანაზე ქირით ვართ, მაგრამ გადახდის დროც მოაწევს. თუკი მიწა ესოდენ ლამაზია, მაშინ რაოდენ მშვენიერი იქნება სამოთხე, ეშმაკები ზიზღით რომ უთვალთვალებენ. თან როგორი გაყუჩება ჩვევიათ, კატასავით ფრთხილად დადიან!
მალქოზი ჟონგლიორის შეგირდივით აცეცებდა თვალებს. ყურადღებით ვუსმენდი, ერთი სიტყვაც რომ არ გამომრჩენოდა. გადმოცემის მანერა საუცხოო ჰქონდა და მიკვირდა, სხვები ყურს რომ არ უგდებდნენ.
— ვინც თავიდანვე შემიძულა, უფრო შევძულდები, ვინც შემიყვარა, უფრო შემიყვარებს! ცხოვრება ასეა მოწყობილი, მთავარ საქმეს რომ აღასრულებ, დარჩენილი სიცოცხლე ისე ჩათავდება, როგორც ერთი დღის დაღამება. ზოგიერთის თვალში კი იმხელა ავტორიტეტი ვარ, საკმარისია დავამთქნარო, აღმოსავლეთის მხრიდან ქარსა და ელჭექს ელოდებიან!
ეს ნამდვილად ჩემზე თქვა, რადგან სიცილი ამივარდა.
— საით გაგიწევია, მალქოზ? — ჰკითხა ვიღაცამ.
— იქით საქმე მაქვს!
ნეტავ რა საქმეს გულისხმობდა. ქუჩა მხიარულებას მოეცვა და ქვაფენილზე მზის ათინათები ოქროსფრად ბრჭყვიალებდა. ერთგან იმდენხანს ვიდექი, ვიღაცას მათხოვარი ვეგონე და გროშები მიწყალობა. ეტყობა, მალქოზის თანამგზავრად მიმიჩნია. მისი გამოჩენა ზოგისთვის ხეპრული ლაპარაკით და ტლანქი ქცევით ხდებოდა თვალშისაცემი, ზოგისთვის ალერსიანი მოპყრობით. ვინც ზღურბლზევე არ ეგებებოდა, კარს ცხვირწინ უჯახუნებდა, მაგრამ ამას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. სიბრძნეს ყველას თანაბრად უზიარებდა.
— ყოველი სიახლე იარლიყების მსხვრევას განაპირობებს. ეპოქა მაშინ იცვლება, როდესაც ვგმობთ იმას, რასაც პირუთვნელად ვემსახურებოდით. იყო თანამედროვე, ნიშნავს, რომ შეიყვარო წუთისოფელი, სადაც კრინტის დაძვრაც გმირობის ტოლფასია! — მერე კი ვიღაცას დაუყვირა, — სად გაგონილა ზიარებაზე უარის თქმა! ეს ხომ ერთი კილოგრამი წამალია, ყველაფერს კურნავს!
ნოქრები შფოთავდნენ, კლიენტებს დაგვიფრთხობსო. დღის იმ მონაკვეთში, როცა მზე ზენიტს აღწევდა და სილუეტები ძლივსღა ჩანდა, საუკეთესო დრო დგებოდა სადილობისთვის. რახან გვარიანად გაისარჯნენ, დანაყრების უფლება მისცემოდათ, მაგრამ ძირითადად მწვანილს ეტანებოდნენ. ეს სიკეთე აქ ოხრად იყო. ბალახებს თავისი იდუმალი ცხოვრება ჰქონდა, ადამიანებს — თავისი. ყოველივე თავის რეალობას ეკუთვნოდა. მხოლოდ მალქოზი ჰგავდა ღვთის რისხვის მოლოდინში გარინდებულ კაცს.
— არ შეგიძლიათ, სასუფევლის კაცი ორიოდე კაპიკით დააკმაყოფილოთ? — მიმართავდა გამვლელებს, — ქვეყნის ვალებში ვარ! ადრე ჩემი ვალიც ჰქონდა ერთ კაცს, როგორ გამიხარდა შენი დანახვაო, ფული მასესხე და ერთ კვირაში დაგიბრუნებო. მეც ხელი გავუმართე, ერთი კვირის თავზე მითხრა, შენ დანახვას თოფი ესროლათ, ის მერჩივნაო. დილიდან გემალები და რაღა აქ გამომეცხადეო. სიტყვის შესრულება ერთობ ძნელი საქმეა.
— ნუთუ მხოლოდ იმისთვის იღვიძებ, საჭმლის თადარიგი დაიჭირო! — უთხრა ვიღაც ქალს.
— გიცნობთ? — ელეგანტური დაეჭვებით გაეპასუხა ისიც.
— ინეზა როგორ არის?
— ინეზა ვინ არის? — მხრები აიჩეჩა იმან.
— უკაცრავად, ცისანას მიგამსგავსეთ!
— ვის?
— ცისანას, ინეზას ბიცოლას, საუკეთესო ადამიანს! — გადამდები სიხარულით წარმოთქვა მალქოზმა, თითქოს ბავშვობას იხსენებსო.
— თავს ვერ დამანებებთ?
— რატომაც არა!
— მშვიდობით!
— აფსუს! — სევდიანად აღნიშნა მალქოზმა, — რომ გცნობოდათ, ინეზასთან მოკითხვას დაგაბარებდით!
— კარგია, რომ არ ვიცნობ!
— ცხოვრების კიბეზე ცოდვის მოაჯირებს ვეყრდნობ-

ით! — თქვა მალქოზმა, — თავზე ძველისძველი ცა დაგვყურებს, მარადიულობით დაღლილი ვარსკვლავებით გაბრწყინებული. ისე ციმციმებენ, როგორც ზღვის ფსკერზე მიმობნეული მარგალიტები, თითქოს ბროლის მოზაიკასავით დამსხვრეული მნათობი ათასობით წვრილ ნაწილად მიმოიფანტაო. ამ ულამაზეს სამყაროში ჩვენი ცხოვრების წიგნს ვკითხულობთ, დღესა და ღამეს ვფურცლავთ. ღრუბლები უნდა გაიფანტოს, ცის უკიდეგანობაში რომ დარწმუნდე, რომლის სიღრმეს სიშორით ვხვდებით და ვიღაცისთვის დაბადების მისალოცად ამოსული მზე ვიღაცისთვის გარდაცვალების მაუწყებელია.

მერე მემაწვნეს შეუტია:

— რას ახმაურებ მაგ ქილებს, ქალო! არ გესმის, რა დიდებულად ვლაპარაკობ! დააწყე სადმე და წასვლისას ნაიღებ!

მაგრამ ქალი ხელს არ უშვებდა ქილებით გაძეძგილ ჩანთას. ნახევარი ქონება რომ გაგეყო მისთვის, ამ ქილებს ხელს არ გაუშვებდა.

— საიდუმლოებები ცხოვრებისთვის იგივეა, რაც ნამცხვრისთვის არომატი. ჯერ მისი სურნელებით ტკბები, სანამ შეექცეოდე. აქ ნუ მოცდებით, მე წუთისოფლის ზეიმს არ ვეკუთვნი, თქვენ კი, ერთმანეთს ნაკვეთებს რომ ართმევთ და ყოველ გოჯზე დაობთ, უცებ მსტოვარი რომ გამოჩნდეს, მტერი გვიახლოვდება და რაზმი შექმენითო, იომებთ? — თქვა საწყალობლად, მერე კი ხელგაწვდილ მათხოვარს შეუტია, — თმებს რატომ არ ივარცხნი, ცხოვრებაზე ხარ გულმოსული? რას ითხოვ ღვთისგან, ფული არა აქვს, ანდა რაში სჭირდება კაცთა უბადრუკი გამონაგონი? თუმცა აქვს ფოთლები და როცა უნდა, მაშინ აქცევს ფულად. ახალგაზრდობაში ღვთის ძიებაში ვიყავი. ბევრ ბუდრუგუნას მივადექი, ბევრი ჭრიალა კარი შევაღე, ბევრი მდიდარი დავლოცე და ბევრი ხელმოცარული ვამხილე. მაგრამ მივხვდი, რომ მხილებას უსაფუძვლო შეყოლა სცოდნია, სიცრუის ნაპირზე გაგრიყავს. მე ვქადაგებდი, მაგრამ განა ჩემ სიტყვას ძალა ჰქონდა? როცა ყოფითი ცხოვრება გძირავს, არსებობს გმირული წინააღმდეგობაც, ყველა თავის პეწს ჰმატებს საერთო სურათს. ჩვენ ზღვის ნაპირზე გამორიყულ კენჭებს ვგავართ. ქათქათა თეთრნი უნდა ვიყოთ, რომ აგვკრიფონ ანგელოზებმა, როგორც ბავშვები აგროვებენ სუფთა კენჭებს. ამ ქვეყნად სარეცხივით გამოგვფინეს, გაცრეცილი თეთრეულივით, ქარი რომ სიცივით მსჭვალავს. კარგად უნდა გამოვშრეთ, სანამ აგვკრეფენ. ქარის ქროლვა მძაფრ, უსიამო შეგრძნებებს ბადებს, თითქოს მლაშობს ლოკავდეს, მარილი რომ დააგემოვნოს, და უკან იხევს დაშოშმინებული!

მერე უცებ გოდებას მოჰყვა:

— როდემდე, უფალო, რატომ ვერ გცნობენ ეკლის გვირგვინის გარეშე, ნუთუ, მხოლოდ ტანჯული უყვარხარ ამ ხალხს, სჯობს, განვმარტოვდე და საგონებელს მივეცე, როგორც ალმოდებულ სახლში იქცევა ხოლმე მისი ყოველი წევრი მეხანძრედ!

— რაო, მალქოზ, ხანძარი იქნება? — ჰკითხა ვიღაცამ დაეჭვებით.

— ერთ კაცს ვიცნობდი, სულ ქონებას დაჰფოფინებდა. მშიშარა იყო, შორს კვამლს თუ შენიშნავდა, შინ გარბოდა, ჩემს სახლს ხომ არ უკიდიაო. ცეცხლს წყლით აქრობენ, მაგრამ წყალი ცეცხლად ვერ იქცევა. გინახავთ ალმოდებული მდინარე? თითქოს ჭავლები უცხო ქვეყნის დროშას მიაფრიალებსო. რა დიდებული სანახავია, დიადი კონცერტი იმართება, სადაც წისქვილის დოლაბებიც მონაწილეობს, მდინარის ჩქერებიც, ჩიტების სტვენაც და მატარებლების შორეული მოყვირებაც მტრედისფერ განთიადზე. ხანძრის გაჩენა მეც მიცდია, შუშით სქელ ბალახებს მზის კონცენტრირებულ სხივებს ვუშვერდი, მაგრამ მხოლოდ ზედაპირი ეტრუსებოდა.

— ცხელა, როგორც ჯოჯოხეთში! — თქვა ვიღაცამ.

— განა იქ ნამყოფი ხარ? — გამჭოლი მზერა მიაპყრო მალქოზმა.

— ისე, სიტყვის მასალად ვთქვი! — იმართლა თავი, — ის ვიგულისხმე, რომ ძველი დრო ჯობდა!

— ღვთისკენ იარე და ახალი აჯობებს!

— ჩემი ამბები როგორ იქნება, მალქოზ! — შეუჩნდა ვიღაც ფაშფაშა ქალი.

— ღუმელი თუ არ ანთია, როგორ გაგათბობს?

— ილოცებ ჩემთვის?

— თავი დამანებე, ქალო, ჩემთვისაც ძლივს ვლოცულობ!

იმ ქალს ვიღაც გამოექომაგა, დედაკაცს როგორ ელაპარაკებიო, მალქოზმა კი შეუძახა:

— ჰეი, ვიგინდარავ! ცხოვრების წესი თუ არ შეცვალე, ენით გათრევენ ჯოჯოხეთში.

— თუ მორწმუნე ხარ, მთები გადადგი, როგორც თქვენ წიგნებში წერია! — ნიშნისმოგებით მიუგო ვიგინდარამ.

— დღეს მორწმუნე იმაზე ლოცულობს, მთები ადგილზე რომ დარჩეს! — მშვიდად უპასუხა მალქოზმა.

— განა თქვენ არ გვიმტკიცებდით, დედამიწა ბრტყელიაო? — არ ისვენებდა ვიგინდარა და ხელები გაშალა, — მოულოდნელად კი მრგვალი აღმოჩნდა!

— ეგ რომ გაგვემხილა, გულები გაგისკდებოდათ! — უპასუხა მალქოზმა, — უზენაესმა სიცოცხლე გვიბოძა, დერეფნის ბოლოში სასუფევლის კარია ჩატანებული, მაგრამ სიმდაბლე არ გვყოფნის იქ შესაღწევად, დერეფანს ვჯერდებით და ცხოვრებას აქ ვიწყობთ!

— ტაძრებს რომ დაანგრევენ, მაშინ ხომ მაინც დარწმუნდები თქვენი რწმენის უსუსურობაში?! — ბობოქრობდა ვიგინდარა.

— ვინც თავისი თავიც არ დაიცვა ჯვარცმის დროს, შესაძლოა, არც თავისი სახლ-კარი დაიცვას, ყველაფერი იმისთვისაა, ადამიანი რომ გამოიცადოს!

— თქვენი უფალი სრულყოფილად მაინც ვერ აღსდგა, ხელისგულებზე და ფერდზე ნაჭრილობევი აჩნდა! — განაგრძო მან ენის მოჩლექით.

— ეგ იმიტომ, რომ ურწმუნოებსაც ეცნოთ!

— მაშინ დამანახე, სად არის შენი ღმერთი!

— შენს ზურგსუკან! — უპასუხა მალქოზმა.

— რაო, მემალება?

— შენ აქცევ ზურგს!

სიბრძნეს პეშვებით აფრქვევდა მალქოზი, ოღონდ იგი ამქვეყნიური სიამეების მომტანი არ იყო. მერე თქვა, ვაშლი ისე მიყვარს, ჩემ ირგვლივ ვაშლის ბაღები უნდა ყვაოდესო.

— ვერ ვიგებ შენს ნათქვამებს! — თქვა გამყიდველმა და მალქოზს ღაჟღაჟა ვაშლი გაუწოდა.

— რახან ასეა, სწორ გზაზე დგახარ! მე მათხოვარი ვარ მათრახით ხელში. ჩემი ამბები გამოგონილი და გამაოგნებელია. ცა ოქროს სამჭედლოა მდიდრული წიაღით, მონეტების სალარო გეგონება წკრიალა ვარსკვლავებით, სადაც უკიდურესი სიძველეც ახალივით ბრჭყვიალებს. ყოველი მხარე მშვენიერების ზღურბლს წარმოადგენს და ღვთის მოწყალებით სუნთქავს. სამართლიანი განსჯა სამოთხესაც გააუდაბურებდა. უდაბნო უბედურებას რომ არ აკავებდეს, ოაზისებიც გაუდაბურდებოდა. გაჭირვებას მაწანწალა ძაღლივით სჩვევია ადევნება. ხან ერთს მიადგება ხოლმე, ხან მეორეს, დარჩენით კი იმასთან რჩება, ვინც დააპურებს, თავისთვის ბევრი არაფერი რომც არ გააჩნდეს. სიღარიბე ტოვებს იმ ალაგს, სიმდიდრეს სადაც დაინახავს. მაგრამ სიმდიდრე იშვიათი სტუმარია, სიღარიბე კი მარადი მასპინძელი!

მალქოზი მოსასხამს ისე მოაფრიალებდა, თითქოს სიმართლის დროშა მოჰქონდა. ქარის ხმა მისი სიტყვები იყო მთელ ქვეყანაზე მოსაფენად და ხეტიალი არ ბეზრდებოდა. ირგვლივ ისეთები ირეოდნენ, სარჩოს ძნელად რომ შოულობდნენ და ერთადერთ გამოსავლად მომჭირნეობა მიაჩნდათ. დაფხავებულ თავშესაფარში იმდენი ნივთი აეხორხლათ, ფანჯრის მინები გადმოკარკლულ თვალებს დამსგავსებოდა. ნაგავსაყრელები ზღურბლიდან იწყებოდა, სიო კი ისე შრიალებდა, თითქოს უსულო საგნები ფუსფუსებენო. იქიდან მოვლებს ჩანთები გამობერვოდათ, გეგონებოდა, თუჯის ქვაბებს მოათრევენო. სიმძიმის ზიდვით დაღლილი ხეიბრებივით იგრიხებოდნენ.

— გათოშილები მზის მოლოდინში ვართ. გავთბებით და სიგრილე გვენატრება. სიცოცხლე მოუსვენრობაა, არსებული არასდროს გვაკმაყოფილებს ცვლილებებისადმი მიდრეკილთ. ძირს გაშოტვა კი გვსიამოვნებს, რადგან შეუცნობლად სიკვდილისკენ ვისწრაფვით, ოღონდაც დაღლილობას დავაღწიოთ თავი. მჭლე სხეულები უთავბოლო ხეტიალმა გაგვითანგა და არავის დანახვა არ გვსურს, მაგრამ კაცს ცოდვების გამო კი არ უნდა ვაქციოთ ზურგი, არამედ ღირსების გამო გვიყვარდეს!

მერე ჯიბიდან პურის ნაჭერი ამოიღო და დაფშვნა დაიწყო. ჩიტები ნამცეცებს გულისყურით დაჰკანკალებდნენ. იქით კი აკადემიის კაფე ჩანდა.

— დაუსხით კონკიას კონიაკი! — გასძახა წყვილს.

— მშვენიერებას ფაქიზი მოპყრობა სჭირდება, როგორც სათუთ და მსხვრევად ნივთს! — მიუთითა მიმტანს ბრჭყვიალა აღკაზმულობისკენ მიდრეკილ ქალბატონზე, ცხვირს რომ იბზუებდა, — დედოფალო, ეკლესიაში გუმბათის სანახავად დადიხართ? გუმბათი ხომ ცირკსაც აქვს!

მერე იმ ხალხს მიმართა, მის ნათქვამზე რომ გაეცინა.

— მოგწყინდათ გაკაფულ გზაზე სიარული? მაშ იცოდეთ, უდიდეს წმინდანებს, ხრიოკ უდაბნოებსა და მიტოვებულ კლდეებში ნაღვაწ ბერებსა და შხამიან გველებსა და მორიელებს შორის მცხოვრებ განდეგილებსაც კი ქრისტეს მიერ გაკაფული გზა დახვდათ. სივრცე, ჩვენთვის განკუთვნილი რომ გვეგონა, სხვების აღმოჩნდა. მაგრამ თუ სხვა გზას დავადგებოდით — გაგვრიყავდნენ, ან ჩაგვანაცვლებდნენ. კაცი იმის მიხედვით დააფასეთ, რამდენს ითმენს სიმართლის გამო, ტყუილი კი ის სპილენძია, ოქროდ რომ ასაღებენ!

მალქოზს თვალები ისე უელავდა, თითქოს ცეცხლს აღვივებდა საბერველით. ქუთუთოების მოჭუტვისას სახეზე ნაჩვრეტები უჩნდებოდა, ლანდები შორეულ ნაპრალებს შეხიზვნოდა, სადაც ჩრდილები სიმკრთალეში იკარგებოდა. იგი დროდადრო ფრიალოებს გაჰყურებდა. ქარს ჭავლები წვეთებად რომ მოჰქონდა და სახეზე აშრებოდა. გამჭვირვალე ნაკადი ზოგან ვერცხლივით კრიალა იყო. შორს, ჩაშავებულ წიაღში, კოცონი დაენთოთ. ცეცხლფარეშები ცეცხლის ფერებში გამოწყობილიყვნენ, რასაც ემსახურებოდნენ, იმის გამოსახატად.

— ნუთუ ყველანი ანგელოზები ხართ? — შესძახა მალქოზმა, — ერთი ეშმაკი მაინც დამანახეთ!

— მე მყავს შეჩენილი! — ახარა ქალბატონმა.

— ხვალ იქ მომაკითხე, ლამპიონთან და გავნდევნი! — ხელი სიბნელისკენ გაიშვირა მალქოზმა.

— სად არის იქ ლამპიონი?

— ნათურა გადაეწვა და იმიტომაც არ ჩანს!

— მე არაფერს მეტყვი? — ხმა ამოიღო ყასაბმა.

— შენი ჯილდო ურწმუნო ქალებია, ჯოჯოხეთის ბეჯითი წამქეზებელნი, ფარდაგთა სანაცვლოდ სხეულებს რომ გიფენენ.

მერე ისიც თქვა, ოროზ-მოროზნი ცხოვრობენო ამ მხარეში. ძალა აღმართს არ უნდა მოახნევინოთ, რადგან აღმართი მომლოცველებს ეკუთვნითო. მლოცველები აღმართებს აღმერთებენო. განვლილ გზებზე კეთილშობილ მარცვლებს მიმოაპნევენო. ცნობისმოყვარე ხალხს მალქოზი უხეშად იშორებდა, ყოყმანში ბერდებითო, ამ ქვებივით დიდი ხნის რომ ვყოფილიყავით, განა ახლა ცოცხლები ვიქნებოდითო, რიყეზე უთითებდა. თქვენ კი ვარსკვლავებს ბედისწერის იდუმალ განლაგებად მიიჩნევთ, გადალახული უდაბნოები გულსა და გამოხედვაში გრჩებათ, განცდილი უწყლობა და შიმშილი თვისობრივ ნაწილად გქცევიათ.

— რა წოწოლა შენობებია, ეშმაკიც ვერ გაიგნებს გზას! — წამოიძახა მალქოზმა, რომელიც ისე მიბანცალებდა, თითქოს სასუფევლისკენ მთვრალს გაუწევიაო. დღეც ისეთი იყო, იფიქრებდი, ღამე გრძელდებაო, ავდრის მოლოდინში აბოლებულ ჯანღს ჰგავდა. ქარი უნუგეშოდ ეხმიანებოდა მთებსა და ტყეებს, ვარსკვლავების გამოჩენა კი ცეცხლის ნაპერწკლების ღველფში შეტანის მცდელობა იყო, ჩრდილების უღიმღამოდ ფუსფუსი, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი საკითხებისთვის უნდა მოეყარათ თავი, რომლის განრიგიც უკვე შეედგინათ. დღე ბუზღუნით თავდებოდა, ხოლო მცხოვრებნი ვერც სიზმრებში იხელთებდნენ სანუგეშოს. ამიტომაც სმას ეძალებოდნენ. აზროვნებისთვის ვისაც არ ეცალა, ისეთი სახე ჰქონდა, ლოთობამ მოუთავაო ხელი.

ბინდი მატულობდა, როგორც ყოყმანი გადაწყვეტილების მიღების წინ და ატორღიალებული ჩრდილები ბუზღუნით გაბეზრებულებს ჰგავდნენ. შორიახლო ასთმით გაწამებული ქალი იდგა, ასმათი ერქვა. მის ფერხთით ძაღლი ღავღავებდა, თითქოს გულის იდუმალ განცდებს უმხელსო. მალქოზი არსადაც არ ჩქარობდა. რანი ვართ რწმენის გარეშეო, იძახდა. რაოდენ მიუსაფარია სამყარო თავისი უკიდეგანობით, სასოება სამოთხის ბაღად რომ აქცევსო, უიმედობა კი უვრცეს საპყრობილედ გარდაქმნისო. მაგრამ სიკვდილი ურწმუნოების დასასრულია, ხოლო რწმენის გარეშე გადადგმული თითოეული ნაბიჯიც კი ურწმუნოებააო. როცა ცა ვარსკვლავებითაა მოფენილი, როგორ გინდა, მიუთითო ერთ-ერთ მათგანზეო. სიცოცხლე დროის გადანაწილებას ჰგავსო. კიდევ რამდენ ხანს ვიცხოვრებთო? ხუთი ათას დღეს? ათი ათასს? როგორ სჯობს ამ დროის გატარებინა? ბოლოს ხომ მაინც ყველაფერს ვინანებთო. შემართებით მთას უნდა ვგავდეთ, სინანულით მდინარეს, ხოლო გულუხვობით ზღვას, მლაშე თევზეულით გაწყობილ სუფრასო.

მერე ერთ სახლზე მიმანიშნა. „ატელიე“ — ეწერა დიდი ასოებით, შედარებით წვრილად კი — „ფოტოსახელოსნო“. თითქოს ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. აი, თურმე რას გულისხმობდა მალქოზი, საქმე მაქვსო, რომ თქვა, როცა ჩემი ახალი ცხოვრების პირველ დღეს მთელი არაქანი გადმომატარა, მჭიდრო დასახლება სტაფილოსფერი სახურავებით, რომელთა შორისაც ბიძაჩემის სახლი ხიმინჯივით ჩანდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

**„მის თანა ერთად
ნეტარ-ყო სიწმინდეცა დედათაი“**

უთხარით ღმერთს, რომ აქ ქალები კარგად არიან,
აჩენენ შვილებს, შლიან სუფრებს და
ცხოვრებენ სხვისი ცხოვრებით.
ჩვენმა ოცნებამ ფრთების ნაცვლად ხორცი შეისხა.
ზოგი იმდენად გასუქდა, რომ გარეთ ვერ გადის.
ზოგ მათგანს ცალი ძუძუ მოჭრეს,
მკერდის კიბო აქვს, ზოგს საშვილოსნოს —
ჩვენ ეს არ მოგვკლავს.
...მაგრამ, ღმერთო, რატომ არასდროს მოგვიკითხე?!
„ნეტარ არს კაცი...“
ნუღარ მაჩუქებ იასამანს. მომეცი ძალა სუსტი ვიყო,
რადგან ვიცი, რომ კარგი ქალი მკვდარი ქალია.
უხმო ქალი, რომელიც წმენდს, რეცხავს, კეცავს,
რომელიც ვერ წერს და თუ კითხულობს,
მხოლოდ ღამით და მას შედეგ,
რაც ჩაუხრჩობენ სურვილს ზემოდან, ღამის მხედრები.
უთხარით ღმერთს, რომ აქ ქალები კარგად არიან...

თუ კი გვიკითხა...

* * *

ერთხელ მითხარი, რაც შენ წახვედი,
მე შენი დარდი მხრებით დამაქო.
რად ვერ შეძელი მისი ტარება,
რატომ მამხილე, ჩემო ქალაქო.
შენ არ მასწავლე თავის გატანა,
და არც ის, სხვისთვის როგორ მიმენდო;
ჩემი ცხოვრება სხვებმა განაგრძეს
და გამიწბილდი, ჩემო იმედო.
შენი სიკვდილი მე დამბრალდება,
გულზე დაგადებ ჭადრის ლოგოროს
და კვირა დილა რომ გათენდება,
გასწავლი, როგორ გადმოაგორო
შენივე მიწით ნათითხნი ლოდი,
დილით ცივი და ოდნავ ნოტიო
და სწორედ ისე, როგორც მითხარი,
რომ დაგიძახებ, ჩემთან მოდიო,
გამოვცხადდები. ჯერაც ჩამესმის:
„მე შენი დარდი მხრებით დამაქო“,
რად ვერ შეძელი მისი ტარება,
რატომ დამმარხე, ჩემო ქალაქო.
ვის არ უნახავს როგორ ვწვალობდი,
როგორ გეძებდი ქარში უგონოდ,
ვერა, ვერაფრით ვერ მიგატოვებ,
შენ სხვას არავის არ გაუგონო.
რად არ მასწავლე თავის გატანა,
ის, მაინც სხვისთვის როგორ მიმენდო,
ეგ დარდიღაა ჩემი ცხოვრება,
ასე არავინ არ გაიმეტო.

* * *

უფრო და იყო, დედა იყო, ხშირად ძმა იყო;
საყვარლის ცოლი, დედის ქმარი — სულაც არავინ.
წვიმამ მომრეცხა სირცხვილი და ქარმა წაიღო
ვერგამოვლილი მინდორ-ვაკე, ფორო, ტრამალი.

ვითვლიდი დღეებს და ფეხებთან სუროს ვირგავდი.
არც მოიმედე მჭირდებოდა, არც ხმის გამცემი.
ყველგან ვცადე და ჩემს თავს მაინც არსად არ ვგავდი;
ქვიშა ვაგროვე, წყალი ვნაყე, ქარი გავცერი.

ვერ შევიძელი, მყვარებოდა. ხრიოკ მიწაზე
დარგულ ხესავით უიმედო — გავხდი მერყევი.
ის, რაც გზადაგზა შემიყვარდა, აღარც მიტაცებს,
რაზეც დროდადრო ვსაუბრობდი, ახლა ვერ ვყვები.

არ უნდა იყოს მეგობარი. მამა არ იყოს.
ღმერთის ენაზე მოსაუბრე, არ იყოს ვინმე.
გაიყოს გზა და საბოლოოდ იმან გამრიყოს,
ვისთვისაც სუნთქვა შევიკავე, ვისთვისაც ვევნე.

* * *

სანამ შენს გაწელილ სიყვარულს წელზე მაზომებ,
მე შენს დარდს ვზეიმობ,
რომ ცოტაც და აღარ დაგირჩები.
ცოტაც და აღარ დაგირჩები.
რომ გცოდნოდა როდემდე არ არის გვიან,
ჩემი სინდისით გამომაბამდი თოკგაყრილ საქამრეს.

არ მეშინია შენი ჭკვიანი სიყვარულის,
ძლივს რომ მომარგე ყელზე და მხრებზე,
მუცელზე და მაჯებზე.
ცოტაც და ყველა სხვას, დიდი მოუვა.

* * *

როცა შენ გულგამოცლილი,
ადუღებული გონებით
არჩევანს აკეთებდი,
მშვიდად მეძინა და ჩემ გარშემო
სამყარო შენი ღიმილივით
იცვლებოდა.
ასეთი ღამეები აქცევენ მორცხვებს ურცხვებად
და სამარცხვინოებად.
ასეთ ღამეებში დაუბრუნებლად იკარგებიან
მშობლები, სახლები და სახელები.
სამყარო უკუღმა რომ დატრიალდეს,
მხოლოდ იმას შევცვლიდი, რომ
უფრო ღრმად დავიძინებდი ხანმოკლე ძილით,
კოშმარმოვლილი, გამშრალი ხახით
გადავყლაპავდი
ყელში გაჩხერილ ტკივილს
და დაგეხმარებოდი,
თავი უფრო დამნაშავედ გეგრძნო.
ძვლებს უძლური ადამიანები გვაცლიან,
ჩვენ კი სულ უნდა ვიფხიზლოთ,
რომ თვალგახელილი შევხვდეთ
ყველა ღიმილის ცვლილებას.

* * *

ხანგრძლივი გზის მგზავრივით არ მოკალათდე
ქალაქის ავტობუსში. არ მოიხსნა კაშნე
და არ მიკიდო ქურთუკი სავარძლის ზურგზე.
არ გაუბა საუბარი გვერდით მჯდომს, მით
უფრო, არ დაიწყო წიგნის კითხვა.
ვერ მოასწრებ ნივთების მოგროვებას ჩასვლამდე,
ან გაჩერებას გასცდები.
რამდენჯერ ამერია გზის სიგრძე,
სვლის სიჩქარე.
ვინ მოთვლის,
რამდენი რამ დამრჩა, ხანმოკლე ადამიანებთან
მოკალათებულს,
ჩასვლის წინ მოკრეფა ვერ მოვასწარი.

* * *

ნაწვიმარზე მიწას ვბარავდი.
ძნელად დავძარი.
არაფერია.
მომიწევს ბევრად მძიმე მიწის ატანა.

* * *

დროსთან თამაშს გავს პოეზია.
ზრდასრულის თხელი ნიღბის უკან
დაგუბებული ბავშვურობა
ლექსებად ჟონავს.

მოხუცი ქალაქში

როგორც ტუსაღი შესცინინებს
სარკმლით მოზღუდულ ზეცის ნაგლეჯს,
სწორედ ისე ესათუთება
კორპუსებს შორის უასფალტოდ გადარჩენილ,
მტკაველ მიწაზე მცენარეებს
და ამ ნამცეცით ცდილობს დაიცხროს
მისი მიწასთან სიახლოვის დიდი შიმშილი.

ეპიტაფია

შენ, ვინც იხილავ
ეკლესიის ეზოში საფლავს დიდგვაროვნისას
და მავედრებლად შემოგყურებს ეპიტაფია:
„მომიხსენეო ლოცვასა შიგან,“
უსახელ-გვაროს, უსაფლავოს მოხსენებაც
არ დაგავიწყდეს,
ვის მხრებსაც ლოდის სიმძიმედ აწვა
ბატონკაცის მსუბუქი ყოფა
და ვისთვისაც რეალურად ქრისტე მოვიდა.

თავგადასავალი

ტყეში იდგა და ბორცვებს გადაღმა
სიცოცხლის ცვეთას გულისწყვეტით
აკვირდებოდა.
ტკივილს რგოლებად ინახავდა მკვრივ სხეულში.
არშეცნობილი, უტყვი ტოტემი
ცასაზიდული, ნედლი ტოტებით
გეზავდა ქარებს, სამოყვასო გზავნილებით
ასაზრდოებდა მეზობელი სოფლის ეზოებს.
ერთ სევდიან დღეს დაასრულა ერთი სიცოცხლე,
(სიკვდილის ხერხი ნაადრევად წაადგა თავზე)
და დაიბადა სახლის კედლებად.
ოთხი თაობა გამოზარდა, ოთხ თაობას მიესათუთა,
თითოეულის ენერგეტიკა შეიზარდა,
ფიცრის შრეებში ჩაილექა.
რას არ შეესწრო,
ხეები თუ მზის სხივს ართმევდნენ ტყეში ერთმანეთს,

თურმე აქ, კაცთა სამყაროში
ყველა წვრილმანს ფასი სდებია
და ყველა წვრილმანს შესძლებია კაცისთვის
ფასის დაკარგვა.
როცა კარები გამოუხურეს და მიატოვეს,
ვერ ივარგა მძიმე კლიტემ, ვერ უდარაჯა.
ვერ გაუმკლავდა ხელმრუდე და სულბნელ კაცთაგანს.
რა იცოდა, „რასაცა გასცემ, შენია“-ს მომგონს
ასეთი რამეც მოუგონია: „თუ შენდებოდეს, შეეწიე,
თუ ინგრეოდეს, შეესიე“.
და შეესივნენ!
კვნესოდა ყოველ გატანილ ნივთზე,
ტკიოდა ტკბილი მახსოვრობის განიავება.
თანდათან გული აიცრუა ამ სამყაროზე,
ჩამოირკილა, გამოიფიტა
და როცა დადგა დასასრული
კიდევ ერთი სიცოცხლისა,
არც კი იბრძოლა.
ბოლო სიცოცხლე უცებ შესრულდა:
გათოშილ ხელებს მისი ნარჩენი ენერგიით მიესალბუნა
და იქცა ნაცრად.
ბოლოს მინდორში იპოვა ქარმა
და საკვებად მოაფინა ქორფა ბალახებს.

საგაზაფხულო (მკითხველს)

ნეტავ მკითხავდე:
„სად დაიკარგე?
რახანია, არაფერი მსენია შენგან.
აღარ გიღირვარ, რომ დაჯდე და მომიძღვნა რამე?“
გიპასუხებდი:
რა ვქნა, რომ ამ დროს მთლად მიმონებს
მიწის კაპრიზი,
მინავლებულ სულს მიღორძინებს ფოტოსინთეზი.
სავსემთვარობას ეს ბუნებაც ლბილად მომყვება,
თითქოს მეთუნეს გამომყავდეს გრძნობის სასმისზე
ორნამენტები.
ცოტაც მაცადე
და ამ სასმისებს სიცოცხლის ეშხით სავსეს მოგაწვდი.
ცოტაც მაცადე,
ლექსის ემბრიონს ჯერ არა აქვს სრულქმნილი სახე.
დაიხვეწება და
მიწისპირულ სასწაულებს შენც დაგანახებ.

ნეტავ მკითხავდე...
მაგრამ შენთვის უხილავი ვარ.
მე თუ არ, ვინმე, სხვა მოგიძღვნის სიტყვის თაიგულს
და მაკურნებლად დაედება შენს სულსა და გულს.
სხვა მოუქარგავს მკვეთრ კონტურებს
განძივით ფიქრებს,
რასაც ბუნდოვანს ატარებ და სიმშვიდეს გიმღვრევს.

ნეტავ მკითხავდე,
მოხვიდოდე ნეტავ, ჩემამდე
და მეც ლექსების თავშესაფარს აგიშენებდე.

* * *
რატომ გვგონია თავი მაღალი...
რატომ გვგონია თავი ძლიერი...
ჩვენ ხომ არ გვიყვარს წამი ახალი...
მომავალს ვაფრთხობთ ძველი იერით...
კი, რა თქმა უნდა — ტრადიციები...
კი, რა თქმა უნდა — სისხლი ხნიერი...
სიზმრად ნანახი ამბიციები...
ხორცი — მაძღარი, სული — მშიერი!..

შეკითხვა ხაიამს...

— რა გინდა, რომ ქნა, მითხარით ერთი...
როცა არ გწყალობს ბედი თუ ღმერთი?..
— როგორ არ გწყალობს, როცა გიპყრია
ხელთ საჭრეთელი და არა კვერთხი...

* * *
სად წავიდე, ვინ ვნახო,
ვის ვახარო მისვლა...
ისევ უნდა ვინაღვლო,
გზა ქცეულა ნისლად...
იქით წასვლაც არ მინდა
(ჯერ თავს არ ვთვლი ღირსად),
ჰოი, როგორ დაბინდდა...
ვითომ მოსვლა ღირს მანდ???

* * *
ვერ შეაყვარე ცხოვრებას თავი...
(თუმცა მცდელობაც რომ არ გქონია?..)
რადგანაც ხედავ — ეს მოსართავი
მხოლოდ ბრიყვთათვის მონაგონია...
მხოლოდ სიზმარი და არა ცხადი...
ჩვენება თითქოს სადღაც ნანახის...
ნისლი გართხმული მიწიდან ცამდის...
ჭმუნვა-ვაებით გადასალახი...

* * *
როცა გამგონე არა გყავს...
არა სჯობია, გაერთო?..
წყლისას ხომ არ ჰგავს დანაყვას
ეგ შენი საქმე საერთოდ!..
თუ დამნახავიც ვერ ხედავს
შენს ნამუშაკარ-ნახელავს...
არ გაგიტყდეს და შეგბედავ —
ღირს მათთვის ფიქრის გამხელა?!.

* * *
ჟღურტულებენ ჩიტუნები
რა საყვარლად,
რა ტკბილად...
რის კორონა,
რა ვირუსი,
რა ჭირი და ბაცილა...
ჩამომძახეს —
თქვენმა შიშმა
ოხ, რამდენი გვაცინა...
მზე გაცოცხლდა,
გაზაფხულდა,
უკვდავების ვაქცინა...

* * *
გაზაფხული ხასხასა,
წვიმა თბილი, წყნარი...
გულში რწმენა ჩასახა...
გააცოცხლა მკვდარი...
მიწამ ზეცას ასძახა —
აჰა, ყვავილნარი...

* * *
მო, გონებავ... მოდექ ახლოს,
გავაცოცხლოთ წარსული...
შენში სუნთქავს, შენში სახლობს
ბავშვიც, ყრმაც და ზრდასრულიც...
მოგონებავ, თუნდაც მწარევ...
ბოლოს ტკბილად იქცევი...
შენ ხარ გრძნობა აზრის გარეთ...
დრო — მოქცევის... მიქცევის...

* * *
გადავიყაროთ გულჭირი,
წლები ისედაც ქრიან...
არა სჯობია, სულ ტირილს
დღეს გავუღიმოთ მზიანს?..
გავხალისდეთ და ვილაღოთ,
მივყვეთ სურვილს და მიზანს...
სიკვდილ-სიცოცხლე ვინ გაყო,
აქ ვინ დაგტოვებს ხიზანს!..

სინანული

მარტო ამ გზაზე?..
აქამდეც...
სანამ მოვედი,
მანამ...
არაფერი მაქვს
საქადნი,
უმკელი მრჩება
ყანა...
მთები კი
შეუშფოთებლად,
წარბშეუხრელად
დგანან...

* * *
მიხაროდა მისვლა-მოსვლა,
მოძრაობა, ქვეყნის ნახვა...
დრომ სურვილი ძირში მოსრა,
ჩუმად ყოფნა მინდა ახლა...
მეჩვენება რაღაც უცხოდ
ყველა გრძნობა, განცდა, ზრახვა...
თითქოს ხდება სადღაც უხმოდ
მათი შეცვლა, გარდასახვა...

* * *
ყველაფერზე პასუხს ეძებ...
ყველაფერზე გული გტკივა...
შენი გული ამდენს შეძლებს,
არ იქნება ვითომ გვიან?..
კი ბატონო — ზემოთ წვდომა...
კი ბატონო — ნათლის ხილვა...
უკან დარჩა შემოდგომა...
მწვერვალები დაიჩრდილა...

დასასრული
დასაწყისი N288

პირველი ქაჯი

არა... ჰო... მეც უკვე ისღა მეჩვენება, რომ დროს ვკარგავთ. თუ კითხვა მართლა ასე მავნებელია ადამიანისთვის, ახლა მხოლოდ იმ ჯადოზე უნდა ვფიქრობდეთ, რომელიც ზღაპრებს, წიგნებს, აი, ამ ჩვენს ამბავს სრულიად კაცობრიობას წააკითხებდა და, შესაბამისად, გააწამებდა — რეალურ ცხოვრებაში!

მესამე ქაჯი

ეგ თუ ოფიციალური წინადადებაა, ჩათვალე, რომ უარყოფილია. თუმცა ჩვენი თათბირისთვის ის შეიძლება იმაზე კიდევ უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს, ვიდრე შენივე ამასწინანდელი შეკითხვა-შეშფოთება გამოდგა. და მოდი, ნუღარ დავწვრილმანდებით იმის აღნიშვნით, რომ ორივე სარგებელი შენდაუნებურად მოიტანე.

ამჯერად მაგ წარუმატებელ წინადადებას მორიგ უმთავრეს საკითხზე ჰაეროვნად გადასვლისთვის გამოვიყენებ. საკითხის არსი არის პირობა, რომელსაც კბილი დიალოგის დასაწყისშივე მოვუსინჯეთ და რომლის დარღვევასაც მთელი იმ სიკეთის დაღუპვა შეუძლია, რომელზეც დანარჩენ დიალოგში ვილაპარაკე. პირობა მარტივია: ზღაპარი, სადიდო წიგნი თუ სხვა მსგავსი მავნე საკითხავი ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილმა უნდა წაიკითხოს. საბედნიეროდ, ის — ჯერჯერობით მაინც — განუხრელად სრულდება.

დიახ — და იმედია, ჩემი ფოიერვერკული აპოლოგიის შემდეგ ეს შოკისმომგვრელი არ აღმოჩნდება — უნდა ვაღიაროთ, რომ ტრიუმვირატის სამივე სეგმენტის პირდაპირი გავლენა არათუ აბსოლუტური არ არის, არამედ კაცობრიობის მხოლოდ მცირე ნაწილს მიემართება. თუმცა — აქვე დავძინოთ, რომ — საბოლოოდ, მას თავისი მნიშვნელოვანი და უნიკალური წვლილი შეაქვს ზოგადსაკაცობრიო უბედურებაში.

თუ სამებას კვლავ დავანაწევრებთ და ნაწილ-ნაწილ შევათვალიერებთ, შევნიშნავთ, რომ კონტაქტების ოდენობით მშობლების იპოსტასი ლიდერობს. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, დამწყებ ადამიანთა უმეტესობას ჰყავს მშობლები ან — მშობელი მაინც.

თუმცა ამ შემთხვევაში კონტაქტების სიმრავლე დიად ქაჯურ საქმეს ბევრს ვერაფერს უშავებს. და კიდევ კარგი, ასეა — რადგან სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ამ ამბავში ქმედითად ვერ ჩავერეოდით — რაკი ზღაპრიდან რეალობაში პორტირება და მშობლების ფიზიკურად ამოხოცვა ჩვენს ხელწერას მაინცდამაინც არ მოუხდებოდა... ჰმ, რომც შეგვეძლოს.

აი, რაც ტრიუმვირატის შემოქმედებით ნაწილს შეეხება, აქ უფრო სიხალვათეა. დიახ — ზღაპრებსა და მხატვრულ ლიტერატურას კითხულობს ცოტა, და არა — ბევრი, და მით უმეტეს — ეშმაკო, შენ დაგვიფარე — ყველა.

ჰო, ამ შემთხვევაში მართლაც გადარჩენილები ვართ. თუ რატომ — რა თქმა უნდა, ამასაც დეტალურად აგიხსნით, ოღონდ თქვენი წარმოსახვაც უნდა წამახმაროთ:

მაგალითად, წარმოიდგინოთ, რომ მთელი კაცობრიობის მცირეწლოვანი ნაწილი მასობრივად კითხულობს ზღაპრულ თუ სხვა ლიტერატურას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად, შეპარვით ან აგრესიულად, გულწრფელად ან ვერაგულად ქადაგებს სიკეთის, სიალალის, პატიოსნების, სიმართლის, სიყვარულის, მიტევებისა და ყოველივე მათი მსგავსის უპირატესობას ბოროტებაზე, თვალთმაქცობაზე, სიცრუეზე, გაქნილობაზე, სივერაგეზე, დაუნდობლობაზე... რომელიც ირწმუნება, რომ ცხოვრებაშიც პირველები ამარცხებენ მეორეებს, ხოლო თუ ზოგჯერ ასე არ ხდება, ადამიანი მაინც პირველთა მხარეს უნდა იდგეს, რაკი ეს სწორია, რაკი ეს ღირსების საკითხია და რაკი, ბოლოს და ბოლოს, უზნეო სიცოცხლეს ზნეობრივი სიკვდილი სჯობია... მოკლედ, რომელიც უშურველად აფრქვევს იმ გავლენას, რაზეც ზემოთ ბლომად მოგახსენეთ.

წარმოიდგინეთ, ეს გრძელდება იმდენხანს და ისე ინტენსიურად, რომ გავლენა, რომელსაც — ლაკონურობისთვის — გაკეთილშობილებად ან, გნებავთ, გაზრდად მოვიხსენიებ, მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანზე ვრცელდება.

დაბოლოს, ისიც წარმოიდგინეთ, რომ შესაბამისად, საბოლოო ჯამში, ადამიანთა საგრძნობი უმეტესობა იწყებს ცხოვრებას სიკეთის, სიალალის, პატიოსნების და კიდევ სხვა ასეთივე ამაზრზენი პრინციპებით, ხოლო უმცირესობას, რომელიც ამას ყოველთვის ვერ ახერხებს, თავისი წარუმატებლობისა რცხვენია და თავი ეკნინება კეთილთა, ალალთა, პატიოსანთა და სხვა შემზარავთვისებიანთა მიმართ...

არ ვიცი, ეს ყველაფერი წარმოიდგინეთ თუ ვერა, მაგრამ თუ ეს ყველაფერი მართლა მოხდა, მაშინ ისიც მოხდება, რომ — ფუ-ფუ-ფუ — რეალურ ცხოვრებაშიც სიკეთე გაიმარჯვებს და აი, ამ ზაქროსნაირი იდიოტებიც კი ბედნიერად იგრძნობენ თავს.

მაგრამ აბა, ახლა ავიღოთ ნებისმიერი ათი დამწყები ადამიანი და უკვე ის წარმოვიდგინოთ, რომ ამ ათიდან მხოლოდ ერთი — დანარჩენი ცხრისგან განსხვავებით — კითხულობს ზღაპრულ წიგნებს და — თავისთავად, ისევ დანარჩენი ცხრისგან განსხვავებით — შესაბამის კეთილმყოფელ ზეგავლენას განიცდის. ანუ კითხულობს ერთ წიგნს, მეორეს, მესამეს და დღითიდღე უკეთესი ხდება. მისი გარემოცვა კი პირდაპირ ცხოვრობს და იმის სრულიად საპირისპირო რამეს სჩადის, რაც „დღითიდღე გაუკეთესებაა“...

ამის შემდეგ ყველაზე საშინელი რამეღა დაგვრჩა წარმოსადგენი: იმ ერთი ადამიანის მომავალი.

შედეგი მიღებულია. თუმცა ისიც აშკარად დავინახეთ — ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს — ვერაფერსაც ვერ მივიღებდით, ეს — ერთი ათთან ან გაცილებით მეტთან მიახლოებული — პროპორცია რომ არ დაგვეცვა. დიახ, ათი არსებიდან ცხრა მგლად იზრდებოდეს და შენ მეათეს ასწავლიდე ბღავილს — აი, ჭეშმარიტი ბოროტების ფორმულა!

დამეთანხმეთ, საოცარი პასაჟი შემოგთავაზეთ. მაგრამ გაღიზიანებულმა წარმოსახვამ ცხოველთა სამყაროში რომ არ გადაგტყორცნოთ, ისევ ბიბლიოენაზე ვიტყვი: წიგნის დაწერა დასრულებული ავი საქმე არ არის. ეგ მხოლოდ ერთი ნაწილია იმ საქმისა, რომლის მეორე ნაწილი მკითხველამდე მისვლა, ხოლო მესამე — როგორც უშნოდ იტყვიან — ფართო მკითხველამდე მიუსვლელობაა.

პირველი ქაჯი

მმმ... მაშინ მაგაზე ვიზრუნოთ!

მესამე ქაჯი

გავიგე, რომ დიალოგისთვის მორიგი სარგებლის მოტანას ცდილობ, მაგრამ კარგად ვერ გავიგე, რაზე ვიზრუნოთ.

პირველი ქაჯი

იმაზე, რომ წიგნები... მმმ... ფართო მკითხველამდე არ მივიდეს... როგორც უშნოდ იტყვიან.

მესამე ქაჯი

აკი ზემოთაც მიგანიშნეთ — ადამიანს ვერავინ ასწავლის, სხვა ადამიანი როგორ გააუბედუროს. ჩვენ მხოლოდ არსებული ბალანსის შემჩნევა, დაფასება და შენარჩუნებაზე ზრუნვა მოგვეთხოვება. ეს ბალანსი კი ლიტერატურასა და ადამიანს შორის ურყევ დისტანციასაც გულისხმობს.

ორი წერტილი ერთმანეთს რომ მიუახლოვდეს, ამისთვის ერთი მათგანი მაინც მეორისკენ უნდა გადაადგილდეს. არამწერალ ადამიანს ერთდროულად იმდენი მიმართულებით მიერეკება ცხოვრება, რომ ერთ დღეს ლიტერატურისკენ რამდენიმე ნაბიჯის გარბენაც რომ მოახერხოს, შეიძლება მეორე დღეს ორი იმდენი უკან გამოირბინოს. ლიტერატურას გაცილებით მეტი საშუალება დაანათლეს შემქმნელმა მუზებმა, მაგრამ ერთი რამ დააკლეს: თავმდაბლობა. ლიტერატურა არ იკადრებს, მასობრივი ადამიანისკენ მობრუნდეს. ამას ადამიანზე ფიქრი, ადამიანისთვის ფიქრი, ადამიანის ხათრით თავის დამდაბლება სჭირდება. წიგნებს კი, როგორც გითხარით, გაბღენძილი ტვინები ქმნიან.

ისე, ამდენი ხანია, ლიტერატურაზე ვსაუბრობთ და, ჯერ მისი ერთი კონკრეტული ფორმაც — ხშირად ჟანრს რომ უწოდებენ — არ გვიხსენებია. აი, პოეზია კი, ეჭვი მაქვს, რომ არც გვიგულისხმია. ეტყობა, ამ მომენტისთვის ვინახავდით — რაკი როცა ადამიანსა და ლიტერატურას შორის მანძილის დაუძლევლობაზე ვლაპარაკობთ, სწორია, პირველად პოეზია გაგვახსენდეს.

თუმცა რა მანძილი და რისი დისტანცია — თანამედროვე ადამიანიდან თანამედროვე პოეზიამდე ერთი უსასრულო გვირაბია, რომლის ბოლოშიც ისევე ბნელა, როგორც მის ნებისმიერ წერტილში. ამ გვირაბიდან, ბევრი-ბევრი, გაურკვეველი პუტუნი გაიგონო. ოღონდ გაგების რა მოგახსენოთ — გვირაბის ბინადარი პოეტების სექტის ენა მხოლოდ იმას ესმის, ვინც ამ სექტის წევრია. თუმცა თავს ამაზეც ვერ დავდებ.

პირველი ქაჯი

ანუ პოეზიას არავინ კითხულობს? ეშმაკო ჩემო, კიდევ კარგი, ლექსში არა ვართ!

მესამე ქაჯი

გააჩნია, როგორ მივუდგებით საკითხს. ერთი მიდგომით, პოეზიის მკითხველიც არსებობს, მისით აღფრთოვანებულიც, გარდარეულიც, დაწიოკებულიც და ჩათბილგულღიმილებულიც. მეორე მიდგომით კი, ესენი სწორედ იმის წყალობით არსებობენ, რომ წარმოდგენაც არა აქვთ, პოეზია რა არის. შეიძლება ვინმემ ამ სიას „ელიტური მკითხველიც“ დაუმატოს, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ სიტყვები ზოგჯერ მნიშვნელობებს იცვლიან და ამ შემთხვევაში „ელიტური“ „მოჩვენებითს“ ან „თავის მომჩვენებელს“ ნიშნავს.

ამის შემდეგ — არ მინდა, მე რამე უხიაგი წამომცდეს და — თქვენ თვითონ ივარაუდეთ პოეზიის წილის ოდენობა იმ მადლში, რომელსაც ლიტერატურა დიადი ქაჯური საქმისთვის გასცემს.

საბედნიეროდ, კონკრეტულად პოეზიის უკიდურესი პასიურობა და ზოგადად ლიტერატურის მქმნელი ტვინების გაბღენძილობა ისეთი დაბრკოლებებიც ვერ არის, წიგნამდე ის ერთიც არ მიუშვას — ადამიანი ცნობილი პროპორციიდან.

რაც უნდა ბევრი იძახოს მწერალმა — ეგ შენი (ანუ ჩემი) მკითხველი სულ ფეხებზე მკიდიაო, იმ ხელშეკრულების რამდენიმე პუნქტის შესრულება მაინც მოუწევს, გაჩენის დღესვე რომ დადო მკითხველთან.

ახლა იმის შეტყობა ნუ გაგაოგნებთ, მწერალი და მკითხველი ერთ დღეს რომ დაბადებულან. და არც ის გამორიცხოთ, მკითხველი უფრო ადრე დაბადებულიყო და, შესაბამისად, ნატვრაც დაჰყოლოდა — აჰ, რა იქნება, ვინმე რამეს დაწერდეს — წავიკითხავდიო!

ხელშეკრულების ერთ-ერთ პარაგრაფად კი შეგვიძლია, „დამწერლობა“ (ნუ, ზეპირსიტყვიერი ჟანრების შემთხვევაში — „მეტყველება“) ვიგულისხმოთ. მწერალი ყოველთვის იმ ასონიშნებით წერს, რომელთა მნიშვნელობა სხვა ადამიანებისთვისაც ცნობილია (ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს). მხარეები წინასწარ შეთანხმებულან ტექსტში გამოსაყენებელ სიტყვებზეც, სინტაქსზეც და გნებავთ, პუნქტუაციაზეც კი.

წესით, ეს ყველაფერი უკვე უნდა ამტკიცებდეს იმას, რომ თუ რამე იწერება — წასაკითხად. მაგრამ მწერალი სხვა არგუმენტებსაც მოგვაშველებს:

ის არ წერს, რაც ენაზე, კალამზე ან კლავიატურაზე მოადგება. ის ცდილობს, წეროს გამართულად, კიდევ დამატებით — მხატვრულად, ხოლო თუ საკუთარი შესაძლებლობების ფონზე წარმოუდგენლად არ მიაჩნია — მაღალმხატვრულადაც კი.

მერე, იცით, რამდენს შრომობს მწერალი? ნუ — ზოგი მწერალი.

„შენ იმ ღამეს ჯვარს იწერდი, ჩემო მშვენიერო მერი, ვინ აღწეროს შენი სახის მაშინდელი ელვა, ფერი, ვინ ასახოს მისი იმ წამს უცხო კრთომა და იერი“ — ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს-ესაა, ცნობილი ლექსის ერთ-ერთი პირველი ვარიანტის დასაწყისი მოისმინეთ? არა? არადა, ასეა. ბოლო ვარიანტის დასაწყისი კი გემახსოვრებათ: „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი! მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა, სანდომიანცის ელვა და ფერი...“ ალბათ გასაგებია, რამხელა მანძილი, ფიქრი, შრომა, ესთეტიკური სხვაობა ძევს გალაკტიონის ამ ორ ნამუშევარს შორის.

თუნდაც ვერაფერი გაგეგოთ, მაინც ფაქტია, რომ მწერალი ამ ყველაფერს შვრება, და საკითხავია, რატომ შვრება — მით უმეტეს, თუ იქვე ირწმუნება — მკითხველი სულ არ მაინტერესებსო.

საქმე ის არის, რომ მწერალში მკითხველიც ცხოვრობს. და პირველი სწორედ ამიტომ წერს ასე და არა — სხვანაირად, რომ ამ ნაწერს — წერისას და რედაქტირებისას — მისივე მეორე შემადგენელი კითხულობს.

და ეს მწერლის შემადგენელი მკითხველიც არ აღმოცენებულა ქარში გადაყლაპული თესლისგან — ის გარეთ ჩამოყალიბებული მკითხველ-არქეტიპის ანარეკლია — ისევე, როგორც თავად ნაწერია გარემოს, სინამდვილის — რეალური, ვირტუალური, მისტიკური თუ კიდევ სხვანაირი — ანარეკლი.

ზოგჯერ მწერალი წერას წყვეტს — ხანგრძლივი დროით ან სამუდამოდ. და ხშირად ამის მიზეზი სწორედ იმ შემადგენელი მკითხველის დაკარგვაა, თავში ვეღარმოძიება იმისა, ვისაც დააინტერესებდა, რაც უნდა დაეწერა. ეგეთი პაუზის წინაპერიოდში გამოსხლეტილი ტაეპი უნდა იყოს — „სათქმელი მაქვს, მაგრამ — არავისთვისო“...

თუმცა ალბათ დროა, პოეზია საბოლოოდ გავუშვა ჯანდაბის გზაზე — თუ უკვე კარგა ხანია, იმ გზის ბოლოში არ არის — თორემ ჩვენს მეორე მეგობარს ისედაც მშობლიური ეჭვით მოსჭუტვია თვალები — თუ, რა თქმა უნდა, სულაც ისევ არ ჩასძინებია.

მეორე ქაჯი

რატომ? — იმას ვეთანხმები — წერას კითხვაც თან ახლავსო.

მარინა ცვეტაევაც ამბობს ერთ ესეში — ყველა მწერალი იმ წიგნს წერს, რომელიც მის თაროებს აკლიაო. ანუ თუ ავტორში ინტეგრირებულ მკითხველზეა საუბარი — მისთვის წერს მწერალი, კი ბატონო.

ოღონდ ცვეტაევას სიტყვები თითქოს იმასაც მიანიშნებს, რომ მწერალს საკუთარი თავი მკითხველადაც ჰყოფნის, ანუ მკითხველად საკუთარი თავიც ჰყოფნის, და სწორედ ამ ერთადერთი მკითხველისთვის — საკუთარი თავისთვის წერს.

მაგრამ — რატომ? ისეთი რა კითხვის ქაჯი შეეყარა, რომ აუცილებლად თავისი ნაჯღაბნი უნდა წაიკითხოს — მაშინ, როცა ათასი სამყაროსხელა ქაღალდი თუ მასთან გათანაბრებული მასალა უკვე გადაჯღაბნილია? რამ უნდა აიძულოს ადამიანი, ამ ურთულეს, ფინანსური თვალსაზრისით უვარგის, დროისა და ენერგიის ვამპირ პროფესიას მიეძღვნას?

შემთხვევით, იმან ხომ არა, რომ მწერალს წერა, უბრალოდ, აბედნიერებს? ან იქნებ იმან, რომ, სხვანაირად არ შეუძლია — მოკვდება, რომ არ დაწეროს? და შესაბამისად, მაშინაც მოკვდება, სხვა მკითხველზე, მის სურვილებზე, მოთხოვნილებებზე, გემოვნებაზე თუ იფიქრებს — რაკი ასე ვერაფერს დაწერს...

ბოლოს და ბოლოს, ბედნიერების წყურვილზე ან სიკვდილის შიშზე ნაკლებს რას შეეძლო, აქამდე მოეტანა ისეთი შავბნელი საქმიანობა, როგორადაც შენს მონოლოგში ან თუნდაც ჩვენს დიალოგში ლიტერატურა დაისახა?

ასე უბრალოდ ავდგეთ და დავიჯეროთ, რომ ამ უაზრო და უმადური ჯაფის ერთადერთი გენერატორი მსხვერპლის მოპოვებისა და განადგურების დაუძლეველი წყურვილია?

მესამე ქაჯი

არც მე მესმის იმათი, ვინც წერს.

განსაკუთრებით მაინც იმისი არ მესმის, ისეთივე ჟინით, მეთოდებითა და მსოფლმხედველობით რომ მწერლობს, როგორითაც მწერლობის მიღმა ცხოვრობს „ყველა“, ვინც იქ თავს შესანიშნავად გრძნობს და ვისაც მთელი იქაური თვალთმაქცობა ჰარმონია ჰგონია.

და, რომ არ დაგიმალო, იმისიც კარგა განსაკუთრებით არ მესმის — თუ ასეთი მართლა ვინმეა — ვინც მოკვდებოდა, რომ არ ეწერა.

ბედნიერებაზე, წესით, ჩვენს მოდგმას ბუნდოვანი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს. ასე შორიდან კი არა მგონია, ის იმდენხანს მაინც გრძელდებოდეს, რა ხანიც თუნდაც ერთი წიგნის დაწერას სჭირდება.

არ ვიცი, შეიძლება ჩემთვის — შენგან განსხვავებით — უცხოა გენიოსთა შეგრძნებანი და ამიტომაც მეჩვენება მწერლობა ქვეყნიურ საქმედ, ადამიანთა ურთიერთობის ფორმად, და ამიტომაც არ ვფიქრობ, რომ ვთქვათ, მისტიკური ზეარსებები მოითხოვენ კაცთაგან მხატვრული სახეებით აზროვნებას, მით უმეტეს — დახვეწილ სინტაქსს.

თუმცა ისიც მართალია, რომ თავზე ხელს ვერ ავიღებ და თავს ვერ დავდებ — მწერალთა ჭეშმარიტი მოტივაცია ზუსტად მომეხსენება-მეთქი.

ფაქტია, თავად ავტორები არასდროს აღიარებენ — ვმავნებლობთო, და ხშირად საპირისპიროსაც მიგვანიშნებენ. მაგალითი არჩილ ქიქოძის განცხადება იყოს — „ლიტერატურა არის კარგი ადამიანისთვის და იმისთვის, რომ იმან არ იგრძნოს, რომ მარტოა ამ სამყაროში დარჩენილიო.“

ეგ არის, ამ განცხადებას თუ ჩავუკვირდებით, გავშლით და ხმამაღლა გავაანალიზებთ, იმავეს გამეორება მოგვიწევს, რაც უკვე მოგახსენეთ წიგნებისგან თავსმოხვეულ მავნებლურ ილუზიებზე. გაურკვეველი მხოლოდ ის დარჩება, თვითონ ავტორი რამდენად იაზრებს „კარგი ადამიანებისთვის“ მინიჭებული ილუზიის საბოლოო შედეგებს.

სადღაც ზემოთ მწერლები მშობლებზე უფრო ჭკვიან ხალხად მოვიხსენიე თუ ვიგულისხმე. და რაკი ყველაფერი შედარებითია, შესაძლოა, არ შევმცდარვარ. მაგრამ მოდი, არც იმას გამოვრიცხავ, მწერლებსაც მშობლებივით ბრიყვულად სწამდეთ, რომ სამიზნე აუდიტორიისთვის სიკეთე მოაქვთ.

თუმცა რაკი მშვენივრად მოგვეხსენება, რომ ავტორთა უდიდესი უმრავლესობა მკითხველიცაა, ხოლო მკითხველი მსხვერპლსაც ნიშნავს, ჩვენნაირი ეჭვიანი მოდგმის ვალდებულებაა, ესეც იკითხოს:

ხომ არ არიან მწერლები ჩვენი, არა უნებლიე, არამედ შეგნებული მოკავშირეები, რომელთა საწერ იარაღებს ერთგვარი შურისძიების წყურვილი, კერძო უბედურების გავრცელების სურვილი და სხვა მსგავსი კომპლექსები ამოძრავებს? იქნებ ზოგი მათგანი პერიოდულად სულაც ჩვენი რიგებიდან ინერგება მწერლობაში, ვინ იცის?

მესმის — ეს უკანასკნელი ვარაუდი მეტისმეტად თამამია, მაგრამ საკითხი აიტანს. აკი, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მწერლები და კიდევ არაერთი ადამიანური პროფესიის მუშაკები გამუდმებით იქექებიან თავიანთი მოდგმის სულიერ ლაბირინთებში, დღემდე მათთვისაც კი შეუცნობელი რჩება გზანი და ზრახვანი ადამიანისანი.

მეორე ქაჯი

შენი ვარაუდი არც ისე თამამად მომეჩვენებოდა, მეც ერთი ეჭვიანი ქაჯი რომ არ ვიყო და ადამიანთა უხეირო მოდგმისგან რამე სარგებლის მიღების ბოლომდე დაჯერება არ მიჭირდეს.

დავუშვათ, ის უკვე მჯერა, რომ სიკეთის სენშეყრილი მკითხველი პოტენციური მსხვერპლია. სამაგიეროდ, ჩემთვის ჯერ კიდევ სათუოდ რჩება ადამიანთა მეათედის — თუ, ვინ იცის, მერამდენედის — უბედურების ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

ან შენ თავად არ გიფიქრია, რომ თუ ადამიანთა სულიერ და ფიზიკურ სამყოფელში სიკეთის ეთერ-ნისლოვანი ილუზიაც არსად ილივლივებდა, მაშინ უფრო ხისტი და, შესაბამისად, ადვილად მსხვრევადი იქნებოდა სრულიად კაცობრიობის სხეული? არ გიეჭვია, რომ შეიძლება სწორედ ეს მკითხველი ინარჩუნებს კაცობრიობას — იმ მსხვერპლის ფასად, რომელიც თვითონვეა — მშობლებისგან, ზღაპრებისგან, წიგნებისგან და კიდევ იმათგან გაღებული, ვისზე თუ რაზე საუბარიც მომავალი ტექსტებისთვის გადადე?

მესამე ქაჯი

ეჭვი ჭკვიანთა ერთ-ერთი თვისებაა. და იქნებ ამიტომაც ვეჭვობ, რომ ახლა ეჭვზე მეტად მაინც ზარმაცის სინანული გალაპარაკებს — რაკი ვერაფრით მოგიშორებია შეგრძნება — თითქოს დროში გაწელილ დავიდარაბად ვიქციეთ გველის კბენით მოსამთავრებელი საქმე.

სიზარმაცეც ბოროტებაა და, პრინციპში, ადამიანის სიკვდილიც — ამიტომ ან ერთზე როგორ დამცდეს აუგი, ან — მეორეზე. მაგრამ ასეთმა ტკბილმა საცდურებმაც კი არ უნდა აგვირიოს სამიზნე. რა სურს ბიზნესმენს — კლიენტის განადგურება თუ მისი გაძარცვა? ჩვენი საქმეც, ადამიანის ტანჯვაა და არა — კაცობრიობის მოსპობა.

გინდა, დიადი მიზნის დევალვაციის საფრთხეც დავივიწყოთ და მხოლოდ ვიწრომერკანტილურად ვიკითხოთ: კაცობრიობას რომ ბოლო მოეღოს, ვინღა დაწერს ჩვენით გამოტენილ ზღაპრებს? კაი — ეს კონკრეტული ტექსტი თითქმის დაწერილია — ვინ წაიკითხავს მას, ადამიანთა მოდგმა თუ არ იქნა?

ერთი სიტყვით, ტრიუმვირატი არათუ მაშინაც ჩვენი მოკავშირეა, თუკი კაცობრიობას უბადრუკ სიცოცხლეს უნარჩუნებს, არამედ მაშინ უფრო დიდი მოკავშირეა ჩვენი.

თუმცა კაცობრიობის მოსპობა ერთადერთი აქტი როდია, რასაც შეუძლია, ის კინკილა მკითხველიც გამოგვაცალოს ხელიდან — თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ მის კითხვას გამოაცალოს აზრი. ამისთვის ზოგჯერ ისეთი მცირე დაუდევრობაც კმარა, როგორიც, მაგალითად, სიტყვის გაქცევაა, რისი წყალობითაც საკითხავის შემოქმედებს ტექსტი ხელში ზედმეტად შემოწელებათ ხოლმე. ხოლო თუ ხსენებული შემოწელვა ესეურ სტილში გადაწყვეტილი ფილოსოფიური მიდებ-მოდებით გამოიხატა, კიდევ უფრო მეტი შანსია, მკითხველმა ან საერთოდ ვერ მიაღწიოს ტექსტის ფინალამდე, ან მიაღწიოს თვალით, მაგრამ არა გონებითა და გულით — რაც, პრაქტიკულად, იმას ნიშნავს — კუთვნილი საწამლავის დოზა გამოტოვოს.

მეორე ქაჯი

ჰმ. ეშმაა მოწმე, ჩემი ჩართვებით მხოლოდ იმას ვცდილობდი, დამატებითი ჯაფა და დავიდარაბა აგვეცილებინა თავიდან. აკი შენი თეორიის გაპრაქტიკება — რასაც, ვხედავ, ველარ გადავურჩებით — ზღაპრის გმირისთვის არაერთი სპეციფიკური ფათერაკის შემუშავებას ნიშნავს. და სწორედ ეგ სპეციფიკაა დროისა და ენერგიის ყველაზე გაუმაძღარი ფაგი — რაკი ისეთ მოჩვენებით ფათერაკებს გულისხმობს, ზერელე თვალს რომ სასიკვდილო ჰგონია, სინამდვილეში კი, ბედოვლათისთვისაც იოლად გასამკლავებელი და, საბოლოო ჯამში, მისი პოზიციების გამაძლიერებელია.

მაგრამ ვატყობ, ხსენებული ღვაწლი ჩვენი მოდგმის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად მიფასდება და სადაცაა, ერთპიროვნულად დამბრალდება ტექსტის საბედისწერო გაწელვა. არა, ჩემს სულს უარესი ცოდვებიც ვერ დაამძიმებს. მაგრამ ზარმაცისა და უჟმურის საპატიო იმიჯი კი ნამდვილად შემებღალება, ადამიანის გაუბედურების შეფერხება ყბედობის გამო თუ დამბრალდა.

ამიტომ იმისგანაც შევიკავებ თავს, შენი საეჭვო მინიშნების პასუხად შენივე ორატორიის უთავბოლო შემოვლითი გზები გავიხსენო. უკვე ვიცი, რომ ტექსტის გაწელვის გარდა, ეგეც არაფერს მოიტანს — როგორც ვერაფერი გააწყო ჩემმა კრიტიკულმა გამოხდომებმა შენი პასუხების სიღრმიდან მუდმივად გამომჭვირალ ისეთ ძლიერ არგუმენტთან, როგორიც არის სიტყვა — „დაწერილია“.

მოკლედ, კამათს მოვრჩი. ოღონდ ამ გადაწყვეტილებასთან შესაგუებლად ერთი რამის მოსმენა კიდევ მჭირდება: მაინც საწამლავის რა დოზას დავკანკალებთ ახლა, რას გამოველით ამ აშკარა ბედოვლათისგან, რისი მომცემია ის — თუნდაც მას შემდეგ, რაც ბოროტ პერსონაჟებს მხოლოდ ფორმალურად გავითამაშებთ და სინამდვილეში კვაზიფათერაკებით გავაძლიერებთ.

პირველი ქაჯი

ჰო... არა... მე პირადად, ახლავე და უკვე ოფიციალურად შემოვიტანდი წინადადებას — ვქნათ საქნელი და გავაფორმოთ გასაფორმებელი-მეთქი... მაგრამ ზუსტი მიზნის ცოდნა მართლა არაფერს დაგვიშავებს და იქნებ იმ თვალთმაქცური ფათერაკების მოფიქრებაშიც წაგვეხმაროს, პირიქით.

მესამე ქაჯი

ჯადოსნური ზღაპრის ერთი ხიბლი ისიც არის, რომ ბედოვლათის სუპერგმირად ქცევას დიდი მწერლური ჯადოსნობა არ სჭირდება. ლოგიკის მძიმე ჯაჭვით თვითგვემის აუცილებლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამისთვის ნაჩლიქარიდან წყლის მოწრუპვა ან აბლაბუდიდან რამე ქინქლის გამოხსნაც საკმარისია ხოლმე. დანარჩენი ჩლიქის პატრონმა იცოდეს და ქინქლების მეფემ...

მოკლედ, შეგვიძლია, საკმაოდ შთამბეჭდავი ფინალი გავქაჩოთ.

*

წინ მსახურები მოცუხცუხებდნენ და უზარმაზარ მუთაქად გადახვეულ ძვირფას ქსოვილს მოაგორებდნენ — ისე, რომ უკან მომავალთა ფეხქვეშ ფიანდაზად გაშლილიყო. ზაქრო და მისი პრინცესა ცოლი სპილოს ზურგზე გამართულ ტახტრევანზე ირწეოდნენ, ინდის ხურმას შეექცეოდნენ და ცერა და საჩვენებელი თითების მოჭერით გასხლეტილ კურკებს აქეთ-იქით მომყოლ ჩასილაღებულ მცველებს უშენდნენ. ბულინგად კი ნუ ჩამოართმევთ ახლა ამ უწყინარ ლაღობას — იმათ ისეთი ჩაფხუტები ეხურათ, ტყვია ვერ გახვრეტდა — გამოგონილიც რომ ყოფილიყო — და ფინიკის კურკა ხომ ხალისიანად თუ გაიწკაპუნებდა ზედ. ესეც, შეგვიძლია, მხოლოდ ვივარაუდოთ, რაკი ირგვლივ ფრქვეული ჰანგები საზ-ბარბით-დაფდაფისა ყურამდე, კურკების წკაპუნს კი არა, იმ ორმოცი ჯორის ფეხის ხმასაც არ უშვებდა, რომელსაც სპილოს კვალდაკვალ თვალ-მარგალიტის ორმოცი ჯორკიდებული მოჰქონდა.

რა თქმა უნდა, უფრო დახვეწილი ფუფუნების დახატვაც შეიძლებოდა, ტექსტის ამ ეპიზოდს რატომღაც იმ ზღაპრული ტრადიციისთვის რომ არ ეკმია, მოქმედებას ძველ დროში, აღმოსავლური ყაიდის სახელმწიფოში და უმთავრესად სოფელ ადგილებში რომ წარმოადგენს ხოლმე. ამ ვითარებაში კი, მოდი, იმ ცნობის წამატება ვიკმაროთ, პატარძალს თავის დროზე მზითვად საშუალო შეძლების სამეფოს ნახევარი რომ მოუყოლებია.

ასე თუ ისე, წყვილი სასეირნოდ გამოსულს ნამდვილად არ ჰგავდა და კონკრეტული გეზიც ეჭირა: მისი ნახევარი — სამი წლის მონატრებული დედ-მამის სანახავად, ხოლო მეორე ნახევარი დედამთილ-მამამთილის გასაცნობად მობრძანდებოდა.

ვიმედოვნოთ, რომ ზღაპრულად აწყობილ საქმეს ჩრდილს არც ზაქროს მშობლები მიაყენებდნენ — სტუმრებს ცოცხლები დახვდებოდნენ და შვილის ამ ყოვლად მოულოდნელ ყოფაში ხილვასაც ყოჩაღად გადაურჩებოდნენ, რათა მერეც კიდევ დიდხანს და ბედნიერად ეცხოვრათ.

*

პირველი ქაჯი

მარტო ერთი რამე აკლია.

მესამე ქაჯი

კერძოდ?

პირველი ქაჯი

ჭირი იქა, ლხინი აქა.

მესამე ქაჯი

ეგ შენზე იყოს.

პირველი ქაჯი

ჩემზე — რატომ? მეზღაპრის რეპლიკაა.

მესამე ქაჯი

ზოგადად, ეგრეა. თუმცა არის ფრაზები, რომლებიც გარეთ, მეზღაპრის ნათქვამი ბანალური და წყალწყალაა, ხოლო შიგნიდან, პერსონაჟისგან გაგონილი, ცინცხალია და მსუყე.

მესამე ქაჯი

ვაჰ. ლექციები ხო დამთავრდა?

პირველი ქაჯი

რა გინდა, ბუზღუნ?

მეორე ქაჯი

რა უნდა მინდოდეს. მივხედოთ საქმეს, დავგეგმოთ ცრუ ფათერაკები, განვადიდოთ ბედოვლათი.

*

იმ ღამით როდის ჩაეძინა ზაქროს, ან საერთოდ ჩაეძინა თუ არა, კაცმა არ იცის. დანამდვილებით ეგ თვითონ ზაქრომაც არ იცოდა, როცა ბალახის ქვეშაგებიდან გადრუნჩული წამოდგა, ტანსაცმელი ჰაიჰარად ჩამოიბერტყა, გუდანაბადი ალალბედზე წამოკრიფა, ცოტა ხანს იქვე იწრიალა და ბოლოს ბანდალით მიატოვა დროებითი და, პრინციპში, გამოუყენებელი საძინებელი.

მიუხედავად ჩამოთვლილი ოპერაციების არადამაჯერებელი ელფერისა, დაკვირვებული თვალისთვის ზაქროს იმდილანდელი ნაბიჯი წინადილანდელზე გამართული მაინც იყო, ხოლო მისი შუბლი — იმავე პერიოდთან შედარებით, უფრო შეჭმუხნილი. იფიქრებდი — ერთ ღამეში რაღაც ისეთი გამოცდილება მიუღია, რომ ასაკიც მომატებია — ვგულისხმობ, არა მხოლოდ ერთი ღამის შესაბამისადო.

→

დასასრული

თუმცა რად გვინდა ეს თავის მოკატუნება — ვინ-ვინ და, ჩვენ მაინც ხომ მშვენივრად ვიცით, იმ ღამეს რა მოხდა და მრავალი ღამით რამ გაზარდა ზაქრო. მერე — რომელ დაკვირვებულ თვალზე ვლაპარაკობთ — ქაჯები ამ დროს იმ ჭადარზე აღარ ისხდნენ და თვითონ ჭადრებს კიდევ მხედველობის ორგანოები არასდროს ჰქონიათ. ჰაა-ჰაა, ისევ ერთი-ორჯერ გაკვრით ნახსენებ გიურზას გაეყოლებინა ოდნავ სინანულიანი მზერა. არა, საკვებად უვარგის არსებასთან პირდაუკარებლად განშორება მისი დარდის უშუალო მიზეზად არ ივარგებდა. მაგრამ ამას ვეღარ ვიტყვით გამოუმუშავებელ ქრთამზე, რის ფუნქციასაც მშვენივრად გასწევდა მსუქანი ბაყაყი, დანარჩენი ქაჯებიც მეორის დარად სულსწრაფები რომ გამომდგარიყვნენ.

თუმცა ზაქროს თავში ახლა გველებისა და ბაყაყების ადგილი არ იყო — ქაჯებით გამოტენილი სკასავით ბზუოდა. ოღონდ ამ შედარების მხარდასაჭერად მოგვიწევს, ან უზარმაზარი სკა წარმოვიდგინოთ, ან — ფუტკარივით წვრილ-წვრილი ქაჯები. ის კია — თვითონ თავი ყველა შემთხვევაში ჩვეულებრივი ზომისა დარჩენილიყო. და საერთოდ, მასში მართლა ქაჯები კი არ ისხდნენ, მხოლოდ მათი წუხანდელი სიზმარ-ცხადური დიალოგი ბრუნავდა, კიდევ უფრო ზუსტად კი — იმ დიალოგის გაბნეული, ერთმანეთში არეული, ალალბედზე შეწებებული, ჩაწნული, ისევ უკან გამოწიწკნილი, უარესად გაფანტული და კიდევ ათას რამე დამართებული ნაკუწები.

აბა, იმ ყველაფერს რა დაიმახსოვრებდა? ეგ კი არა, ბიჭი იმ ყველაფრის გაგებაზეც ვერ დადებდა თავს — აკი, კეთილთან და მორიდებულთან ერთად, ალალიც იყო. თუმცა ბოლომდე სამართლიანობისთვის დავძინოთ, რომ — იქნებ ბრძენი ვერ დაგერქმია, მაგრამ მოსმენილიდან ზოგადი შინაარსის გამოტანის უუნარობასაც ვერ დასწამებდი.

არადა, ბრძენის იარლიყის გაცემასაც რა უნდა. უბრალოდ, ზღაპრის პირობებში ცოტა უფრო რთულია ხოლმე. ზოგჯერ ამისთვის საგანგებო პერსონაჟის — თეთრწვერა და წოწოლაქუდიანი მოხუცის გამოგონება და მისი მთის წვერზე შემოსმაც კი ხდება საჭირო. კიდევ უკეთესია, თვალის ჩინს თუ წაართმევ, კუზს თუ წამოუზრდი, ლაშს თუ ჩამოუწელავ ან სხვა რამე ფარსაგს დამართებ. აბა, ჭადარზე შემოფრენილ ქაჯს, რაც უნდა ენად გაკრეფილს, ბრძენის სტატუსს ვინ მიაშავებს? აღარაფერს ვამბობ უბრალო სოფლელ ბიჭზე, რომელსაც — აი, ბოლოში გავედით და — წესიერად, მგონი, ხმაც არ ამოუღია.

ამ მხრივ ისევ გიურზას ექნებოდა რაღაც შანსი — ტექსტის უკვე წაკითხულ ნაწილს რომ არ გაეფუჭებინა საქმე და მთლად ისე არ წარმოედგინა, როგორც წარმოადგინა, ამას წარმოდგენა თუ ერქვა საერთოდ. იმას ვგულისხმობ, ზოგი წარმოდგენით, გველი რომ ბრძენია, ხოლო კიდევ უფრო ზოგი წარმოდგენით — ბუზე უფრო ბრძენიც კი.

თუმცა მე თვითონ ამ საკითხზე ვმერყეობ. გველი ბუზე ბრძენი რანაირად უნდა იყოს, არ ვიცი.

*

ქაჯების ფრთები

ტყლაშ-ტყლუშ. ტყლაშ-ტყლუშ. ტყლაშ-ტყლუშ.

პირველი ქაჯი

ეს ყველაფერი იმასაც ნიშნავს, რომ დანარჩენი — არამკითხველი კაცობრიობა ბედნიერია?

მესამე ქაჯი

შენ მაგაზე არ იდარდო. ვინც არაფერს კითხულობს, იმისთვის სხვა განსაცდელებია მოგონილი. ვისაც წიგნიერება შორიდან ვერაფერს დააკლებს, იმას ახლოს მყოფი უწიგნურობა უტირებს ყოფას. უბრალოდ, ჩვენ კონკრეტული მისია გვაქვს ხოლმე ზღაპარში და კონკრეტული მსხვერპლი გველოდება ზღაპრის გარეთ.

პირველი ქაჯი

მიხარია, რომ თავი გავართვით.

მესამე ქაჯი

ვემსახურებით ბოროტებას.

ქაჯების ფრთები

ტყლაშ-ტყლუშ, ტყლაშ-ტყლუშ, ტყლაშ-ტყლუშ...

*

შესაბამისად, არც ის ვიცი, ზაქროს ლანდის ნარჩენებზე მზერამიციებული გიურზა იმას ფიქრობდა, რომ ბედნიერება ადვილად არ მოიპოვება; რომ შეიძლება ბედნიერების პოვნა ბედნიერების პოვნა არ იყოს; რომ შეიძლება იპოვო ბედნიერება, მაგრამ ვერ გახდე ბედნიერი; რომ ერთის ბედნიერება შეიძლება სხვის უბედურებას ნიშნავდეს, რაც, საბოლოოდ, იმ ერთის ბედნიერებასაც გამორიცხავს; რომ შეიძლება ერთხელაც თავი პერსონაჟად იგრძნო და მიხვდე, რომ სულ სხვაგან არის ნამდვილი ცხოვრება; რომ სულ ერთია, სად არის ნამდვილი და სად მოჩვენებითი ცხოვრება, რაკი ნებისმიერ ცხოვრებაში შეიძლება გამუდმებით გტანჯავდეს დილემა, დილემა, დილემა...

თუ მხოლოდ იმას ახერხებდა, რომ იმ მზერაში თავდაპირველი სინანული თანდათან გაკვირვებით ჩაენაცვლებინა — რაკი ვერაფრით გაეგო, რატომ არ მიდიოდა ბიჭი იქით, საითაც გუშინ მიდიოდა და რატომ მიდიოდა იქით, საიდანაც გუშინ მოვიდა. სამწუხაროდ, ამ ვარიანტის გიურზას ამას ვერავინ და ვერაფერი აუხსნიდა — მათ შორის, ვერც ზაქროს ზურგჩანთიდან შემთხვევით ამოვარდნილი და ჭადარქვეშეთს შერჩენილი რამე ნივთი, დილის ნიავი რომ ფურცლავდა მარჯვნიდან მარცხნივ და პირიქით.

მამა იმ საღამოს ისეთი შეწუხებული, ისეთი დაძმარებული შემოვიდოდა შინ.

— რა მოხდა? — შეშფოთდებოდა დედა.

და პასუხად როდის-როდის:

— ედიშერი გარდაიცვალა...

— ვინ ედიშერი?

— ყიფიანი.

ჩვენს საახლობლოში ედიშერი სხვას არც არავის ერქვა და დედა მაშინვე მიხვდებოდა, ვინც იგულისხმებოდა, მაგრამ... მაგრამ რაღაც ძაფს რომ ეჭიდები, ეგებ ვინმე სხვა იყოსო, არაფრისდიდებით რომ არა გსურს დაჯერება, მაგრამ... მაგრამ...

— სასწრაფოს რომ არ დაეგვიანა...

ოჰ, ეს საბედისწერო დაგვიანება!..

საღსალამათი კაცი, ჯერ ორმოცდაათიც რომ არ შესრულებოდა და... იოლად უნდა გადარჩენილიყო, სასწრაფოს რომ მოესწრო...

მოგვიანებით დედა გაიხსენებდა:

— ორად ორჯერ მაგონდება, მამაშენს ცრემლი რომ წამოუვიდა, ერთხელ გიორგი შატბერაშვილი რომ გარდაიცვალა, მეორედ კი — ედიშერ ყიფიანი...

ოთარ ჩხეიძე ძლიერი კაცი გახლდათ, საპატიმროს რომ ვერ გადარჩენოდა, რის კარზეც იდგებოდა „ბურუსისა“ და „მეჩეჩის“ შექმნისათვის, ძვლებიც რომ დაემტვრიათ, ერთ კვნესას ვერ დააცდენინებდნენ, არამცთუ აცრემლებულიყო, მაგრამ იმ ორჯერ თავს ვერ შეიკავებდა, ისეთი ადამიანები გამოეცლებოდნენ მასაც, მწერლობასაც, ქვეყანასაც...

დაკრძალვაზე ელგუჯა მაღრაძის გამოსათხოვარი სიტყვა განსაკუთრებულად დაამახსოვრდებოდა დედას:

— ხომ იცი, როგორი მჭევრმეტყველია, მისი თამადობა რამდენჯერ მოგისმენია, მაგრამ იქ მაინც ისე ილაპარაკა, ყველა აგვაქვითინა, და თვითონაც ატირდა...

ვინ ედიშერიო?..

ამ შეკითხვას მაშინ ჰქონდა თავისი მიზეზი, მაგრამ დღეს სულ სხვაგვარად შეიძლება იკითხოს ახალგაზრდა მკითხველმა: ვინ ედიშერი? რადგანაც მისთვის უცნობი იქნება ეს მწერალი, და უცნობი ჩვენი საელიტერატურო ცხოვრების მოუწესრიგებლობის გამოისობით, თორემ როგორ შეიძლება ქართული მწერლობა წარმოიდგინო ედიშერ ყიფიანის გარეშე, მისი არცთუ ხელხვავიანი, მაგრამ მრავალმხრივ საგულისხმო მოთხრობებისა და რომანების გარეშე, იმ რომანებისა — „წითელი ღრუბლები“ და „ცაში ასროლილი ქუდები“ — ძალიან რომ გახმაურდებოდა 60-70-იან წლებში როგორც მკითხველთა, ისე კრიტიკოსთა წრეებში, უფრო მეორე (სატელევიზიო სპექტაკლიც რომ შეუწყობდა ხელს მის პოპულარობას), თუმც პირველიც არანაკლებია, ჯერ მარტო ლეთარგიულ ძილში ჩაძირული ადამიანის ცნობიერების ნაკადი რომ გამოსდევს სიუჟეტურ ქარგას, და იუდას სახებამაც ორიგინალური რაკურსიდან უნდა გაიელვოს — საკმაოდ გამჭვირვალე მინიშნებით...

როგორ შეიძლება დავიწყებული იყოს მისი მოთხრობები: „ოქროსფერი ანაფორები“, „მეცხრე კარი“ და „მწვანე ფარდა“.

ნოველა: „ჰობოი“, რომლის მიხედვითაც მოკლემეტრაჟიან მხატვრულ ფილმს გადაიღებდნენ.

მინიატურა: „ფარდობითობის თეორია“.

საყმაწვილო მოთხრობა: „ბურთი, რომელსაც ბიჭი დაეკარგა“ და „ათფურცლიანი რვეულები“, მშვენიერ კინოფილმს რომ დაედებოდა საფუძვლად: „ცეროდენა რაინდები“.

გამოვარჩიე ის ნიმუშები, შედევრებადაც რომ შეიძლება მოვიხსენიოთ, თორემ კარგი და ჩინებული სხვაც არაერთი მოეძევება.

და ედიშერ ყიფიანის გამოკვეთილი სამწერლო ღვაწლისა და სახელის გამო აღარ მიიჩნევდა ტარიელ ჭანტურია აუცილებლობად, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსისათვის გვარიც მიემატებინა, რადგანაც სათაური „ედიშერი“ იმჟამად ისედაც იოლად ამოაცნობინებდა ყველას, ვინც იგულისხმებოდა:

მოულოდნელი მისი სიკვდილი
ჰგავდა დღისით ძილს,
როცა ყველანი შინ არიან,
საუბრობენ სადილის მოლოდინში
...მას კი ზალაში სძინავს გაუხდელს
და ახურავს ამ იანვარში
მხოლოდ ზეწარი.

მურმან ლებანიძე ამ ლექსის შეფასებისას იტყოდა:

ედიშერ ყიფიანს — მწერალსა და თანამედროვე ინტელექტურ ახალგაზრდა ადამიანს — სწორედაც ვერლიბრი რომ მოუხდებოდა, მისი სიკვდილი თითქოსდა ედიშერისავე ენაზე არის დახატულიო.

გამოარჩევდა სტრიქონს:

— ჰგავდა დღისით ძილს...

და დასძენდა:

საშინელი გრძნობიერებაა მიღწეული ამ ლექსში — მოგონილი გულგრილობით, პოეტის მიერ საკუთარი იმპულსური აზროვნების გაბედული გამხელითო.

და კიდევ:

ვერლიბრის მცირე ზომის მიუხედავად, მასში ჩადებულიყო დიდი მახვილი აზრი, რითაც ნაზღაურდებოდა ვერლიბრის ურითმობა თუ რიტმული უწესრიგობა.

არც გამოსათხოვარი ესეისათვის დაისაჭიროებდა გვარის აღნიშვნასაც ტარიელ ჭანტურია და სათაურისათვის მხოლოდ სახელს იკმარებდა: „შუქი ედიშერის ბინაში“ — რომელსაც იმით დაიწყებდა:

„შენ ახალი წლის სიხარული მწუხარებით შეგვიცვალე და ესაა ერთადერთი დანაშაული, რაც ოდესმე ჩაგიდენია... ეს ერთადერთი წყენაა, რომელიც ოდესმე ვინმესთვის მიგიყენებია... ჩვენ გვინდოდა შენთან ერთად გვემღერა კალანდა ღამით, მაგრამ შენ აღარა ხარ უკვე, და შენ მაგიერ შენი ღრმა და მძიმე ნაფეხურები — შენი წიგნები და შვილები მიდიან სადღაც შორს, მომავალი ახალი წლების თოვლშიო...

მხოლოდ ედიშერის მეგობრებმა იცოდნენ, თუ რა ცოტა ეძინა, რადგანაც მისი ფანჯრებიდან მუდამ გამოდიოდა შუქი და ამ შუქს ბევრჯერ მიეყვანა მასთან მოულოდნელი სტუმარი — მასპინძლის ჭკვიან და ღიმილიან საუბარს მონატრებული ძმები!.. და ამ შუქთან ხშირად გათენებამდეც უფიქრიათ უკეთეს საქართველოზე!..

და ახლაღა დაწყდებოდა გული, რატომ სიცოცხლეშივე არ ეთქვა ედიშერ ყიფიანისათვის, რომ უკეთესი საქართველოს შვილები სწორედ ისეთები წარმოედგინა, როგორიც გახლდათ ის:

— ლამაზი! გამტანი! ერთგული! მოწყალე! ლმობიერი! ღრმად განსწავლული! მუდამ შეყვარებული! ყოვლის მიმტევებელი!..

მიმტევებელი მაშინაც, როდესაც ამგვარი საქციელი ბევრისათვის აუხსნელი და გაუგებარი რჩებოდა...

ცოტა რომ ეძინა, წათვლემდა მერე ჯაფისაგან დაღლილი და ჩაუქრობელი რჩებოდა შუქი... და ეძინა ახლაც თავის სულწასულ ძმებთან შესახვედრად გამზადებუ-

ლს და ბედნიერი იყო, რომ ახლაც ჩაუქრობელი დარჩენოდა შუქი...“

ამ პოეტურ აკორდს ყველაზე უკეთ უნდა დაებოლოვებინა ამ იშვიათი პიროვნების გახსენება — ჩაუქრობელი შუქის მეტაფორით ყოფითი დეტალის ასე ღრმა განზოგადებით.

არჩილ სულაკაურს კი გახსენება ბელეტრისტულ მონახაზად უნდა ექცია, ტაქსით შინ მომავალისათვის ფიქრი მძღოლს რომ უნდა შეეწყვეტინებინა:

ერთხელ უკვე მოგიყვანეთ, ამ თხუთმეტიოდე დღის წინათ, მანქანაში ორნი ისხედითო...

და ამას უცებ გული უნდა ჩაწურვოდა ტკივილისაგან, რადგან უთქმელადაც უნდა მიხვედრილიყო, ვინ იყო ის მეორე...

მძღოლი კი განაგრძობდა:

თქვენს სახლთან კარგა ხანს ისაუბრეთ... ისე საინტერესოდ ლაპარაკობდა, მივხვდი, უბრალო კაცი არ უნდა ყოფილიყო... ეგეთი თავაზიანი კაცი არ შემხვედრია, გაგაჩერეთო, საუბარმა შეგვიყოლიაო, ბოდიში მომიხადა. დამშვიდობებისას სიკეთე მისურვა, ჯანმრთელობა... ხელიც ჩამომართვა. პატარა კაცები ეგრე არასოდეს იქცევიანო.

და არჩილ სულაკაური არ ეტყოდა მძღოლს:

ის კაცი — ედიშერ ყიფიანი — ამქვეყნად უკვე აღარ არისო.

დაე ეფიქრა, რომ ერთი ჭკვიანი, კეთილი და თავაზიანი, ლამაზი და მაღალი კაცი ისევ დადიოდა თბილისის ქუჩებში. და დაე გაფაციცებით ედევნებინა თვალი ქალაქის ტროტუარებისათვის იმ იმედით, რომ ერთხელ კიდევ შეხვდებოდა და მანქანას გაუჩერებდა...

სახლის წინ მდგარი თვალს რომ გააყოლებდა მიმავალ მანქანას, გაიფიქრებდა:

მაინც რა უცნაური ძალა ჰქონდა ედიშერს, სულ რაღაც რამდენიმე წუთში შეეძლო თავისი სიკეთის ყლორტი გადაენერგა უცხო ადამიანის სულში. ეს მძღოლიც ხომ უკვე სამუდამოდაა აცრილი ედიშერის კეთილშობილებითო.

მიხვდებოდა იმასაც, რომ:

ცოტა ხნის წინათ მძღოლთან გამოთხოვებისას თვითონაც მოიქცეოდა ისე, როგორც მხოლოდ ედიშერი იქცეოდა; და არ გაუკვირდებოდა, რომ ამქვეყნიდან წასული კაცი კვლავაც აკეთილშობილებდა, კვლავაც მეგობრის სულის აღზრდაზე ფიქრობდა.

მოგვიანებით ამ მონახაზს დოკუმენტურ ნოველად — „შემოდგომის სევდა“ — აქცევდა არჩილ სულაკაური და ჩართავდა „თბილისური ჩანახატების“ ციკლში, თანამედროვეთა შთამბეჭდავ გალერეაში ედიშერ ყიფიანის სახეც რომ ამოანათებს, კაცისა, რომელსაც ერთ-ერთი საუბრისას თითქოსდა სხვათაშორის უნდა ეთქვა მისთვის:

— როგორც ქართულ ზღაპრებში გვხვდება, ადამიანსაც უნდა ჰქონდეს თავისი მეცხრე კარი. ზღაპრის მთავარი საიდუმლო თუ განძი ხომ სწორედ იმ ყველაზე ძნელად შესაღწევ მეცხრე კარს მიღმა ინახება.

იგულისხმებოდა, რომ მასაც ჰქონდა სულის სიღრმეში ცხრაკლიტული, საიმედოდ ჩარაზული მეცხრე კარი, რომლის შეხსნაც არავის შეეძლო, მაგრამ დრო რომ გავიდოდა, არჩილ სულაკაური მაინც შეეცდებოდა იმ ცხრაკლიტულის გასაღების მონახვას, კარის გაღებასა და შეხედვას ედიშერ ყიფიანის სულის დიდ დარბაზში, სადაც დახვდებოდა მარგალიტებივით თვალისმომჭრელად ელვარე კეთილშობილება, პატიოსნება, სიწმინდე, მოყვასის სიყვარული, ადამიანისადმი უფაქიზესი დამოკიდებულება, ქვეყნისა და საქმისადმი მოვალეობის განუმეორებელი გრძნობა.

გასაღები კი მწერლის მოთხრობებსა და რომანებში ინახებოდა.

და ედიშერ ყიფიანს მიიჩნევდა სწორედ იმ მწერლად, რომლის შემოქმედებასაც პირადი ცხოვრებისაგან ვერ გამიჯნავდი, რადგანაც როგორც თავისი სულიერი, ისე ყოფითი ცხოვრების წესები გადაეტანა და დაემკვიდრებინა საკუთარ შემოქმედებაში და თავისი მოთხრობები და რომანები აღეჭურვა პირადი მორალური ვნებებით, პირადი ზნეობრივი დისციპლინითა და მოქალაქეობრივი შეგნებით.

ზედმიწევნით რომ იცნობდა თბილისს და თითქოს გაუმხელელი, პირველი სიყვარულით უყვარდა, ამის თვალსაჩინოებისათვის დოკუმენტური ნოველა გვამცნობდა იმ ეპიზოდს, თუ როგორ წაიყვანდა მეგობარს ერთ დღეს სასტუმრო „ივერიის“ მშენებლობაზე და აჩვენებდა ხეს, რომლის გულისთვისაც არქიტექტორი მომავალ შენობას ისე დააპროექტებდა, რომ ხის გადარჩენა შესაძლებელი აღმოჩნდებოდა.

და ბედნიერი და კმაყოფილი რომ იფშვნეტდა ხელებს ამ უბანში დაბადებული და გაზრდილი, მეგობარი მიხვდებოდა, რომ იგი იმ ხის გადარჩენას უფრო დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვჩვენებოდა. და სასტუმროს მშენებლობა რომ დამთავრდებოდა, ამ მოვლენას მშვენიერ წერილსაც მიუძღვნიდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

გაცნობით ერთმანეთს ოპერის თეატრში გაიცნობდნენ და გაირკვეოდა, რომ ედიშერ ყიფიანი ორშაბათის სიმფონიური მუსიკის კონცერტებს გავრცელებული მოდის გამო კი არ ესწრებოდა, არამედ მუსიკა მისი სულიერი ცხოვრების ორგანულ ნაწილს შეადგენდა, უფრო ზუსტად — მისი სულიერი აღნაგობა სწორედ მუსიკასთან შინაგანი კავშირითა და კონტაქტებით ჩამოყალიბებულიყო და დახვეწილიყო, ზეპირად რომ ეცოდინებოდა კლასიკური სიმფონიები, ოპერები, და განუზომელ სიამოვნებას მიანიჭებდი, თუკი სთხოვდი, წაეღიღინებინა ან დაესტვინა რომელიმე ნაწყვეტი სიმფონიისა თუ ოპერისა.

და აღარ უკვირდა არჩილ სულაკაურს, მუსიკის სიყვარულს უკვალოდ რომ არ ჩაევლო მეგობრის შემოქმედებაში და საკმაო წარმატებითაც ცდილობდა მხატვრული ასპექტით გაეანალიზებინა მუსიკისა და საერთოდ ხელოვანის ბედი და ადგილი ჩვენს საზოგადოებაში: „ჰობოი“ იქნებოდა თუ „ჯარში გაწვეული მუსიკა“, „მუსიკალური მომენტი“ თუ „მწვანე ფარდა“.

ამ მოთხრობით — „მწვანე ფარდა“ — რომლის მთავარი პერსონაჟის პროტოტიპიც უშანგი ჩხეიძე გახლდათ, ძალზე დაინტერესდებოდა სიმონ ჩიქოვანი და ერთ-ერთ ეპიზოდში თავის თავსაც შეიცნობდა.

ცოტა მოგვიანებით ედიშერ ყიფიანს რომ გადასცემდა სიმონის აზრს ამ მოთხრობაზე, იგი ჩვეულებისამებრ უნდა გაწითლებულიყო...

ერთ საგულისხმო ფსიქოლოგიურ შტრიხს მიაქცევდა ყურადღებას არჩილ სულაკაური:

მეგობარი გაწითლდებოდა არა სიმორცხვის, არამედ მისგან მიწოდებული ცნობისა და კიდევ იმის გამოც, რომ ედიშერ ყიფიანი უცნაურად ამაყი კაცი გახლდათ. კომპლიმენტს სხვების თანდასწრებით რომ მოახსენებდნენ, როგორც ჩანს, ეს გააღიზიანებდა და არჩილი ინანებდა: ჩემი წინდაუხედაობით საშუალება წავართვი სიმონ ჩიქოვანის მიერ გამოთქმულ აზრს, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, სწორად და წრფელად გამოხმაურებოდაო.

ედიშერ ყიფიანი ამ ციკლის სხვა ჩანახატშიც გამოჩნდებოდა პერსონაჟად, შიო არაგვისპირელის შვილის, შოთა დედაბრიშვილის კოლორიტული პორტრეტი რომ წარმოისახებოდა და მისი გაცნობა უცნაურად ააღელვებდა, რაკიღა შიოს გამორჩეულ პატივს მიაგებდა... და უთუოდ კიდევ არაერთ ჩანახატშიც გაიელვებდა, ეს ციკლი არჩილ სულაკაურს ბოლომდე რომ მიეყვანა.

არამცთუ დოკუმენტური ნოველების ციკლში, ედიშერ ყიფიანი სულაც რომანის პერსონაჟიც უნდა გამხდარიყო, ნოდარ დუმბაძე „მზიან ღამეში“ პირდაპირ რომ შეიტანდა იმ ეპიზოდს, ის და ედიშერი როგორ დაუსხდებოდნენ მაგიდასთან გალაკტიონ ტაბიძეს სასტუმრო „ინტურისტის“ ბაღში; და ის რომ ჰკითხავდათ: ვის ვგავარო? და ესენი ჩამოუთვლიდნენ: გოეთესა თუ პუშკინს, მიცკევიჩსა თუ ბაირონს, რემბოსა თუ რუსთველს, ბოდლერსა თუ ფირდოუსს, იმას შემწყნარებლურად უნდა გაეღიმა და ბოლოსდაბოლოს გაემხილა:

— აკაკის არ ვგავარ, წერეთელს?

ესენიც მაშინვე რომ დაუდასტურებდნენ.

მერე ზღვისა და მზის აპოლოგიად დაიღვრებოდა, როგორც ლექსების შთამაგონებელი გარემოსი, ნაპირზე დიდ ორმოში კისრამდე ჩამარხულს თეთრი ანგელოსი რომ ჰკარნახობდა პოეტურ სტრიქონებს.

— „ნიკორწმინდაც“ ანგელოსმა გიკარნახათ? — ჰკითხავდა გურამი, სინამდვილეში კი ედიშერ ყიფიანი.

— „ნიკორწმინდაც“ ანგელოსმა მიკარნახა, — თავი უნდა დაექნია გალაკტიონს.

მერე კი გამოემშვიდობებოდათ და ისე უნდა გაევლო ამ ღმერთკაცს მთელი რესტორანი, არავის შეემჩნია. და ნოდარ დუმბაძეს უნდა შესცოდებოდა ღმერთი, კაცში ჩასახლებული ღმერთი, რომელიც ისე ახლობელი გახლდათ, ისე ჰგავდა ადამიანს, ისეთი ხელშესახები იყო და უბრალო, არავის სჯეროდა მისი ღმერთობა.

და მერე უნდა მომხდარიყო ის ერთგვარად სკანდალური ეპიზოდი, გურამი რომ ვერ აიტანდა, გალაკტიონს არავითარ ყურადღებას რომ არ აქცევდნენ ოფიციანტები და ყველა ერთობლივ მისეოდა იმ მაგიდას, სადაც ქიტუაშვილი გოგიასათვის მოეწყოთ ბანკეტი, ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონისა და ორი სამწლიანი მოზვრის ღონის შარავანდით შემკობილისათვის, თამადა მთელი გზნებით რომ სვამდა სადღეგრძელოს კაცისა, რომელსაც ჩვენი პატარა საქართველოს სახელი მსოფლიო ასპარეზზე გაეტანა, გაეჯირითებინა და მთელი მსოფლიოსათვის გაეცნო ჩვენი თავი...

და გურამი რომ ვერ აიტანდა ამ სცენას, ისე დაჰკრავდა ბოთლს ფსკერით თეფშს, რომ მარილივით დაფშვნიდა და ექსტაზში ჩავარდნილ ქიტუაშვილიანელებს წამიერად შეაწყვეტინებდათ უზომო ხოტბა-დიდებას და აქეთ მოახედებდათ.

გალაკტიონ ტაბიძის დღიურებში რომ გაიელვებს ედიშერ ყიფიანის სახელი, ეს მაშინ, ოთარ ჩხეიძის რომანის — „ბურუსი“ — ბეჭდვა რომ დაიწყებოდა „მნათობის“ ფურცლებზე და დასაწყისშივე პატივისცემით იქნებოდა მოხსენიებული გალაკტიონი — თანაც მარტო სახელით, რაც იმჟამად, 50-იანი წლების შუა ხანებში, არ ხდებოდა და გალაკტიონი ჯერ ამაოდ ცდილობდა თავისი სახელის დამკვიდრებას შოთასავით, ილიასავით, აკაკისავით, ვაჟასავით...

და ედიშერი, „მნათობის“ თანამშრომელი, დაინახავდა თუ არა ამ პასაჟს, სასწრაფოდ მოურბენინებდა გალაკტიონს და გაახარებდა და აღაფრთოვანებდა...

ხოლო ნოდარ დუმბაძე სხვაზე უფრო დაჩაგრულ კაცად მიიჩნევდა თავს, რადგანაც საშუალება არ მიეცემოდა მიხაკი მიეტანა ედიშერისათვის, ცივ შუბლზე ეკოცნა, მერე მხარი შეედგა მისი სასახლისათვის და სხვებთან ერთად მიეცილებინა დიდუბეში.

სხვაზე უფრო დაზარალებულადაც — რადგან ედიშერი აღარ იქნებოდა ის პირველი მკითხველი, რომელიც მის აწი დაწერილ წიგნს წაიკითხავდა და თავისი ხელით ჩაასწორებდა.

სხვაზე უფრო საბრალოდაც — რადგან ორმოცდახუთი წლისას სადღა ეძებნა ედიშერისთანა სიყრმის მეგობარი, ღამის მთევარი, მოსაუბრე, განსწავლული, მწიგნობარი, მისაბაძი კაცი, სასიამოვნო კაცი, სუფთა, წმინდა, დახვეწილი, ჭეშმარიტი კაცობის ყალიბში ოქროსავით უხინჯოდ ჩამოსხმული კაცი, სადღა ეძებნა?

ყველას სიკვდილი რომ წარმოედგინა, ზოგისა თავისი დაუდევრობით, ზოგისა სხვისი დაუდევრობით, ზოგისა სხვა მიზეზით და ზოგისაც უმიზეზოდ, ედიშერისა — ყველაზე ნაკლებად, რადგანაც ქეიფიდან თუ შეკრებიდან გამოსულები ჯერ ყველა უნდა მიეყვანა შინ, პატრონებისათვის ჩაებარებინა, დაებინავებინა და შემდეგღა გაჰყოლოდა შინისაკენ გზას სტვენითა და ღიღინით.

და ასე რომ იყო ცხოვრებაში, ამიტომაც ეგონებოდა ნოდარ დუმბაძეს, რომ ასე იქნებოდა, ვიდრე დასრულდებოდა ჟამი ამქვეყნად მისი ყოფნისა...

და უნდა აღმოეჩინა, რომ:

„თავზარი“ სიტყვა კი არა, ტკივილი ყოფილიყო აუწერელი. და ახლა ამას რომ წერდა, მარცხენა ძუძუსთან სტკიოდა ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როდესაც ედიშერ ყიფიანი ადგა თავზე ავადმყოფს.

პატარა ქეთინოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, თითქოს მამას ცა ჩამოქცეოდეს ამ გულსაკლავი ამბის შეტყობისას, მოთქმით რომ აქვითინდებოდა და კაცი აღარ იქნებოდა მისი გამჩერებელი, გლახუნა ქერქაძისა არ იყოს რომანში „მარადისობის კანონი“, რომლის ერთ-ერთ ფინალურ ეპიზოდშიც უნდა გაეელვა ედიშერ ყიფიანის უჩვეულო, გამაოგნებელ, ლამის დაუჯერებელ საქციელს.

გემახსოვრებათ ის ეპიზოდი, მამა იორამს ბაჩანა რამიშვილი ჩაძინებული რომ ჰგონია და ღმერთს ევედრება:

— გადააფარე შენი მფარველი კალთა და გაუგრძელე ვადა შენთან ხლებისა, რამეთუ რაც უფრო მეტ ჟამს დაჰყოფს იგი ამ ქვეყანაზე, მეტ სათნოებასა და სიკეთეს დასთესს შენს მიერ შექმნილ ქვეყნიერებაზე და განა ღვთისათვის სულერთი არ არის, ვისი სახელით ივლის სიკეთე, პატიოსნება, სათნოება, უმანკოება და სამართალი დედამიწაზე?!. და აჰა, წევს ახლა იგი შენს წინაშე, მე კი მტვერი შენი და მისხალი შენი უსასრულო სულგრძელობისა, მუხლმოდრეკილი გევედრები, შეიწყნარო იგი... და თუ მაინც განწირული გყავს იგი განკითხვად, აჰა, მიიღე სული ჩემი და ხორცი ჩემი მისი სულისა და ხორცის სანაცვლოდ...

რომანის ფურცლებზე ეს მამა იორამის სიტყვებია — ბაჩანა რამიშვილის გადარჩენას რომ შესთხოვს უფალს, ინფარქტისაგან გულგაგლეჯილის.

ყოფით რეალობაში კი — ედიშერ ყიფიანის სიტყვები, უფალს ნოდარ დუმბაძის გადარჩენას რომ შესთხოვდა, ინფარქტისაგან გულგაგლეჯილის.

ძმობა და ასეთი?!.

და თუ რომელიმე მკითხველს ეს პასაჟი ცოტა გადაჭარბებული მოეჩვენება რომანში, დაე იცოდეს, ყოფითი სინამდვილიდან რომ არის პირდაპირ გადატანილი მხატვრულ ქსოვილში, ნატურალისტური სცენაა ყოველგვარი მინამატის გარეშე.

სხვაზე უფრო დაზარალებულადაც, დაჩაგრულადაც, საბრალოდაცო...

მაგრამ იქნებ... იქნებ სხვაზე ბედნიერი კაცი გახლდათ, რადგან შეეძლო თავი მოეტყუებინა და დალოდებოდა მეგობრის გამოღვიძებასა და ტელეფონით შემოხმიანებას...

ისე მოხდებოდა, რომ ედიშერ ყიფიანის თანადგომას უნდა განესაზღვრა ნოდარ დუმბაძის სამწერლო კარიერა, და ეს მაშინ, როდესაც იმას ხელი უნდა ჰქონოდა ჩაქნეული ყველაფერზე და, სასოწარკვეთილს, რა ეღონა, აღარ ეცოდინებოდა.

ბედად ვახტანგ ჭელიძე უნდა დაენიშნათ სატირული ჟურნალის — „ნიანგი“ — რედაქტორად, ის რედაქციის გადახალისებას რომ მოინდომებდა და ჭეშმარიტი ქართული იუმორით განმსჭვალვას, ამასთან აღორძინებას იუმორისტული ნოველის ტრადიციისა...

და თავის ჩანაფიქრს გააცნობდა ედიშერ ყიფიანს, რომელიც იმთავითვე ეყვარებოდა იშვიათი გულწრფელობისა და უშუალობის გამო და ამიტომაც ენდობოდა.

დიდად უფასებდა ერთ მომხიბლავ თვისებასაც — ყოველთვის გულით რომ ახარებდა სხვისი წარმატება და არავის მიმართ ოდნავადაც კი არა გრძნობდა შურს — თუნდაც იმდენს, რაც ადამიანის ბუნებისათვის იქნებ ჩვეულებრივი და მოსათმენიც იყოს.

ედიშერი, როგორც ვახტანგ ჭელიძეზე გაცილებით ახალგაზრდა, უფრო იცნობდა ახალგაზრდობას და კიდეც ურჩევდა რამდენიმე იუმორით დაჯილდოებულ თანატოლს, განსაკუთრებით კი გამოჰყოფდა ერთ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც წერა შეეძლო, იუმორის გრძნობაც მომადლებოდა და, თუკი ვინმეს შეეძლო ამ საქმეში დახმარებოდა რედაქტორს, ყველაზე შესაფერი და საიმედო ის უნდა ყოფილიყო.

ასე მოხდებოდა პირადი შეხვედრა და... კიდეც უნდა დაწყებულიყო ნოდარ დუმბაძის თავბრუდამხვევი სამწერლო კარიერა, ძალიან მალე რომ უნდა მოეხვეჭა უზომო პოპულარობაც და გავლენაც...

ამგვარი თანადგომებითა და ჩუმი სიკეთეებით გადავსებულიყო ედიშერ ყიფიანის ბიოგრაფია, ასერიგად შერწყმული და შენივთებული მისივე მხატვრულ ნაღვაწს, და კანთიელი, სახიერი ნიმუში, თუ როგორ უნდა გვყავდნენ წარმოდგენილნი უკეთესი საქართველოს შვილები, გაუმხელელი, პირველი სიყვარულის მადლითა და ძალმოსილებით გადაბრწყინებულნი, ყოფით რეალობაში გადმოსულნი ზღაპრული სამყაროდან და თან მომტანნი ზღაპრების მთავარი საიდუმლოსიც, იმ მეცხრე კარისა, რომლის მიღმაც შეფარულა მთავარზე უმთავრესი განძი — მარგალიტებივით თვალისმომჭრელი პიროვნული ღირსებანი, ღვთიური მადლის უპირველესი გამოვლინებანი წუთისოფელში, რომლის მიღმაც თუ რაიმემ, სწორედ იმ მეცხრე კარის შეხსნამ უნდა გაგვიკვალოს გზასავალი...

და ის ადამიანები უნდა მოგვევლინონ ჩვენ-ჩვენ ვერგილიუსად, რომელნიც ჩაწვდომიან მეცხრე კარის საიდუმლოს...

მთარგმნელი

მაია ბადრიძე

მაია ბადრიძეს, როგორც გერმანულენოვანი ლიტერატურის გამორჩეულ მთარგმნელს, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ გერმანიისა და ავსტრიის კულტურულ წრეებშიც კარგად იცნობენ. მან ოთხჯერ მიიღო ავსტრიის კანცლერის პრემია რობერტ მუზილის, ჰერმან ბროხის, კრისტოფ რანსმაირის რომანების „საუკეთესო თარგმანისთვის“. მუზილის „უთვისებო კაცის“ ქართულ ენაზე გამოსვლა პრემია „გალათიც“ აღინიშნა. ორი წლის წინ კი ქალბატონ მაიას გადაეცა ავსტრიის სახელმწიფო ჯილდო „ავსტრიული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის“.

სხვადასხვა დროს მან გადმოაქართულა გივი მარგველაშვილის, კარლ იუნგის, ფრიდრიხ დიურენმატის, ზიგმუნდ ფროიდის, ვინფრიდ გეორგ ზებალდის თხზულებები. ის უკვე მეორედ სტუმრობს „ლიტერატურული გაზეთს“ და თარგმნილი ავტორების ყველაზე მნიშვნელოვან, ასე ვთქვათ, საეტაპო ნაწარმოებებზე საუბრობს.

ვერც 2020 წლის „საბას“ ავუარეთ გვერდი.

— შარშან „საბას“ ჟიურის წევრი ბრძანდებოდით. ძალიან საინტერესო შემადგენლობამ ჩაიბარა 2019 წლის ლიტერატურული მოსავალი. იქნებ გაიხსენოთ ჟიურის წევრებთან თანამშრომლობა და მუშაობის პროცესი?

— ვფიქრობ, გამიმართლა, რადგან მართლაც ძალიან საინტერესო ადამიანებთან ვითანამშრომლე. პირველი მიზეზი, რის გამოც დავთანხმდი, „საბას“ ჟიურიში მემუშავა, იყო ის, რომ დატვირთული მთარგმნელობითი საქმით გადაღლილს, სამწუხაროდ, დროც აღარ მრჩება, თვალი ვადევნო თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ პროცესს — დიდი ავტორების ნაწარმოებების თარგმნა მოითხოვს, წავიკითხო ყველაფერი მათზე და მათ გარშემო, მიუხედავად იმისა, მანამდე წამიკითხავს თუ არა; ეს მათ ტექსტებზე მუშაობის აუცილებელი ნაწილია — ამიტომ ვიფიქრე, რომ რატი ამაღლობელის შემოთავაზება ჩემთვის არაჩვეულებრივი საშუალება იქნებოდა, ყურადღებით გავცნობოდი ან, უფრო ზუსტად, შემესწავლა თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშები. ჟიურის სხვა წევრების ვინაობა რომ შევიტყვე, ამან ძალიან გამახარა და ეს იყო მეორე მიზეზი, რის გამოც ჟიურის წევრობას დავთანხმდი. ჩვენი თანამშრომლობა ჰგავდა მთარგმნელისა და რედაქტორის ტანდემს. ძირითადად, ერთად ვიყავით შეფასებებში, ერთნაირად ვხედავდით ტექსტებს. ამიტომ, სიმართლე გითხრათ, გადაწვეტილებების მიღება არ გვიჭირდა. მართალია, პანდემიის პერიოდი იყო და უმეტესად ონლაინშეხვედრები გვქონდა, მაგრამ ზოგჯერ მაინც ვიკრიბებოდით. ეს იყო სასიამოვნო და ძალიან სახალისო, და ამავდროულად, რთული პროცესიც. დიდი პასუხისმგებლობაა, იცით? გონების თვალით უნდა წაიკითხო ტექსტი, თუმცა გარანტია, რომ არ შეცდები, არ გაქვს. ყოველი ტექსტის უკან დგას ცოცხალი ადამიანი, რომელმაც დიდხანს იმუშავა, შენ კი უნდა დაიწუნო. განაჩენივით გამოუტანო. მიუხედავად იმისა, რომ არ ვარ სენტიმენტალური, ეს არ იყო ჩემთვის იოლი. ისიც კარგად მესმის, რომ ვერც ერთი ჟიური ვერ იქნება ბოლომდე ობიექტური — გემოვნება, შემოქმედებითი ტექსტების აღქმა ხომ ძალიან სუბიექტურია?! შესაბამისად, სუბიექტურია ნებისმიერი გადაწყვეტილებაც. ოღონდ მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ობიექტური წანამძღვრები, სწორედ ამ ობიექტურ წანამძღვრებში ვიყავით ჟიურის წევრები ერთიანები.

— უამრავი საკონკურსო მასალის წაკითხვა-შესწავლის შემდეგ როგორია თქვენი შთაბეჭდილება?

— სურათი იყო ძალიან საინტერესო, რასაკვირველია. გამოვყოფდი დოკუმენტურ პროზას. ის ყველამ ერთხმად მოიწონა, ნომინაციის თითქმის ყველა ფინალისტი იმსახურებდა ყურადღებას, თუმცა შორენა ლებანიძე გამოვარჩიეთ მისი ძალიან ემოციური, ღრმა და საინტერესო ტექსტის გამო. თუ არ წაგიკითხავთ, გირჩევთ, არ გადადოთ. წლის საუკეთესო რომანის ავტორად კი ყველამ ერთხმად დავასახელეთ ბესო სოლომონაშვილი. მე სამი რჩეული მყავდა — ანა კორძაია-სამადაშვილი, თავისი ქალაქური ზღაპრებით, არაჩვეულებრივი აკა მორჩილაძე, თავისი ემპათიითა და მოულოდნელობებით, და ბესო სოლომონაშვილი, თავისი გაბრაზებული მწერლური ხმით. მოდი და ნუ გაბრაზდები, არა? მისი შემზარავი გროტესკული პერსონაჟი ხომ — ხან კაცივით რომ ჭიხვინებს და ხანაც ქალივით კისკისებს — გაბრაზებული ავტორის ამოძახილია.



ამ ორ ნომინაციაზე, დოკუმენტურ პროზასა და რომანზე, იმიტომ შევჩერდი, რომ აქ დიდი არჩევანი გვქონდა, ამით იყო ისინი გამორჩეული.

ძალიან ბევრი წიგნი წავიკითხეთ. ირინა ჯავახაძე გვამარაგებდა, ყუთებით მოჰქონდა საკითხავი. წიგნები მაგიდაზე რომ აღარ ეტეოდა, იატაკზე სვეტებად ეწყო. ლევან ბერძენიშვილი კითხულობდა ყველაზე სწრაფად. რაღაც მომენტში დავეწიე და კინაღამ გავასწარი კიდეც, მერე ისევ ჩამოვრჩი.

მოკლედ, შეხმატკბილებულად ვიმუშავეთ.

— თქვენს მთარგმნელობით საქმიანობას ძალიან მყარი და საინტერესო საფუძველი აქვს — ეს გივი მარგველაშვილი და მისი „მუცალია“.

— ბატონ გივისთან შეხვედრა იყო წარმოუდგენელი შთაბეჭდილება და გამოცდილება. სრულიად სპონტანურად დავიწყე რომანის თარგმნა და რაღაც ეტაპზე, დასაწყისშივე, მომინდა, ავტორს წაეკითხა. ვფიქრობდი, თუ არ მოეწონებოდა, აღარ გავაგრძელებდი. სრულებით არ ვიყავი დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, ახლაც არა ვარ — ყოველთვის, როცა დიდ ავტორთან მუშაობას ვიწყებ, მგონია, რომ პირველად ვთარგმნი. გივიმ მომწერა, რომ ჩამოვიდოდა თბილისში და შემხვდებოდა. კომპიუტერთან მწყრალად იყო და მისი ხელნაწერი წერილები ახლაც შენახული მაქვს. რაღაცნაირი პატივისცემით სავსე წერილებია, საგულდაგულოდ გამოყვანილი ასოებით, ქართულ-გერმანულად დაწერილი. როცა ჩამოვიდა, მივედი. ამ მნიშვნელობის ადამიანი, ასე, ცოცხლად, პირველად ვნახე. ვფიქრობდი, თუ ნამუშევარი არ მოეწონა, ზრდილობიანად გამომისტუმრებს, ხოლო თუ მოეწონა, ამასაც ზომიერად გამოხატავს-მეთქი. შენ წაიკითხეო, მითხრა და დავიწყე. ჩემთვის ვკითხულობდი, სულ რაღაც 15 გვერდი იყო. შუა კითხვის დროს გივიმ ტაში შემოჰკრა: „დაიბადა! ზუსტად ასე დავწერდი ქართულად, მუცალი დაიბადა! ზუსტად, ზუსტად, ზუსტად!“ ეს დიდი მოულოდნელობა იყო ჩემთვის. ამგვარ რეაქციას მისგან არ ველოდი. ჩემი ქმარი მელოდებოდა ქვემოთ, სადარბაზოსთან, ვუთხარი, მალე ჩამოვალ-მეთქი და გვიანობამდე შევრჩი. როცა წამოვედი, ფანჯრიდან გადმომძახა: „მაია, გელოდებით ბერლინში, ბერლინში გელოდებით!“ სიზმარი მეგონა. რატომ იყო, იცით, მოულოდნელი? არ გაქვს გარანტია, რომ რასაც აკეთებ, რომელ ავტორზეც მუშაობ, გამოგივა. მით უმეტეს, როცა ჯერ არავინ გიცნობს როგორც მთარგმნელს, და შენ თვითონაც არ იცნობ თავს, რადგან არასდროს არაფერი გითარგმნია. და უცებ ასეთი ადამიანისგან ამგვარ შეფასებას იღებ... კარგა ხანს გამყვა შთაბეჭდილება, რაც მაშინ მივიღე, თითქმის სულ იმ შეხვედრაზე მეფიქრებოდა. დღემდე ძალიან მინდა გივი მარგველაშვილის სხვა ტექსტების თარგმნაც. ჩვენ არ ვართ განებივრებული დიდი სახელებით. როცა ასეთი რანგის მოვლენა გყავს და ვერ უვლი, ძალიან სამწუხაროა.

— როგორც ვიცი, „მუცალის“ პრეზენტაცია ერთგვარი კულტურული მოვლენა იყო მაშინდელ თბილისში.

— გასული საუკუნის 90-იანები იდგა. გოეთეს ინსტიტუტმა გამართა წიგნის პრეზენტაცია და მოიწვია ბატონი გივი ბერლინიდან. გადაიჭედა დარბაზი, ფეხზე დაიც ხომ — ხან კაცივით რომ ჭიხვინებს და ხანაც ქალივით კისკისებს — გაბრაზებული ავტორის ამოძახილია.

ამ ორ ნომინაციაზე, დოკუმენტურ პროზასა და რომანზე, იმიტომ შევჩერდი, რომ აქ დიდი არჩევანი გვქონდა, ამით იყო ისინი გამორჩეული.

ძალიან ბევრი წიგნი წავიკითხეთ. ირინა ჯავახაძე გვამარაგებდა, ყუთებით მოჰქონდა საკითხავი. წიგნები მაგიდაზე რომ აღარ ეტეოდა, იატაკზე სვეტებად ეწყო. ლევან ბერძენიშვილი კითხულობდა ყველაზე სწრაფად. რაღაც მომენტში დავეწიე და კინაღამ გავასწარი კიდეც, მერე ისევ ჩამოვრჩი.

მოკლედ, შეხმატკბილებულად ვიმუშავეთ.

— თქვენს მთარგმნელობით საქმიანობას ძალიან მყარი და საინტერესო საფუძველი აქვს — ეს გივი მარგველაშვილი და მისი „მუცალია“.

— ბატონ გივისთან შეხვედრა იყო წარმოუდგენელი შთაბეჭდილება და გამოცდილება. სრულიად სპონტანურად დავიწყე რომანის თარგმნა და რაღაც ეტაპზე, დასაწყისშივე, მომინდა, ავტორს წაეკითხა. ვფიქრობდი, თუ არ მოეწონებოდა, აღარ გავაგრძელებდი. სრულებით არ ვიყავი დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, ახლაც არა ვარ — ყოველთვის, როცა დიდ ავტორთან მუშაობას ვიწყებ, მგონია, რომ პირველად ვთარგმნი. გივიმ მომწერა, რომ ჩამოვიდოდა თბილისში და შემხვდებოდა. კომპიუტერთან მწყრალად იყო და მისი ხელნაწერი წერილები ახლაც შენახული მაქვს. რაღაცნაირი პატივისცემით სავსე წერილებია, საგულდაგულოდ გამოყვანილი ასოებით, ქართულ-გერმანულად დაწერილი. როცა ჩამოვიდა, მივედი. ამ მნიშვნელობის ადამიანი, ასე, ცოცხლად, პირველად ვნახე. ვფიქრობდი, თუ ნამუშევარი არ მოეწონა, ზრდილობიანად გამომისტუმრებს, ხოლო თუ მოეწონა, ამასაც ზომიერად გამოხატავს-მეთქი. შენ წაიკითხეო, მითხრა და დავიწყე. ჩემთვის ვკითხულობდი, სულ რაღაც 15 გვერდი იყო. შუა კითხვის დროს გივიმ ტაში შემოჰკრა: „დაიბადა! ზუსტად ასე დავწერდი ქართულად, მუცალი დაიბადა! ზუსტად, ზუსტად, ზუსტად!“ ეს დიდი მოულოდნელობა იყო ჩემთვის. ამგვარ რეაქციას მისგან არ ველოდი. ჩემი ქმარი მელოდებოდა ქვემოთ, სადარბაზოსთან, ვუთხარი, მალე ჩამოვალ-მეთქი და გვიანობამდე შევრჩი. როცა წამოვედი, ფანჯრიდან გადმომძახა: „მაია, გელოდებით ბერლინში, ბერლინში გელოდებით!“ სიზმარი მეგონა. რატომ იყო, იცით, მოულოდნელი? არ გაქვს გარანტია, რომ რასაც აკეთებ, რომელ ავტორზეც მუშაობ, გამოგივა. მით უმეტეს, როცა ჯერ არავინ გიცნობს როგორც მთარგმნელს, და შენ თვითონაც არ იცნობ თავს, რადგან არასდროს არაფერი გითარგმნია. და უცებ ასეთი ადამიანისგან ამგვარ შეფასებას იღებ... კარგა ხანს გამყვა შთაბეჭდილება, რაც მაშინ მივიღე, თითქმის სულ იმ შეხვედრაზე მეფიქრებოდა. დღემდე ძალიან მინდა გივი მარგველაშვილის სხვა ტექსტების თარგმნაც. ჩვენ არ ვართ განებივრებული დიდი სახელებით. როცა ასეთი რანგის მოვლენა გყავს და ვერ უვლი, ძალიან სამწუხაროა.

— როგორც ვიცი, „მუცალის“ პრეზენტაცია ერთგვარი კულტურული მოვლენა იყო მაშინდელ თბილისში.

— გასული საუკუნის 90-იანები იდგა. გოეთეს ინსტიტუტმა გამართა წიგნის პრეზენტაცია და მოიწვია ბატონი გივი ბერლინიდან. გადაიჭედა დარბაზი, ფეხზე დადგომი ადგილი აღარ დარჩა — ყველას უნდოდა, ენახა ცოცხალი ლეგენდა. სცენაზე ვისხედით. ბატონმა გივიმ გერმანულად წაიკითხა ამონარიდები „მუცალიდან“ და ყველა გააოცა, ისეთი არტისტიზმით, ისეთი გარდასახვით კითხულობდა. ვახუშტი კოტეტიშვილმა თქვა — მას მიჰყავდა საღამო — ფოქსტროტსაც შეუდარებლად ცეკვავსო. ის დღეები სულ ერთად ვიყავით და როცა ბრუნდებოდა ბერლინში, ვკითხე, მოგენატრათ ბერლინი-მეთქი? მიპასუხა, იქაც სულ მარტოობაა. საოცარი ვინმე იყო, იცით? არ მიყვარს ხოლმე პათეტიკა და ლირიკული შეფერილობები, მაგრამ ცოცხლად ვგრძნობდი, რომ თითქოს გზა აერია და შემთხვევით შემოეხეტა დედამიწაზე. დაუჯერებელი ბედისწერა ჰქონდა — მგონი, ჯოჯოხეთის ყველა წრე გაიარა, ისიც კი მიკვირს, როგორ გადაიტანა ყველაფერი და გადარჩა. გული მწყდება, რომ ისე გარდაიცვალა, ვერც ბერლინში მივედი მასთან და ვეღარც აქ მოვინახულე. ერთხელ მომწერა, „თქვენ ხომ იცით, რომ მე ორი კულტურის შვილი ვარ“. რა უცნაურია, არა? ინტელექტუალური ენა მისთვის ყოველთვის იყო მხოლოდ გერმანული, ხოლო თემები — ყოველთვის ქართული. მის წიგნებსაც არ ჰქონია იღბალი. „მუცალი“ დაიწერა 60-იან წლებში, როცა პოსტმოდერნიზმი, როგორც მიმდინარეობა ფილოსოფიასა და კულტურაში, უკვე არსებობდა, მაგრამ ასეთ ტექსტებს ჯერ არავინ წერდა, მაგრამ წიგნი გამოქვეყნდა 90-ანებში, როცა უკვე დაწერილი იყო ყველაფერი... ძალიან მიყვარს გივის გახსენება, იმიტომ, რომ ბევრი დრო გავა და ან შევხვდები კიდევ ასეთ ადამიანს, ან ვერ შევხვდები.

— თქვენი მთარგმნელობითი ბიოგრაფია ძალიან მდიდარია. მახსოვს, როცა პირველად შეგვხვდით, მუზილის „უთვისებო კაცზე“ მუშაობა ახალი დასრულებული და ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი თითქოს გადალახული გქონდათ.

— მუზილის თარგმნაზე ფიქრს ვერც გავბედავდი, მაგრამ თამრიკო ლებანიძემ, „დიოგენეს“ დირექტორმა, გადაწყვიტა, რომ შევძლებდი და, როგორც ჩანს, მეამა, რომ ამხელა საქმე მომანდო. დავთანხმდი და მერე ბევრჯერ ვიფიქრე, დავანებებ თავს-მეთქი, იცით? მახსოვს შვეიცარიაში, მთარგმნელობით სახლში ვიყავი, სადაც ძალზე გამოცდილი და ცნობილი გერმანულენოვანი მთარგმნელები მუშაობდნენ. საღამოობით ვხვდებოდით მე და სამი გერმანელი, პატარა ფურცლებზე ამოწერილი პასაჟებით მივდიოდი მათთან და ინტერპრეტაციას ვთხოვდი. სამივეს განსხვავებული პასუხი ჰქონდა — განსხვავებული ინტერპრეტაცია, წარმოიდგინეთ. სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდი, გულწრფელად ვამბობ. ზოგჯერ მეგონა, რომ ჩავფლავდი, ვერ გავართმევდი თავს. შევეშვებოდი, ისევ მივუბრუნდებოდი... მანამდე კი ვენაში მოვხვდი, მუზილის „უთვისებო კაცის“ საიუბილეო თარიღი აღინიშნებოდა, მთელი მსოფლიოდან იყვნენ მიწვეული მთარგმნელები, ვისაც კი ამ რომანზე ემუშავა. მე მხოლოდ იმიტომ აღმოვჩნდი ღონისძიებაზე, რომ ხელშეკრულება მქონდა გაფორმებული ავსტრიულ მხარესთან, თუმცა თარგმნა ჯერ არ დამეწყო. როცა გაიგეს, თარგმნას ვიწყებდი, გაეცინათ, არ იცის, რა ელისო. გამაფრთხილეს, რომ შემეცვლებოდა ნივთიერებათა ცვლა, ცხოვრების რიტმი... და ასეც მოხდა. მერე უკვე გაიოლდა, უფრო სწორად, რაღაცნაირად მოვშინაურდი და დავიჯერე, რომ შეიძლებოდა ეს ტექსტი მე მეთარგმნა. ექვსი წელი მოვანდომე, ამაზე ადრე ვერ გავაკეთებდი, შეუძლებელი იყო. რაღაც პერიოდი მჭირდებოდა ტექსტთან დისტანცირებისთვის, რომ ისევ მივბრუნებოდი. სხვანაირად ვეღარ ვმუშაობდი, ვეღარ აღვიქვამდი ნაწერს, შეფასების უნარს ვკარგავდი. იცით, რისი მეშინოდა? ვიცოდი, რომ ურთულესი ტექსტია, ვიცოდი, რომ ამას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში აღარავინ თარგმნიდა და, შესაბამისად, ჩემგან უნდა გაეცნო ქართულენოვან მკითხველს. დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი.

მე თუ მკითხავთ, გერმანულენოვანი ლიტერატურა, თავისი სპეციფიკით, ძალზე განსხვავდება დანარჩენი ევროპული მწერლობისგან, ყველაზე არაევროპულია — სრულებით არაპანორამული, სივრცეს მოკლებულია, ის ზემოდან ქვემოთ მიდის, სიღრმისკენ, და მუდმივად სულის ბიოგრაფიას აღწერს, სიუჟეტი კი ლამის პირობითობადაა ქცეული და ისეთი დაწნეხილი და შემცირებულია, სულ ერთი გვერდზე შეიძლება, დაატიო. მაგალითად, შეგხვდება ადგილი, სადაც პერსონაჟი აიღებს ჭიქას და სანამ უკან დადგამდეს, შეიძლება, მთელი ორმოცდაათი გვერდი ფილოსოფიურმა წიაღსვლებმა დაიკავოს; ამასობაში გავიწყდება, მანამდე რა ეწერა. ასეთი მეტაფიზიკური ენის თარგმნა ძალიან რთულია. იქ ცხადი არაფერია და სულ გაქვს შიში, რომ რაღაც არასწორად გაიგე. ეს ხომ კლასიკური სურათი არ არის, რომელსაც ხედავ და აღწერ, ეს რაღაც უხილავია, გარკვეულწილად — აუტისტური, ვიტყოდი — გრაფომანურიც, მაგრამ საოცარი ქარიზმა აქვს და სულ გიზიდავს. ვფიქრობდი, მუზილს თუ გადავურჩი, რაღა მომკლავს-მეთქი, მაგრამ თურმე არ იყო ასე...

— რატომ? ნუთუ ბროხი უფრო რთული აღმოჩნდა?

— ბროხის „მთვარეულებში“ არის თავები — და არა მარტო თავები — რომლებიც მუზილის თავებზე გაცილებით რთული სათარგმნია. ტრილოგიის სამივე წიგნი განსხვავებულ ეპოქას აღწერს, სამივე წიგნის ენა განსხვავებულია, მაგრამ მთელი ტექსტი არის მზადება დიდი კატასტროფისთვის — პირველი მსოფლიო ომი ახლოვდება, რომელმაც ყველაფერი უნდა შეცვალოს. ეს ძალიან აახლოვებს ბროხს მუზილთან, ორივე ხომ ერთი და იმავე ეპოქისა და ქვეყნის შვილები იყვნენ?! დიდებს კი მსგავსი წინათგრძნობის უნარი აქვთ. „მთვარეულების“ პირველი წიგნი შედარებით სიუჟეტურია, იქ აღწერილია რომანტიკული ეპოქა, მემამულეთა ყოფა, ერთმანეთთან სტუმრად სიარული, ვარდების მოშენება, გრძელი ფოჩიანი კაბები... ენაც შესაბამისია — კიჩური — ზუსტად შერჩეული ინტონაციით. ავტორი თითქოს დასცინის იმ სამყაროს და აღგიწერს ყოფას, რომელიც მალე უნდა დასრულდეს. იქაც არის სიურრეალისტური სიგიჟეები პორტრეტების აღწერისას — ვერ გაიგებ, ადამიანის პორტრეტს გიხატავს თუ ლანდშაფტს აღწერს, მერე კი ისეთები იწყება... დიდი დისონანსი შემოიჭრება სამყაროში, რამაც ყველაფერი უნდა დაანგრიოს. მესა-

მე ნაწილში, სადაც ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ამბებს ერთი დიდი ქვეთავი — „ღირებულებების ნგრევა“ — აერთიანებს, ბროხი სტილისტურ ხერხს მიმართავს — სიტყვები წყდება, ერთიანი სურათი აღარ არსებობს, ყველაფერი ფრაგმენტირებულია, ენაც ინგრევა, ირღვევა.

ძალიან მიყვარს ორივე ეს შედევრი, მაგრამ „მთვარეულებში“ არის ადგილები, სადაც ბროხი ბევრად მირჩევნია მუზილს. იმ თავების თარგმნა შეუდარებლად რთული იყო. მუზილთან თუ, ასე თუ ისე, ენობრივ ლოგიკას მივყვებით, იქ მსგავსი არაფერია... ყველაფერი სიკვდილისკენ მიდის, სიკვდილით მთავრდება, რაც მოხდა კიდეც რეალურად ევროპაში.

— ავსტრიელი და გერმანელი ავტორები განსხვავდებიან ერთმანეთისგან?

— ძალიან განსხვავდებიან. ერთი კარგი მეგობარი მყავდა, შესანიშნავი მთარგმნელი და გერმანისტი დანიელ კოპენჰაგენი, რომელიც ამბობდა ხოლმე ავსტრიულ მწერლობაზე, ბევრად უფრო პირქუში და ცოტა პერვერსიულიც არისო. თავიდან არ ვეთანხმებოდი. წარმოიდგინეთ, ორივე ქვეყანამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რა შედევრები შექმნა კულტურაში, ლიტერატურაში, რა მწვერვალებს მიაღწია. მუზილის თარგმნამდე ავსტრიას ახლოს არ ვიცნობდი, ვენა ჩემთვის ასოცირდებოდა დიდ ლიტერატურასთან და საუკეთესო მუზეუმებთან, თუმცა ქალაქი ცარიელი იყო — მეგობრები არ მყავდა. მერე კი ძალიან საინტერესო ადამიანებს დავუმეგობრდი და ახლა სულ იქ მიმეჩქარება.

— ავსტრიამ ოთხჯერ დაგაჯილდოვათ და ბოლოს სახელმწიფო პრემია მოგანიჭათ.

— დიახ, ოთხჯერ მივიღე კანცლერის ჯილდო მუზილის, ბროხისა და რანსმაირის წიგნებისთვის. სახელმწიფო პრემია კი სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის — ავსტრიული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დამაჯილდოვეს. მერიდება კიდეც ამაზე ლაპარაკი. ფოსტიდან დარეკეს, თქვენს სახელზე წერილიაო, დავხედე და — ავსტრიის გერბი, კანცლერის ხელმოწერა. დიდი ასოებით ეწერა — უმაღლესი ჯილდო... დღემდე არ ვიცი, ვინ წარმადგინა. როცა ვიკითხე, მითხრეს, კონფიდენციალური ინფორმაციაა და აღარც მიცდია გარკვევა. თუმცა ის კი გამიმხილეს, რომ ჟიურის წევრებს დიდხანს უმსჯელიათ, ჩემთვის მოეცათ პრემია თუ ფრანგი ნომინანტისთვის — ყველამ ერთხმად დაგიჭირა მხარიო. ამან ძალიან გამახარა. როგორც იქნა, ფრანგებს რაღაცაში ვაჯობეთ-მეთქი, ვუთხარი. იმ წელს სამნი დაგვაჯილდოვეს — მიშელ უელბეკი, ერთი ავსტრიელი ხელოვანი და მე. დიდი ღონისძიება გაიმართა.

— ამბობენ, რომ მუზილს ცოტა მკითხველი ჰყავს, მაგრამ როგორც ვიცი, „უთვისებოს“ რეპრინტს აპირებს გამომცემლობა.

— სხვათა შორის, მინდოდა, ამაზე მეთქვა. წლების წინ, როცა თამრიკო ლებანიძემ მუზილის თარგმნა შემომთავაზა და დავთანხმდი, ჩვენ ამ წამოწყებას ვუყურებდით როგორც კულტურულ აქტს და არა როგორც კომერციულ პროექტს. ვიცოდით, რომანს ბევრი მკითხველი არ ეყოლებოდა და ეს ბუნებრივიც იყო. თამრიკო ლებანიძეს, როგორც გამომცემელს, სწორედ ასეთი უშიშარი ნაბიჯები გამოარჩევს. ყოველთვის ძალიან თამამი, გაბედული და ზუსტია ლიტერატურის შერჩევაში. არ შეიძლება, ეს არ დააფასო. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ „უთვისებო კაცი“ არათუ წაიკითხეს, დიდი გამოხმაურებაც მოჰყვა ახალგაზრდებში, ქუჩაშიც კი მაჩერებდნენ და მადლობას მიხდიდნენ. ერთ-ერთ სოციალურ ფორუმზე ვნახე, როგორ წუხდნენ, პირველ წიგნს ვერ ვშოულობთო. გამიხარდა. სწორედ ამგვარი ინტერესის გამო დაიგეგმა რომანის მეორედ გამოცემაც.

— თუმცა მანამდე მუზილის სხვა რომანი გამოიცემა.

— ახლა გამოიცემა „ახალგაზრდა ტერლესის სულიერი ვნებანი“. შეიძლება, იცოდეთ, რომანის მიხედვით 1966 წელს ერთ-ერთმა საუკეთესო გერმანელმა რეჟისორმა, ფოლკერ შლენდორფმა, ბრწყინვალე ფილმი გადაიღო. მართალია, დიდი ტექსტების კარგი ეკრანიზაციები ძალიან იშვიათია, მაგრამ ეს ფილმი განსაკუთრებულია ნამდვილად. სხვათა შორის, შლენდორფმა გადაიღო „თუნუქის დოლიც“, გიუნტერ გრასის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. დარწმუნებული ვარ, გერმანულენოვანი ლიტერატურის წარმატებით ეკრანიზებას გერმანელი რეჟისორების გარდა ვერავინ მოახერხებს.

„ტერლესს“ დავუბრუნდები. შეუდარებელი რომანია. რასაკვირველია, ის არ არის „უთვისებო კაცის“ რანგის ტექსტი — „უთვისებო“ არა მხოლოდ გერმანულენოვანი, მთელი ევროპული ლიტერატურის კვინტენსენციაა და ადგილიც შესაბამისი უჭირავს ევროპულ მწერლობაში — თუმცა ესეც ძალიან კარგი თხზულებაა, თანაც 25 წლის ბიჭის დაწერილია. იცით, რა მიკვირს? და თამრიკო ლებანიძესაც ვეუბნებოდი, რა უცნაურია, საიდან უნდა სცოდნოდა ჯერ სულ ახალგაზრდა მუზილს ის თემები, რაზეც რომანში წერს-მეთქი. წიგნში ძალადობის ანატომია, მსხვერპლისა და ჯალათის ურთიერთობაა. გასაგებია, რომ 25 წლის მუზილი ისეთივე ნიჭიერი იქნებოდა, როგორიც 40 წლისა, მაგრამ როცა ამაზე წერ, მარტო ნიჭიერება ხომ არ კმარა, გამოცდილებაც გჭირდება. ამიტომაც მიკვირს. თითქოს წარმოუდგენელი რამეა.

ის ტექსტიც ერთგვარი წინათგრძნობაა იმისა, რაც გერმანიაში 20 წლის შემდეგ უნდა მოხდეს. მოქმედება ვითარდება მაღალი წრის ბავშვთა დახურულ სასწავლებელში. მუზილი მასებში, დაბალ სოციალურ ფენებში მიმდინარე პროცესებს კი არ აღწერს, არამედ ელიტარულ წრეებში გაჩენილ დამანგრეველ პერვერსიას გვიჩვენებს. მკითხველის თვალწინ ყალიბდება მსხვერპლის ფსიქოლოგიური ტიპი და იკვეთება ჯალათის ფსიქოლოგიური პორტრეტი. საოცრად შთამბეჭდავია. თანაც, რომანი 1900 წელსაა დაწერილი, მეოცე საუკუნის დასაწყისში — იმ დროს და იმავე ქალაქში ცხოვრობდა ფროიდი, რომელიც, მართალია, უკვე ბეჭდავდა თავის ფსიქოლოგიურ ნააზრევს, მაგრამ ფუნდამენტური თეორიები ჯერ არ გამოექვეყნებინა. ამ დროს ახალგაზრდა მუზილი კი თავის „ტერლესში“ არაცნობიერის სწორედ იმ მექანიზმებს აღწერდა, რაზეც შემდეგ ფროიდმა დაიწყო წერა.

— როგორია თქვენი სახელოსნო, როგორ თარგმნით, რამე მეთოდი ხომ არ შეიმუშავეთ ამ წლების განმავლობაში, რაც ურთულესი ტექსტების თარგმნაში გეხმარებათ?

— ყველა მთარგმნელს თავისი სამზარეულო აქვს, მათ შორის მეც. თავიდან არ ვწერ. წინადადებებს ჯერ გონებაში ვაწყობ და ვიმეორებ, ვუსმენ და გონების თვალით ვხედავ. მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებ ჩაწერას. ასე ვმუშაობ. ამიტომ ის ვრცელი წინადადებები, რომლებიც, მაგალითად, მუზილს ან სხვა რომელიმე გერმანულენოვან ავტორს ახასიათებს, ზეპირად უნდა ვიცოდე, არაფერი უნდა გამომრჩეს. ჩემმა გერმანელმა მეგობარმა ინგლისურიდან თარგმნა წიგნი და ძალიან სოლიდური პრემია მიიღო, ონლაინჩათში ვსაუბრობდით კოლეგები, ვულოცავდით და როცა ვკითხე, წიგნის თარგმნისას ყველაზე რთული რა იყო-მეთქი, მიპასუხა, ძალიან გრძელი წინადადებებიო. გამეცინა, აღვშფოთდი კიდეც ხუმრობით, გერმანელი ამას როგორ ამბობ და მით უმეტეს, მუზილის წინადადებების მთარგმნელს როგორ მეუბნები-მეთქი. მართალი ხარო.

— როგორც ვიცი, ახლა ისევ ვინფრიდ გეორგ ზებალდზე მუშაობთ. მისი „ემიგრანტები“ უკვე გამოვიდა. რომელი წიგნის ჯერია?

— ზებალდი ძალიან საინტერესო ბიოგრაფიისა და ბედ-იღბლის მწერალია, ჩვენი თანამედროვე გახლავთ. 1970 წლიდან ინგლისში ცხოვრობდა და ყოველთვის რთული დამოკიდებულება ჰქონდა გერმანიასთან. მამა მსახურობდა ჰიტლერის არმიაში და 1947 წლამდე ფრანგების ტყვეობაში რჩებოდა. მისი ოჯახი ჰამბურგის ცნობილი მასირებული დაბომბვის მომსწრე იყო, ბაბუა კი ხშირად უყვებოდა ომსა და ჰოლოკოსტზე. ზებალდმა გერმანელებს, როგორც თვითონ ამბობდა, ისტორიული სიბრმავე ვერ აპატია. მთელი ცხოვრება თან სდევდა მეორე მსოფლიო ომის სისატიკე, ვერ მოინელა, თავის თავში ვერ დაასრულა, ვერ გასცა პასუხები კითხვებს. ალბათ ამიტომაც მისი პერსონაჟები თავს იკლავენ, მისი მხატვრული ისტორიები სიკვდილით მთავრდება. ამბობდა, მკვდრებთან მეტი მაკავშირებს, ვიდრე ცოცხლებთანო. ალბათ ამან დაატოვებინა გერმანია, თუმცა ყოველთვის გერმანულად წერდა და ამბობდა, ჩემი ერთადერთი სახლი გერმანული ენააო. ინტელექტუალი იყო. 2001 წელს 57 წლის ასაკში გარდაიცვალა. სხვათა შორის, გერმანელებმა მხოლოდ მას შემდეგ დაინახეს და წაიკითხეს ზებალდი, რაც ის ინგლისმა აღიარა. მსგავსი რამ გერმანულენოვანი მწერლობის ისტორიაში არ მომხდარა.

ორივე რომანი ერთსა და იმავე თემაზეა. „აუსტერლიცი“ ძალიან საინტერესო ამბავს მოგვითხრობს. 30-იან წლებში, როდესაც ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში მოექცა და ებრაელების დევნა დაიწყო, დანარჩენი ევროპა დაემალა ამ რეალობას და არ უნდოდა დაენახა და ეღიარებინა ის კოშმარი, რაც მათ თვალწინ ხდებოდა. ევროპა დუმდა, რადგან არ შეეძლო, გამკლავებოდა ამ სტიქიას, მაგრამ შემდეგ, როცა სიტუაცია სულ უფრო დამძიმდა, ამერიკელები და ევროპელები გამოფხიზლდნენ. ამერიკელმა და ინგლისელმა მდიდარმა იუდეველებმა დააარსეს ფონდები, მოაგროვეს სოლიდური თანხები და დაიწყეს ებრაელი ბავშვების გაყვანა გერმანიიდან. საბოლოო ჯამში, საკმაოდ ბევრმა ბავშვმა დატოვა გერმანია, ავსტრია და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ძირითადად, ჩეხეთი და უნგრეთი. პირობა ასეთი იყო, ბავშვები უნდა ყოფილიყვნენ 17 წლამდე, მათ არ ჰქონდათ დიდი ბარგის წაღების უფლება, არც სათამაშოებისა და სამახსოვრო ფოტოების, მხოლოდ თითო ჩანთით უნდა გამგზავრებულიყვნენ. სადგურში ძალიან მძიმე სცენები გათამაშდა. წარმოიდგინეთ, მამა ჩასვამს 2 წლის ბავშვს მატარებელში, მაგრამ ვერ გაუძლებს მის ტირილს, უკან ჩამოსვამს და ამით, ფაქტობრივად, საკონცენტრაციო ბანაკში სიკვდილისთვის გაიმეტებს. მაშინდელი ჩანაწერები რომ წაიკითხოთ, გაოცდებით, შემზარავი სურათები ცოცხლდება. წარმოიდგინეთ, რა სტრესი იქნებოდა ბავშვებისთვის, როცა თბილი, ოჯახური გარემოდან აღმოჩნდნენ უცხო ქვეყნებში, უცხო ოჯახებში, მარტონი, მშობლების გარეშე. უემოციოდ ვერ ჩაიკითხავთ იმ ფსიქოლოგების ჩანაწერებსაც, რომლებიც ბავშვებთან მუშაობდნენ. ისინი წერენ, რომ პატარებს ჰქონდათ დანაშაულის განცდა — ეგონათ, რომ რაღაც დააშავეს და ამიტომ გაიმეტეს მშობლებმა. სხვათა შორის, სახელდახელოდ მოწყობილ ბანაკებში ყოფნა ერჩივნათ ოჯახებში განაწილებას, რადგან იქ თავიანთ ტოლებთან ერთად ცხოვრობდნენ და მშობლიურ ენაზე შეეძლოთ ლაპარაკი. მთავარია, რომ ის ბავშვები გადარჩნენ და, სხვათა შორის, დიდი წვლილი შეიტანეს ევროპისა და ამერიკის კულტურების განვითარებაში. იმ ბავშვთაგან ოთხი ნობელის პრემიის ლაურეატია, მათ შორის არიან ცნობილი მხატვრები, ექიმები, მეცნიერები.



როცა მეორე მსოფლიო ომი მთავრდებოდა და ბრძოლებმა გერმანიის ტერიტორიაზე გადაინაცვლა, როცა დაიბომბა ქალაქები და მოკავშირეებმა ქვა ქვაზე არ დატოვეს, გერმანელებს ხმა არ ამოუღიათ, დუმდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ არ ჰქონდათ მორალური უფლება, ელაპარაკათ მათ მიმართ ჩადენილ დანაშაულზე. როგორც ამბობენ, ეს მათ ენასაც დაეტყო — ისინი არ იყენებდნენ სიტყვა „დაბომბვას“ და, მაგალითად, ჰამბურგის მასობრივ დაბომბვას ასე იხსენებდნენ — „იმ საშინელ ღამეს“, „იმ ავბედით ღამეს“... ამას საყვედურობდა თანამემამულეებს ზებალდი. როცა მან ლექციების ციკლი წაიკითხა ციურიხში, ერთ-ერთი თემა სწორედ „გერმანია და საჰაერო ომი“ იყო. ის იხსენებდა გერმანიის ისტორიაში არსებულ დიდ შავ ხვრელებს, ცარიელ ადგილებს და დუმილის გამო საყვედურობდა გერმანელებს. და როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალიან სწრაფი ტემპით წავიდა ქვეყნის აღდგენა-განვითარება, მწერალი ამბობდა, ტოტალური ნგრევა მომავლის ასაშენებლად გამოიყენესო. დახუჭეს თვალები მომხდარზე და ახლიდან დაიწყესო — ესეც ერთგვარი ემოციური საყვედური იყო მისგან. როგორი საყვედურია, არა?

რაც შეეხება „აუსტერლიცს“, მისი ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი სწორედ ინგლისში გარიდებული ებრაელი ბავშვია, რომელსაც სამშობლოდან გამგზავრება არ ახსოვს — ინგლისელი პასტორი და მისი ცოლი ნამდვილი მშობლები ჰგონია. კეთილ, მაგრამ პირქუშ ხალხში, უსიხარულო ოჯახში იზრდება... ზებალდი არაეპატაჟური ავტორია, თითქოს დაბალ ხმაზე გვიყვება ძალიან სევდიან ამბებს. „აუსტერლიცი“ შემოდგომაზე გამოიცემა. როგორც ყოველთვის, ახლაც „დიოგენესთან“ ვთანამშრომლობ. კარგად ვგრძნობ იქ თავს.

ესაუბრა თამარ ჟურული



ელზე ლასკერ-შულერი

მიყვარხარ

მიყვარხარ
და მოგაგნებ
თუნდ დღე გადიქცეს ბნელ
ღამედ.
მთელი ცხოვრება
და ახლაც
ვეხეტებოდი შენს სანახავად.
მიყვარხარ!
მიყვარხარ!
მიყვარხარ!
შენი ბაგეები იხსნება...
ყრუა სოფელი
ბრმაა სოფელი
და ეს ღრუბელიც
და ეს ფოთოლი —
მხოლოდ ჩვენ ორნი, მტვერი ოქროსი,
რისგანაც ჩვენ შექმნილი:
ვართ.

ერიხ ფრიდი

შენ გარეშე

არ არის სრული არარაობა
შენ გარეშე
თუმცა იცვლება რაღაც
არ არის სრული არარაობა
შენ გარეშე
თუმცა მაკლდება რაღაც
არ არის სრული არარაობა
მაგრამ იკლებს
და იკლებს.
არ არის სრული არარაობა
შენ გარეშე
მაგრამ რჩება კი რაღა?!

ხუმრობის გარეშე

ბიჭები
ხუმრობით
ქვებს
ესვრიან
ბაყაყებს.

ბაყაყები
სერიოზულად
კვდებიან.

პასუხი

ერთხელ
ქვებს უთხრეს:
გაადამიანდით.
ქვებმა მიუგეს:
ჯერ-ჯერობით სიმტკიცე
გვაკლია.

მცდელობა

შევეცადე, მეცადა,
მუშაობის დროს
საქმეზე მეფიქრა
და არა შენზე.
და ბედნიერი ვარ,
რომ ეს მცდელობა
ფუჭი აღმოჩნდა.

თარგმნა ქეთევან ნიკოლაძემ

გოტფრიდ კელერი

ამბობენ...

ამბობენ, სიყვარული ათრობსო.
ამბობენ, სიყვარული აფხიზლებსო.
სიყვარული თვალს გვიხელსო, ამბობენ.
სიყვარული აბრმავებსო.
სიყვარული აფუჭებსო.
სიყვარული კეთილშობილს ხდისო.
სიყვარული აძლიერებსო.
სიყვარული ასუსტებსო.
სიყვარულს ტანჯვა მოაქვსო.
და სიყვარული აბედნიერებსო.
ნეტავ ვინ არის ეს „ამბობენ“?
სიყვარული არაფერს შვება,
ვუპასუხებდი მას.
სიყვარულს ჩვენ ვხდით იმად, რადაც იქცევა.

ბერტოლტ ბრეხტი

მინდა, მას გავყვე, ვინც მიყვარს...

მინდა, მას გავყვე, ვინც მიყვარს.
არ მსურს, გავთვალო, ღირს თუ არა ეს.
არ მსურს, დავფიქრდე, კარგია კი ეს.
არ მსურს, ვიცოდე, ვუყვარვარ კი მას.
მინდა, მას გავყვე, ვინც მიყვარს.

ყველაფერი იცვლება

ყველაფერი იცვლება. ხელახლა დაწყება
შეგიძლია ბოლო ამოსუნთქვიდან.
თუმცა რაც მოხდა, მოხდა და წყალს,
რომელიც ღვინოში ჩაასხი, ვეღარ
გადმოღვრი უკან.

რაც მოხდა, მოხდა. წყალს,
რომელიც ღვინოში ჩაასხი, ვეღარ
გადმოღვრი უკან, თუმცა
ყველაფერი იცვლება და ხელახლა დაწყება
შეგიძლია ბოლო ამოსუნთქვიდან.

სისუსტეები

შენ არ გქონდა,
მე მხოლოდ ერთი:
მიყვარდა.

ჰანს კრუპა

რადგან შენ მიყურებ...

ვიწრო გასასვლელს,
ძლივძლივობით რომ
გავაღე ჩვენ შორის,
ახლა კვლავ
ვქოლავ.
რაც არ გამოდის, არ გამოდის,
ვეუბნები თავს და
ქვას ქვაზე ვადებ.
გაცრუებული იმედი
ბეჯითი მშენებელია.
მაგრამ ბოლო ქვას,
კედელს რომ ჩაკეტავს,
ვეღარ ვდებ.
რადგან შენ
მეორე მხარეს დგახარ
და მიყურებ.

დღის პროგრამა

დღეს მინდა,
კალაპოტიდან ამოვვარდე
და რბილად დავეცე.
მერე კი მუსიკაზე,
თავში რომ მიტრიალებს,
და არა სხვის დაკრულზე, ვიცეკვო.
დასასვენებლად
ორ ცეცხლს შუა ჩამოვჯდე,
და მერე ცოტაც
დინების საწინააღმდეგოდ ვიცურო,
ყვინთვით გავეცალო ჭორებს
და ფანტაზიის სანაპიროზე
იმდენი ხანი დავტკბე მზით,
სანამ სასტიკ ცხოვრებას
სახეზე ღიმილი არ შეახმება.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტი **თამარ ჟურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940